www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 8 ივლისი, 2003 წელი. №185 (397) | ფასი 30 თეთრი

## საქართველოს ეკონომიკური ოკუპაციის რუსული გეგმა

გია ხუხაშვილი

აფხაზეთი და სამაჩაბლო, კოდორი და პანკისი. რუსული ჩექმა და თოფი. ეს მხოლოდ დეკორაციებია იმ სპექტაკლში, რომელსაც ჩვენი მეზობელი წარმატებულად დგამს საქართველოში. ეს ის შემთხვევაა, როდესაც სცენაზე თოფის გამოჩენა ბევრად უფრო ეფექტურია, ვიდრე მისი გასროლა.

რეალურად კი, იგეგმება ქვეყნის სტრატეგიულ დარგებზე სრული კონტროლის დაწესება, რაც მიუხედავად ქვეყნის გაცხადებული პოლიტიკური ორიენტაციისა, შეუქცევადს გახდის ტრანსფორმირებულ საბჭოთა კავშირში საქართველოს გაწევრიანებას. ეს პროცესი რომ წარმატებულად მიმდინარეობს, ამაზე ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები და თუნდაც ამ დღეებში გამართული სუუამის „უკბილო“ სამიტიც მეტყველებს.

რუსეთმა მოახერხა, რომ საქართველოში შექმნილიყო დასავლური კაპიტალისთვის აბსოლუტურად მიუღებელი საინვესტიციო გარემო და სუფრას მარტოდმარტო მიუჯდა. სამწუხაროდ, ამ გეგმის განხორციელებაში, მიუხედავად „კეკლუცი“ პოზიციებისა, ლომის წილი ჩვენს ხელისუფლებას მიუძღვის. მაშინ, როდესაც ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას პირდაპირი საშიშროება ექმნება „გაზპრომისათვის“

გაგრძელება A2 გვერდზე

## მეტალურგიულ კომბინატს შავი სამყარო აკონტროლებს

### ამბობს რუსთავის მერი

მაია მოსიაშვილი

*საეჭვო ხელშეკრულებები, საეჭვო გარიგებები, გარჩევები „ავტორიტეტების“ დონეზე, პოლიტიკური ინტრიგები - ასე ახასიათებს რუსთავის მერი რმკ-ში მიმდინარე პროცესებს.*

რუსთავის მეტალურგიული კომბინატის თაობაზე „24 საათში“ ერთი თვის წინ გამოქვეყნებულ სტატიას, სათაურით „დიდი აფიორა მეტალურგიულ კომბინატში“, რუსთავის მერი მერაბ ტყეშელაშვილი გუშინ გამოეხმაურა.

**„საეჭვო ხელშეკრულებები და ქონების გასხვისებასთან დაკავშირებული ფაქტები, რომელიც „24 საათში“ იყო დაფიქსირებული, შევისწავლეთ და მართლაც არის იქ შემაშფოთებელი საკითხები,“** - განაცხადა მან ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე. მისივე ინფორმაციით, რმკ-ს გენერალური

გაგრძელება A2 გვერდზე

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 32 | |
| ბათუმი | 28 | |
| ქუთაისი | 35 | |
| თელავი | 30 | |
| სოხუმი | 28 | |
| ახმეტა | 29 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1325 |
| ევრო | 2.4364 |
| გირვანქა სტერლ | 3,5474 |
| რუბლი | 0.0704 |

# საქართველოს მთავრობის შიშით ვერაფერი განვაცხადეთ

## გატაცებული ესპანელების ჩვენება



ტყვეობისგან გათავისუფლების შემდეგ.

გატაცებული ესპანელების საქმის გამოძიება ესპანეთსა და საქართველოში ისევ გრძელდება. შინაგან საქმეთა სამინისტრო, გენპროკურატურა და უშიშროების საბჭო კატეგორიულად უარყოფენ ესპანელების საქმის გამოძიების მასალების საკუთარ უწყებებში არსებობას. საბოლოოდ გაირკვა, რომ ესპანელების საგამოძიებო მასალები უშიშროების მინისტრის ხელშია. ვალერი ხაბურძანიამ ესპანელების საქმის შესახებ, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, კომენტარზე უარი განაცხადა.

გრძელდება საინფორმაციო სააგენტო „ექსპრესის“ ექსკლუზიური მასალის - ესპანელების ჩვენებების გამოქვეყნება. დღეს სრულდება ფრანცისკო როდრიგეს კაბალას ჩვენების ბეჭდვა. ხვალ შემოგთავაზებთ მეორე ესპანელი ტყვის, ხოსე ანტონიო ტრიმინო გომესის ჩვენებას.

წინა ნომერში დაიბეჭდა:

თუ როგორ ჩამოვიდნენ საქართველოში ძვირფასი ქვების მაძიებელი ესპანელი ბიზნესმენები და როგორ დაუკავშირდნენ ქართველ მალალჩინოსნებს, რომლებმაც, შემდეგ, მათი გატაცება დაგეგმეს;

რა კავშირი აქვს ანტიტერორისტული ცენტრის ყოფილ უფროსს ლევან კენჭაძეს ანტონიო გომესის, ფრანცისკო კაბალასა და სხვა რეზონანსულ გატაცებებთან;

რა ბედი ეწია პანკისის ხეობაში გატაცებულ ბერს, რომლის გათავისუფლებაშიც ქართველი ძალოვანები 3 მილიონ დოლარს ითხოვდნენ.

გაგრძელება A4 გვერდზე

# ლიბერიის პრეზიდენტი ნიგერიას შეაფარებს თავს

ლევან ღირსიაშვილი

*გუშინ ლიბერიის პრეზიდენტმა ჩარლზ ტეილორმა განაცხადა, რომ მზად არის დატოვოს თანამდებობა და ნიგერიას შეაფაროს თავი. მან ეს განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც ნიგერიის პრეზიდენტს ოლუსეგუნ ობასანჯოს თავის რეზიდენციაში შეხვდა. პარალელურად, გუშინ, ლიბერიის დედაქალაქ მონროვიაში ჩავიდა აშშ-ის სპეცმისია, რომლის წევრებმა ადგილზე არსებული ვითარება უნდა შეაფასონ და განსაზღვრონ ამ ქვეყანაში გასაგზავნი აშშ-ის ჯარების რაოდენობა და დისლოკაციის ადგილები. აშშ-ის არმიის დანაყოფებმა შესაძლოა ლიბერიის ტერიტორიაზე, უკვე ამ კვირაში შეაბიჯონ.*

დასავლეთ აფრიკის ქვეყნებმა პირობა დადეს, რომ ლიბერიაში აშშ-ის ჯარების მხარდამხარ 3 ათას კაციან სამხედრო კონტინგენტს გააგზავნიან. ამჟამად საუბარია 5 ათასი ამერიკელი ჯარისკაცის გადასროლაზე, მაგრამ, ცხადია, ვაშინგტონს კარგად ახსოვს ათი წლის წინანდელი მისი სამხედრო კამპანიის ბედი და შედეგები სომალიში. ამჯერად, ანალოგიური შეცდომის დაშვებას შეიძლება თეთრი სახლისათვის საკმაოდ სავალალო შედეგები მოჰყვეს.

სააგენტო “როიტერის” ცნობით, აშშ-ის სენატის შეიარაღებული ძალების კომიტეტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ვიდრე თეთრი სახლი აშშ-ის ძალებს დასავლეთ აფრიკის ამ მღელვარე რესპუბლიკაში გადაისვრის, კონგრესმა ამ საკითხს კენჭი უნდა უყაროს.

ამასთანავე, ნიგერიის ლიდერი, რომელმაც პრეზიდენტ ტეილორისათვის თავშესაფრის მიცემის სურვილი გამოხატა, დასავლეთ აფრიკის სხვა ხელმძღვანელებთან ერთად გამოთქვამს

გაგრძელება A5 გვერდზე




## პრეზიდენტთან შეხვედრის წინ...

თამარ ხორბალაძე

საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ, ფაქტობრივად, პირველი კომენტარი გააკეთა ბეიკერის ვიზიტთან დაკავშირებით და, როგორც მოსალოდნელი იყო, განაცხადა, რომ ამერიკული წინადადებები აბსოლუტურად ემთხვევა მის ხედვას. მეტიც, გუშინ ედუარდ შევარდნაძემ სასწრაფოდ დანიშნა ოპოზიციასთან შეხვედრის დღე: **“თუ არაფერმა შემიშალა ხელი, ხვალ დილით ოპოზიციას შევხვდები,”** – აღნიშნა მან.

სავარაუდოდ, საქართველოს პრეზიდენტს ამჯერად ხელს არაფერი შეუშლის. ედუარდ შევარდნაძის მეგობარმა ჯეიმს ბეიკერმა საამისოდ ყველაფერი გააკეთა: საკმაოდ ხანგრძლივად ესაუბრა პრეზიდენტს, თვით ჯორჯ ბუშის წერილიც აახლა და დღევანდელი სახელმწიფო მდივნის მოადგილე ელიზაბეთ ჯოუნსიც დაუტოვა “მეთვალყურედ“.

გაგრძელება A2 გვერდზე

## სახელისუფლებო ბლოკი თათბირებში აღამებს და ათენებს

გუშინ, გვიანობამდე, პრეზიდენტთან მოთათბირე ვანო ზოდელავა, ლევან მამალაძე, ირინა სარიშვილი და ვახტანგ რჩეულიშვილი ბეიკერის მიერ წინასაარჩევნოდ დატოვებული რეკომენდაციების შესახებ მსჯელობდნენ. სახელისუფლებო ბლოკი აშშ-ის სპეციალური წარმომადგენლის მიერ დატოვებული რეკომენდაციებისადმი უსიტყვო მორჩილებას აცხადებს. თუმცა, შეკრების ძირითადი თემა ბეიკერი მაინც არ ყოფილა.

გუშინვე ხელახლა გაჩნდა იდეა ბლოკში პოლიტიკური საბჭოს შექმნის შესახებ. ორიოდე დღის შემდეგ პოლიტიკური საბჭო ოფიციალურად გაფორმდება გაერთიანების პოლიტიკურ სტრუქტურად. ამგვარი პოლიტიკური რეორგანიზება უკვე ახლა შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფო მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძის პარტიული უფლებების შეკვეცად. ჯორბენაძე კვლავ რჩება “მოქალაქეთა კავშირის” ლიდერად, მაგრამ ფაქტობრივად აღარ აქვს ბლოკის კოორდინატორის სტატუსი. გუშინ გამჟღავნებული ჩანაფიქრის მიხედვით, სახელისუფლებო ბლოკში შემავალი ყველა პოლიტიკური სუბიექტის ლიდერი პოლიტსაბჭოში თანაბარი ხმის უფლებით შევა. ამგვარი ჩანაფიქრი რეალობად იქცა იმის გამო, რომ პრეზიდენტი წინასაარჩევნო კამპანიით უკმაყოფილოა. პრეზიდენტი სწორედ ასეთი სახით გეგმავს თავისი ბლოკისათვის “წინასაარჩევნო სტიმულატორის” შეშხაპუნებას.

*24 საათი*

## საქართველოში მალე დავბრუნდები, აცხადებს გიგა გელაშვილი

ინგა ალავიძე

*15 ივლისს თელ-ავივის სასამართლო განიხილავს მაშველთა კორპუსის ყოფილი თავმჯდომარის გიგა გელაშვილის საქმეს. გუშინ კი თელ-ავივის რიშონ-ლეციონის სამოქალაქო სასამართლომ გიგა გელაშვილის ადვოკატის მოტი კეცის სარჩელი განიხილა. ადვოკატი გიგა გელაშვილის წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლებას და სანაცვლოდ გირაოს გადახდას ითხოვდა. როგორც ცნობილია, “მხედრიონის” ერთ-ერთი ყოფილი ლიდერი თელ-ავივში 20 ივნისს დააკავეს და ისრაელში უკანონოდ შესვლა-ცხოვრებისა და დოკუმენტის გაყალბების ბრალდება წაუყენეს.*

გაგრძელება A2 გვერდზე

## სავალუტო ფონდის მისია დასრულდა

### “ამ ადამიანებმა ქვეყანა ფინანსურ კრახამდე მიიყვანეს“

სოფო კვინტრაძე

*სავალუტო ფონდის მისიის ორკვირიანი დაძაბული ვიზიტი დასრულდა. დღეს, გამთენიისას, მისია ვაშინგტონში გაემგზავრა. სავალუტო ფონდმა საქართველოს მთავრობას მისიის დასკვნითი ანგარიში დუტოვა. მთავრობას 15 აგვისტომდე საკმაოდ მძიმე ვალდებულებების შესრულება მოუწევს.*

სავალუტო ფონდი ხელისუფლებისგან ოთხი ძირითადი ვალდებულების შესრულებას მოითხოვს. მათ შორის უმთავრესი 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კორექტირება გახლავთ. “24 საათი” უკვე წერდა, რომ მიმდინარე წლის ბიუჯეტში 135 მილიონი ლარის დეფიციტი დაფიქსირდა, რომლის აღმოსაფხვრელადაც ფინანსთა სამინისტროს 97-მილიონიანი სეკვესტრის

გაგრძელება A3 გვერდზე

## ტერაქტით შეშინებულმა მოსკოვმა ლუდში იბანავა

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

ტუშინოს სამხედრო აეროდრომზე მომხდარი ტერორისტული აქტის შემდეგ ხელისუფლებამ პრინციპულად არ გადადო ორდღიანი ტრადიციული ლუდის ფესტივალი. მოსკოვის ხელიუფლებამ საკუთარ მოსახლეობას წამალივით გამოუწერა ორდღიანი ლოთობა.

რუსეთის პრეზიდენტის სახელზე მოსულ სამძიმრის ბარათებში დაგმობილია საერთაშორისო ტერორიზმი და უდანაშაულო ადამიანთა მსხვერპლი. რუსეთის ხელისუფლება გადარჩენილებს რეაბილიტაციას ჰპირდება, გარდაცვლილთა ახლობლებს კი - ფინანსურ დახმარებას. საზღვარგარეთ დასასვენებლად მყოფი რუსი პოლიტიკოსები მოსკოვში მომხდარ ტერაქტს ჩეჩნეთის პრობლემის მოუგვარებლობასა და ამ საკითხში რუსეთის პასიურობას აბრალებენ:

ირინა ხაკამადა, პარლამენტის ვიცე-სპიკერი: **„ტუშინოს ტრაგედიამ დაგვიმტკიცა, რომ რუსეთმა ჩეჩნეთის პრობლემა ჯერაც ვერ გადაჭრა. ჩვენ ვერ შევძელით ჩეჩენი ხალხის კონსოლიდაცია, რათა თავად განდევნოს რუსეთიდან და ჩეჩნეთის ტერიტორიიდან ეს ნაძირლები. გუშინდელი ტრაგედია უკანასკნელი არ არის.“**

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 ამბები | A3 ამბები | A4 ექსკლუზივი | A5 უცხოეთი | A6 სპორტი | A7 რევიუ | A8 სხვადასხვა

## საქართველოს ეკონომიკური ოკუპაციის რუსული გეგმა

პირველი გვერდიდან

მაგისტრალური გაზსადენების გადაცემის მცდელობის სახით, სამარცხვინოა, რომ ამის შესახებ პირველ კომენტარს უცხო ქვეყნის ელჩი აკეთებს. ხოლო ამის შემდეგ ერთადერთი პოლიტიკოსის მიერ გაკეთებულ სპეციალურ განცხადებას, ქვეყნის მესამე პირის უცნაური გამოხმაურება მოჰყვა, რომ თურმე „ეს მოლაპარაკებები კონფიდენციალურია და ჟვანიამ არ შეიძლება ამის შესახებ რაიმე იცოდეს“, რითაც, ფაქტობრივად, დაადასტურა მოლაპარაკებების მიმდინარეობა.

რუსული გეგმა გულისხმობს საკუთარი ინტერესების გატარებას ენერგეტიკის, ტელესაკომუნიკაციო სისტემების, ტრანსპორტის, ბათუმისა და ფოთის პორტების მიმართულებით. გამოყენებული იქნება როგორც პირდაპირი ასევე არაპირდაპირი გზები. არაპირდაპირში იგულისხმება რუსეთის ხელისუფლებასთან „ოპოზიციურად“ განწყობილი ოლიგარქიული კაპიტალი, რომელიც მიუხედავად ოპოზიციური იმიჯისა, მაინც რუსულია და მის „ველიკოდერჟავულ“ ინტერესებს ემსახურება.

ტექნოლოგია, რომელსაც რუსეთი იყენებს, მარტივია – ჩვენს ხელისუფლებასთან ერთად პოლიტიკური დაძაბულობის იმიტაციის ფონზე რომელიმე გემრიელი ნაჭრის გადაყლაპვა. ასე მოხდა, როდესაც გასულ წელს ლამის ცივი ომის პირობებში ისე „გააცურეს“ „აზოტი“, რომ არავის თავშიც კი არ მოსვლია ამის გაპროტესტება. ასე მოხდებოდა გაზის სფეროშიც, რომ არა გარედან ზეწოლა ხელისუფლებაზე. თუმცა ამ გეგმაზე უარი არ თქმულა, ის მხოლოდ დროში გაიწელა. ჩვენი ხელისუფლებისთვის ყველაზე კარგი დრო ამ საქმეში ზამთარია და თუ არჩევნები მათთვის სასურველი შედეგებით დასრულდა, გაზაფხულამდე დაწყებული პროცესი დამთავრდება. ეს იქნება რუსული რევანში ბაქო-ჯეიჰანისა და შაჰდენიზის გაზის ტრანსპორტირების პროექტებთან დაკავშირებით.

ოდნავ გართულებული გეგმით მიმდინარეობს "ეი-ი-ეს" თელასის რაო-ეეს"-ით ჩანაცვლების პროცესი, რადგან აქ გარეულია ამერიკული მხარე და მისი განდევნა არც ისე ადვილია, თუმცა გარკვეულ წარმატებებს რუსეთმა ჩვენი ხელისუფლების პირდაპირი დახმარებით უკვე მიაღწია და იგივე ვადებში ალბათ ეს საკითხიც „მოგვარდება“. ამ მიზნით გამოყენებულ იქნა პრეზიდენტის არაერთი უპრეცედენტო განცხადება "ეი-ი-ეს"-ის გაკოტრების შესახებ, საკონსტიტუციო სასამართლოში დადგმული სპექტაკლი, გაუთავებელი ყადაღები ანგარიშებზე და სოციალურად დაუცველი მოსახლეობის პროტესტის მიმართვა კომპანიის წინააღმდეგ.

ტელესაკომუნიკაციო სისტემებსა და პორტებში რუსეთი იყენებს და მომავალშიც გამოიყენებს არაპირდაპირ გზებს, ანუ დასავლეთში გარეცხილ კარგად შეფუთულ კაპიტალს. ამაზე კონკრეტულად შემდგომ პუბლიკაციებში ვისაუბრებთ.

ახლა კი ერთი წამით დავუშვათ, რომ ეს ყველაფერი განხორციელდა. ნებისმიერი ხელისუფლება რომელიც შემდგომში მოვა, რაოდენ პროგრესულიც არ უნდა იყოს, იძულებული გახდება, იმ წესებით ითამაშოს, რასაც უკარნახებს გაზპრომი, იტერა, რაო ეესი, ლუკოილი და ამჟამად დევნილი რუსული ოლიგარქიული კაპიტალი. ეს ყველაფერი კი თავს იყრის კრემლში, სადაც უკვე მიხვდნენ, რომ სცენაზე თოფის გამოჩენა ბევრად უფრო ეფექტურია, ვიდრე მისი გასროლა.

## მეტალურგიულ კომბინატს შავი სამყარო აკონტროლებს

### ამბობს რუსთავის მერი

პირველი გვერდიდან

დირექტორი ნოდარ ღვამბერია, რამდენიმე დღის წინ, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ჟორდანიამ თანამდებობიდან გაათავისუფლა. **„მან არ მოაწერა ხელი იმ საეჭვო გარიგებებს, რომელიც მეტალურგიულ კომბინატსა და იტალიელებს შორის დაიდო, რადგან ეს იყო ჯართად დაჭრა და გაყიდვა ამ წარმოების“,** - ამბობს ტყეშელაშვილი.

რუსთავის მერმა კიდევ უფრო სენსაციური განცხადებებიც გააკეთა და მეტალურგიაში მიმდინარე პროცესები „შავ სამყაროს“ და პოლიტიკურ ინტრიგებს დაუკავშირა: **„სამწუხაროდ, არის გარჩევები ე.წ. „ავტორიტეტების“ დონეზე. ამაში გარეულია ახლანდელი დირექტორატი. ზოგიერთი პიროვნება ერთ კვირას ერთ ადგილას ჰყავთ მიწვეული, მეორე კვირას მეორე ადგილას, იმისთვის, რომ მოხდეს გარიგებები, ასევე უკვე არსებული სიტყვიერი შეთანხმებების გამო, მაპატიეთ და, არის ქუჩური „რაზბორკები“. ამხელა წარმოების ხელმძღვანელობას უნდა რცხვენოდეს, რომ ამ დონეზე მიიყვანა საქმე. რომელი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლებიც უნდა იყვნენ დაინტერესებულნი მეტალურგიით, მაქსიმუმს გავაკეთებ, რომ დავიცვა ქალაქის ინტერესები.“** მერაბ ტყეშელაშვილს საეჭვოდ მიაჩნია ისიც, რომ იტალიური ინვესტორის წარმომადგენლები რუსეთის მოქალაქეები არიან.

რუსთავის მერის ყველა ბრალდებას უარყოფენ მეტალურგიაში. ნოდარ ღვამბერიამ „24 საათს“ განუცხადა, რომ ის არავის გაუთავისუფლებია. **„ესე იგი, გამოდის, რომ მერი იტყუება?“** - ამ კითხვაზე პირდაპირი პასუხის გაცემაზე ღვამბერიამ თავი შეიკავა.

**„მე არ ვარ ის კაცი, შავ სამყაროსთან ვილაპარაკო. მათთან კავშირი არასოდეს მქონია და არც მექნება. მანდ არის დაპირისპირება ვიღაცეებს შორის და ჩვენ ნუ გამოგვიყენებენ, ჩვენ არაფერ შუაში ვართ. ვიღაცა ვიღაცას ეჭორავება, ეს მე არ მეხება, საქმეზე თუ გინდათ, ვილაპარაკოთ,“** - ასეთი კომენტარი გააკეთა „რმკ“-ს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ჟორდანიამ.

მეტალურგიული კომბინატით შავი სამყაროს აქტიურ დაინტერესებაზე დაუდასტურებელი კულუარული ინფორმაცია აქამდეც არსებობდა, თუმცა მერაბ ტყეშელაშვილი, ჯერჯერობით, ერთადერთი აღმოჩნდა, ვინც ამის ხმამაღლა თქმა გადაწყვიტა.

რაც შეეხება პოლიტიკურ ინტერესებს, ირაკლი ჟორდანიამ პირდაპირ მიანიშნა „ვიღაცეებს“ შორის დაპირისპირებაზე და ეს „ვიღაცეები“, სავარაუდოდ, მერი ტყეშელაშვილი და გუბერნატორი მამალაძე არიან. ამას ადასტურებს ისიც, რომ მერაბ ტყეშელაშვილმა, რმკ-ში მიმდინარე პროცესებთან ერთად, შპს „თუჯი-XXI“-ში (რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც რმკ-ს გამოეყო) „გლენკორის“ შესვლაც გააპროტესტა. მისი თქმით, „გლენკორი“ მადნეულის კომბინატში მუშაობს და აქაც გარკვეულ საეჭვო გარიგებას აქვს ადგილი. არსებობს ვერსია, რომ „გლენკორის“ წინააღმდეგ გალაშქრებით ტყეშელაშვილი მამალაძის ინტერესების წინააღმდეგ ილაშქრებს. **„არც ერთ ჩემს სიტყვას უკან არ წავიღებ. მომავალში გამოჩნდება, ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი,“** - განუცხადა „24 საათს“ რუსთავის მერმა.

## პრეზიდენტთან შეხვედრის წინ...

პირველი გვერდიდან

ელიზაბეთ ჯოუნსი გუშინ შეხვედრებს სახელმწიფო კანცელარიაში მართავდა. მასთან საუბრის შემდეგ ავთანდილ ჯორბენაძემ ჟურნალისტებს დაუდასტურა, რომ ხელისუფლება "ბეიკერის ფორმულის" მომხრეა.

თავად ელიზაბეთ ჯოუნსმა კი განაცხადა, რომ **"საქართველოში სტაბილურობის გარანტად აშშ დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას მიიჩნევს".**

მან ისიც თქვა, რომ **"აპირებს ოპოზიციის წარმომადგენლებს შეხვდეს და საარჩევნო კოდექსში ცვლილებები, კერძოდ - საარჩევნო ადმინისტრაციის ახალი სქემით დაკომპლექტების საკითხი, ბოლომდე მიიყვანოს".**

საგულისხმოა, რომ ჯოუნსი საქართველოში საარჩევნო ადმინისტრაციების საკითხის "ბოლომდე მიყვანამდე" თბილისის დატოვებას არ აპირებს.

პრეზიდენტთან შეხვედრისთვის ოპოზიცია საგანგებოდ მოემზადა: გუშინ, საღამოს 8 საათისთვის, "ახლების" ოფისში შეიკრიბნენ "ახლების", "ნაციონალების", "გაერთიანებული დემოკრატების", "ტრადიციონალისტების", "ლეიბორისტების", "სახალხოს" და ზვიადისტური ფრთის – ეროვნული თანხმობის კავშირის წარმომადგენლები, რომლებმაც ხელი მოაწერეს მიმართვას პრეზიდენტისადმი, სადაც იწონებენ ბეიკერის წინადადებებს, 10-პუნქტიანი პროექტის შესრულებისთვის მზადყოფნას აცხადებენ, მხარს უჭერენ ხმების პარალელურად დათვლის მექანიზმის შემოღებას და იქვე აცხადებენ, რომ, სახელისუფლებო ფრაქციების მხარდამჭერის შემთხვევაში, ბეიკერის პროექტის დამტკიცებას საფრთხე არ შეექმნება.

ეს პარტიები აცხადებენ, რომ საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესთან დაკავშირებით თუ ბეიკერის წინადადება მიიღეს, მაშინ ოპოზიცია მისთვის გათვალისწინებული 9-კაციანი კვოტის შევსებას უპრობლემოდ და ზედმეტი დავიდარაბის გარეშე შეძლებს (საუბარია ყოველი პარტიიდან თითო წევრის დანიშვნაზე).

საგულისხმოა, რომ ოპოზიციის გუშინდელ შეხვედრაზე 15 წუთით მივიდნენ "მრეწველების" წარმომადგენლები, რომლებმაც შეხვედრა იმ მოტივით დატოვეს, რომ იმ ბეიკერის სიტყვა, რომელმაც ისინი შეხვედრაზეც კი არ მიიწვია, მათთვის კანონი არ არის.

შეხვედრაზე ქალაქში არყოფნის მოტივით არ ყოფილა არც "აღორძინების" წარმომადგენელი, თუმცა ცნობილია, რომ ბეიკერის წინადადებისთვის ხმის მიცემას არც ეს პარტია არ აპირებს.

## „საქართველოში მალე დავბრუნდები, აცხადებს გიგა გელაშვილი

პირველი გვერდიდან

30 ივნისს ისრაელის ერთ-ერთ გაზეთში დაიბეჭდა წერილი სენსაციური სათაურით "სასიკვდილო დავალება". წერილში საუბარი იყო გიგა გელაშვილის კავშირზე ისრაელში მცხოვრები ძმების - ავრაჯილების ლიკვიდაციის გეგმასთან. თუმცა, თელ-ავივის პოლიციამ ვერ მოახერხა საჭირო მტკიცებულებების შეკრება გელაშვილის წინააღმდეგ.

გიგა გელაშვილი უკვე 20 დღეა, რაც თელ-ავივის წინასწარი დაკავების საკანში იმყოფება. ამ ხნის მანძილზე ქართველ სამართალდამცველებს ისრაელიდან არ მიუღიათ თხოვნა გელაშვილისთვის იდენტიფიკაციის ჩატარების შესახებ. ერთადერთი ინფორმაცია, რომელიც გენერალურ პროკურატურას ისრაელის საკონსულომ გადასცა, გიგა გელაშვილის დაკავების შესახებ გამოგზავნილი მოკლე შეტყობინებაა. საქართველოს გენერალურ პროკურატურაში აცხადებენ, რომ დაკავებულის თაობაზე ისრაელის სამართალდამცველი სტრუქტურები, ჯერჯერობით, არანაირ ინფორმაციას არ იძლევიან.

უახლოეს დღეებში ისრაელში გაიგზავნება გიგა გელაშვილის ბიოგრაფიული მონაცემები, მისი დახასიათება და საქართველოს ომბუდსმენის ნანა დევდარიანის შუამდგომლობა.

გთავაზობთ "24 საათის" მიერ მოპოვებულ ექსკლუზიურ ინტერვიუს მაშველთა კორპუსის ყოფილ თავმჯდომარესთან გიგა გელაშვილთან.



გიგა გელაშვილი.

**- გავრცელებული ინფორმაციით, თელ-ავივის პოლიცია სერიოზულ ბრალდებას გიყენებთ.**

- რაც შეეხება ბრალდებას, სასამართლომ ბრალი დამდო ისრაელში უკანონო შესვლა-ცხოვრებასა და დოკუმენტის გაყალბებაში. სულ ეს არის, მეტი - არაფერი. გავრცელებული ინფორმაცია, რომ რაღაც მკვლელობაში დამდეს ბრალი, ტყუილია. ჩემთვის ეს ბრალდება არ წაუყენებიათ და ამ მიმართებით არც ეჭვმიტანილად ვარ ცნობილი. საერთოდ, ამ საქმეს არანაირი პერსპექტივა არ აქვს, რადგან სრულიად უდანაშაულო ვარ.

**– თელ-ავივის გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიაში ნათქვამი იყო, რომ პოლიციამ ისრაელის მოქალაქეების (ძმების) სურათები აღმოგიჩინათ, რომელთა მკვლელობასაც გეგმავდით.**

– ეს წარმოუდგენელი სისულელეა, არანაირი სურათი არ მქონია; მეტიც, საერთოდ წარმოდგენა არ მაქვს, თუ ვინ არიან ისინი. გაზეთში ისიც ეწერა, რომ, თურმე, ერთი ძმა ამჟამად ისრაელში არ ცხოვრობს და მხოლოდ ერთი წლის შემდეგ აპირებს ჩამოსვლას; მე მოკვლას ვგეგმავდი, ის კი ისრაელში არ იყო - სად არის ლოგიკა? მსგავსი აბსურდი წარმოუდგენელია, ამიტომაც, პროტესტის ნიშნად შიმშილობის აქცია დავიწყე.

**– და ვის უცხადებთ პროტესტს?**

პრესაში გამოქვეყნებულ იმ წერილს ვაპროტესტებ და კიდევ პოლიციის ქმედებას, რადგან ეს აბსურდული ინფორმაცია გაავრცელეს, რის გამოც ჩემი უფლებები შეილახა. აქ მეუბნებიან, რომ ისრაელში ძალიან ხშირად და ძალიან უხეშად ირღვევა ადამიანის უფლებები, რაშიც თავადაც დავრწმუნდი. მაგრამ ვიმეორებ, მე მართალი ვარ, ამიტომაც ეს ყველაფერი ძალიან მალე დასრულდება, ძალიან მალე დავბრუნდები საქართველოში და მაშინ უფრო ვრცლად ვისაუბრებთ.

**– რა ვითარებაში დაგაკავეს?**

– პოლიციამ მომთხოვა პირადობის დამადასტურებელი საბუთი, ვაჩვენე, საუბრის დაწყებისთანავე ცხადი გახდა, რომ იქაური არ ვიყავი, წამიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, სადაც უკვე ჩემი ვინაობა დავასახელე. მოგვიანებით, საინფორმაციო ბაზიდან ამოიღეს ინფორმაცია, სადაც ნათქვამი იყო, რომ საქართველოში გასამართლებული ვიყავი. აი, ამის საფუძველზე ააგეს ის სულელური ვერსიები; სულ ეს იყო.

**p.s. ინტერვიუდან რამდენიმე საათის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ სასამართლომ არ დააკმაყოფილა ადვოკატის შუამდგომლობა და გიგა გელაშვილი პატიმრობაში დატოვა.**

## რით დასჯის „კმარა“ ბორჯომელ ჩინოვნიკებს?

"კმარას" აქტივისტებმა გუშინ უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ბაღში პრესკონფერენცია გამართეს. როგორც აღინიშნა, 5 ივლისს ბორჯომში მიმავალი "კმარელები" ადგილობრივმა პოლიციამ ქალაქში არ შეუშვა. **"ფიზიკური შეურაცხყოფა მოგვაყენეს, გვაგინეს, გოგონებსაც კი არ მოერიდნენ. 12 ჩვენი მეგობარი სერიოზულად დაშავდა,"** – ამბობს კოკა მინაშვილი.

როგორც "კმარას" აქტივისტები ამბობენ, მათ წინააღმდეგ სამოქალაქო ფორმაში გადაცმული სამართალდამცავები გამოდიოდნენ: **"მათ იარაღი ჰქონდათ, როდესაც პოლიციას დასახმარებლად ვუხმეთ, ყურადღება არავინ მოგვაქცია. ჩვენზე თავდასხმის ორგანიზატორები ამჯერად სამცხე-ჯავახეთის რეგიონის პოლიციის უფროსი მირიან თავხელიძე, სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი თემურ მოსიაშვილი და ბორჯომის რაიონის გამგებელი გედევან ფოფხაძე არიან. ისინი აუცილებლად აგებენ პასუხს."**



პრესკონფერენცია უნივერსიტეტის ბაღში.

უახლოეს მომავალში თავზე "კმარაწაკრული" ახალგაზრდები ამ პირების წინააღმდეგ სასამართლოში აპირებენ სარჩელის შეტანას. "კიდევ არის სასჯელის ერთი კანონიერი ფორმა, რომელიც დიდი სიურპრიზი იქნება ამ ადამიანებისთვის და რომელსაც ჩვენ აუცილებლად გამოვიყენებთ," – აცხადებენ "კმარელები", თუმცა კონკრეტულად რითი დაისჯებიან ბორჯომელი ჩინოვნიკები, ჯერ საიდუმლოა.

*24 საათი*

## „მრეწველები“ და „აღორძინება“ - „ბეიკერის ფორმულის“ წინააღმდეგ

თამარ ხორბალაძე

### ზურაბ ტყემალაძე, "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს"

- სანამ ბეიკერი ჩამობრძანდებოდა, ჩვენს მიერ საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების ასეთი სქემა წარმოდგენილი იყო და ნინო ბურჯანაძემ გაახმოვანა კიდეც ეს. თუმცა, არსებობდა ერთი განსხვავება – არ იყო გათვალისწინებული თავმჯდომარის დანიშვნა ეუთო-ს მიერ.

**- მაგრამ ეს პრინციპული განსხვავებაა.**

- ჩვენს ვარიანტში ეუთო-ს მეათე კაცი იყო ოპოზიციის დასანიშნი. რომელია უკეთესი თანაფარდობა, თავად განსაჯეთ. რაც შეეხება თავმჯდომარის დანიშვნას ეუთო-ს მიერ – ჩვენ ამის კატეგორიული წინააღმდეგნი ვართ. არც ერთი სამართლებრივი ნორმა არ ითვალისწინებს პასუხისმგებლობას რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დანიშნული პირის მიმართ. კანონმდებლობაში რომ შესწორებები შეგვაქვს, კომისიას და თავმჯდომარესაც პიროვნულ პასუხისმგებლობას ვაკისრებთ. მაინტერესებს, რომელი კანონმდებლობით უნდა აგოს პასუხი ეუთო-ს მიერ დანიშნულმა თავმჯდომარემ? თუ მაინცდამაინც საჭიროა ეუთო-ს ფიგურირება ამ კომისიაში, კი ბატონო - ეუთო-მ გადასცეს რამდენიმე ღირსეული კანდიდატურის სია პრეზიდენტს ან პარლამენტს და მათ გადაწყვიტონ. ეს მექანიზმი დასახვეწია.

**- თუ საარჩევნო კომისიები მაინც იმ სქემით იქნა შემოტანილი სესიაზე როგორც ბეიკერმა ჩამოიტანა, "მრეწველები" მას მხარს არ დაუჭერთ?**

- რა თქმა უნდა, არა. ეუთო-მ მიიღოს მონაწილეობა წარდგენაში, კი ბატონო, მაგრამ არა დამტკიცებაში.

**- თუ ასეთი სქემა მაინც მიიღეს, როგორ უნდა დაკომპლექტდეს ოპოზიციის კვოტა?**

- დარწმუნებული ვარ, რადგან ბეიკერმა დაიბარა, ეს გადაწყვეტილება მიღებული იქნება. სავარაუდოდ, მიღებული იქნება "ძველი მოქალაქეთა კავშირის" წარმომადგენლების მიერ – "მრეწველებისა" და "აღორძინების" გარეშე.

**- ბატონო ზურაბ, თქვენ ბეიკერის ოპოზიციასთან შეხვედრაზე არ დაგიძახეს. რატომ?**

- ამერიკის საელჩოს ძალიან არ მოსწონს ჩვენი პოზიცია. არ მოსწონს, რადგან ჩვენ ვართ საკმაოდ კატეგორიულნი და ვაფიქსირებთ ჩვენს პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ დღეს არჩევნების გაყალბებაზე საუბრობს ის ხალხი, ვინც აქტიურად აყალბებდა წინა არჩევნებს. ჩვენ რამდენჯერმე დავუპირისპირდით საელჩოს პოზიციას და არასასურველ პარტნიორად მოგვიჩნიეს.

**- იქნებ მიზეზი იმაში იყო, რომ "მრეწველების" პოზიცია ძალიან ხშირად ემთხვევა ხელისუფლების პოზიციას?**

- არც ამერიკის ელჩის და არც სხვა უცხოელის გადასაწყვეტია, ვინ არის ოპოზიცია და ვინ – არა. ეს ნიშნავს, რომ ამერიკის საელჩო ვერ გაერკვა საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში. და საერთოდ – ვერც იმაში გარკვეულა, რას ნიშნავს ოპოზიცია.

**- პრეზიდენტთან შეხვედრაზე მიდიხართ?**

- რა, იქაც არ უნდა წავიდეთ? მივდივართ, რა თქმა უნდა...

### ჯემალ გოგიტიძე, "აღორძინება"

**- ბატონო ჯემალ, საქართველო პრეზიდენტთან შეხვედრაზე მიდიხართ?**

- პრეზიდენტი ქვეყნის პირველი პირია და, აქედან გამომდინარე, თავს ვალდებულად ჩავთვლი, რომ მივიდე, თორემ ისე არაფერს ველი.

**- ბეიკერის ფორმულას "აღორძინება" მხარს არ დაუჭერს?**

- ჩემთვის გაუგებარია, რატომ უნდა ჰყავდეს 5 წევრი მთავრობას – რა დამსახურებისთვის, ხალხი რომ გარეკა ქვეყნიდან, ტერიტორიები რომ დაკარგა, თუ?.. ან რატომ უნდა ჰყავდეს "აღორძინებას" თანაბარი რაოდენობის წევრები ახალგამოჩეკილ პოლიტიკურ პარტიებთან, რომლებმაც შევარდნაძესთან ერთად ყვლიფეს ქვეყანა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ყველა "აღორძინების" წინააღმდეგია – ჩვენ ამ გამოწვევას მივიღებთ.

**- ბატონო ჯემალ, ოპოზიციის კვოტა როგორ უნდა შეივსოს?**

- ის, რაც ბატონმა ბეიკერმა წარმოგვიდგინა, ზოგადი ფორმულაა და რაღაც კონკრეტულ და დოგმატურ პრინციპებს არ შეიცავს. როგორ უნდა განაწილდეს ეს კვოტა, ჩემთვისაც გაუგებარია და ბატონი ბეიკერისთვისაც, მგონი, გაუგებარი იყო.

**- სავარაუდოდ, ხელისუფლების კვოტაში ავტონომიების მიერ დანიშნული წევრი ვერ მოხვდება?**

- ყოველ შემთხვევაში, დღეს რეალობაა ის, რომ ქვეყანაში ერთადერთი მოქმედი ავტონომიაა და თუ მის გარიყვას მოინდომებენ, ეს მათი პრობლემაა.

**P.S.** საღამოს ჯემალ გოგიტიძემ პოზიცია შეიცვალა - მან პრეზიდენტთან მისვლა გადაიფიქრა. „24 საათთან“ საუბარში ეს მან იმით ახსნა, რომ გადაწყვეტილების მიღება პარლამენტის პრეროგატივაა და, აქედან გამომდინარე, პრეზიდენტთან სალაპარაკო არაფერი აქვს.

## შალვა ნათელაშვილი პრეზიდენტთან შეხვედრაზე უარს ამბობს

*დღეისთვის საქართველოს პრეზიდენტი ოპოზიციას ხვდება. "24 საათის" ინფორმაციით, შეხვედრაზე არ აპირებს მისვლას "ლეიბორიტების" ლიდერი შალვა ნათელაშვილი. გუშინ მას ამ გადაწყვეტილების მიზეზებსა და ბეიკერის ვიზიტის შედეგებზე ვესაუბრეთ:*

**- ბატონო შალვა, აპირებთ საქართველოს პრეზიდენტთან მისვლას?**

- მე უკვე შევხვდი ჯეიმს ბეიკერს. მან დაადასტურა, რომ აშშ-ს ხელისუფლებამ გაიზიარა ლეიბორისტული პარტიის სქემა, რომ არჩევნები ჩატარდეს ეუთო-ს ეგიდით. ბატონი ბეიკერი გადასცემს ჯორჯ ბუშს ჩემს პოზიციას. ამდენად, აღარ მიმაჩნია საჭიროდ ბატონი შევარდნაძის შეწუხება, რადგან მის გარეშე გადაწყდა ყველაფერი.

**- ბატონო შალვა, როგორ უნდა გადანაწილდეს ოპოზიციის კვოტა?**

- სხვათა შორის, ეს საკმაოდ საეჭვო საკითხია. ჯერ ერთი, მე არ მივიჩნევ "მოქალაქეთა კავშირის" ყოფილ ლიდერებს ოპოზიციად. მე კი არა, ხალხი არ მიიჩნევს... ვინ გახდება ოპოზიცია, ვინ – პოზიცია, ვინ რომელ ბანაკში გადაბარგდება, ვინ სად გადაისეირნებს, ვინ ვის მიჰყიდის ბლანკებს – ხომ იცით, ბლანკების მიყიდვა ძალიან მომგებიანი ბიზნესია ბევრი პარტიისთვის - ძნელი სათქმელია. მთავარი ის არის, რომ არჩევნები უნდა ჩატარდეს ეუთო-ს ეგიდით. მემორანდუმში გარკვევით წერია, რომ ამერიკის ადმინისტრაციის განცხადებით დადასტურდება ან არ დადასტურდება არჩევნების ჩატარება.

**- იმ 10 პრინციპის დაცვა, რომელიც ბეიკერმა საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების სქემასთან ერთად ჩამოიტანა, რამდენად იქნება იმის გარანტია, რომ არჩევნების გაყალბება გამორიცხული თუ არა, შეზღუდული მაინც იქნება?**

- ვიცი ერთი რამ – ჩვენს მიერ წამოყენებული იდეის საფუძველზე შექმნილი აშშ-ს ადმინისტრაციის წინადადებების გაზიარება საქართველოში მინიმუმამდე დაიყვანს არჩევნების მასობრივი ფალსიფიცირების საფრთხეს. ჩვენ მასობრივი ფალსიფიცირების შეზღუდვაზე ვლაპარაკობთ და არა იმაზე, რომ გაყალბება საერთოდ არ იქნება. მთელი ამერიკა რომ ჩამოსახლდეს აქ, ჩვენი გეოპოლიტიკოსები რაღაცას მაინც მოახერხებენ.

*24 საათი*

### მოკლედ

## მკვლელობა ქუთაისის ცენტრში

გუშინ, გამთენიისას, ქუთაისში საზარელი მკვლელობა მოხდა. ცენტრალური ავტომაგისტრალის მიმდებარე ტერიტორიაზე ერთ-ერთ სავალუტო ჯიხურს სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ოთხი შეიარაღებული ნიღბიანი ყაჩაღი დაესხა თავს. ყაჩაღებმა იარაღის მუქარით ფული მოითხოვეს. წინააღმდეგობის გაწევისას თავდამსხმელებმა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაცხრილეს ჯიხურის მეპატრონე დემურ ირემაძე, ხოლო მისი ბიძაშვილი, რომელიც თავდასხმისას ჯიხურში იმყოფებოდა, მძიმედ დაჭრეს. ატეხილი ხმაურისა და მკვლელობის შემდეგ თავდამსხმელები გაიქცნენ და ისე დატოვეს იქაურობა, ჯიხურიდან ფულის გატაცებაც კი არ უცდიათ.

მიუხედავად იმისა, რომ გუშინ მთელი დღის განმავლობაში სამართალდამცველები დამნაშავეთა ცხელ კვალზე დაკავებისთვის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს ატარებდნენ, მათმა მცდელობამ შედეგი ვერ გამოიღო. რაც შეეხება მძიმედ დაჭრილ გენო ირემაძეს, როგორც კანონდამცველები აცხადებენ, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გუშინ საღამოს გაუმჯობესდა და მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

## დღეს მოსკოვში რუსეთი-საქართველოს მოლაპარაკებები გაიმართება

დღეს მოსკოვში საქართველოსა და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის გაიმართება კონსულტაციები. შეხვედრაზე მხარეები ინფორმაციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ სამთავრობათშორისო ხელშეკრულების პროექტს განიხილავენ. კონსულტაციებზე დელეგაციებს საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეები ვალერი ლოშჩინინი და მერაბ ანთაძე უხელმძღვანელებენ. როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, 1999 წლის შემდეგ ორი ქვეყნის საგარეო უწყებებს შორის მსგავსი კონსულტაციები აღარ გამართულა და იმედოვნებენ, რომ ეს შეხვედრა ხელს შეუწყობს საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული დაძაბული სიტუაციის განმუხტვას.

*მედია-ნიუსი*

### ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ელიზაბეტ ჯონსი ღირსების ორდენით დააჯილდოვა. ***ინტერ-პრესი***

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს თბილისს ევროკავშირის „სამეულის“ წარმომადგენლები ეწვევიან საქართველოში ევროკავშირის საგანგებო წარმომადგენლის დანიშვნის საკითხთან დაკავშირებით. ***მედია-ნიუსი***

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს უკრაინის ქალაქ იავოროვის სამხედრო პოლიგონზე დაიწყება ნატო-ს პარტნიორობა მშვიდობისთვის პროგრამით გათვალისწინებული მრავალეროვნული წვრთნები `მშვიდობის ფარი - 2003", რომელშიც მონაწილეობას მიიღებს საქართველოს შეიარაღებული ძალების სწრაფი რეაგირების შტაბის 32 ოფიცერი, ვიცე-პოლკოვნიკ ლევან კაპანაძის მეთაურობით. ***მედია-ნიუსი***

■ ■ ■

**თბილისი.** პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე არ გამორიცხავს ცხინვალის რეგიონის ლტოლვილთა პრობლემების გადასაწყვეტად სპეციალური სტრუქტურის შექმნას. ***პრაიმ-ნიუსი***

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ აფხაზეთის მეომართა კავშირის“ ოფისში 2 ივლისს დაწყებული შიმშილობის აქციის მონაწილეები საბურთალოს ქუჩიდან ყოფილი „იმელის“ შენობისკენ გაემართნენ, სადაც 200-მდე ადამიანი შეიკრიბა. ***ინტერ-პრესი***

■ ■ ■

**თბილისი.** პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის განცხადებით, აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში მიესალმება საქართველოს და რუსეთის პრეზიდენტების მიერ მარტში, სოჭში მიღწეულ შეთანხმებებს და საქართველოს მთავრობას ურჩევს, სოჭის დეკლარაციის სულისკვეთებით გადაწყდეს აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები. ***პრაიმ-ნიუსი***

■ ■ ■

**ქუთაისი.** ქუთაისში, სამხარეო ადმინისტრაციის შენობის წინ შეკრებილმა 100-მდე ადამიანმა იმერეთის გუბერნატორის დაუყოვნებლივ გადადგომა მოითხოვა და ამისთვის თემურ შაშიაშვილს ერთი კვირის ვადა მისცა. ***ინტერ-პრესი***

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის ვეტერანმეომართა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია „ამცახარა“ 10 ივლისისთვის დაგეგმილ რიგგარეშე ყრილობაზე მოითხოვს თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ვლადისლავ არძინბას ხელისუფლებიდან ჩამოშორებას კონსტიტუციურ ფარგლებში. ***ინტერ-პრესი***

■ ■ ■

***თბილისი.*** საპარლამენტო ფრაქციის „ტრადიციონალისტის“ წევრები რიგგარეშე სესიის მოწვევის მოთხოვნით პრეზიდენტთან ხელმოწერებს აღარ შეიტანენ და პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის ჰოლანდიიდან ჩამოსვლას დაელოდებიან. ***ინტერ-პრესი***

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## დაკონსერვებული კონფლიქტები – დესტაბილიზაციის კერები

### საქართველოს პარლამენტის დელეგაცია ეუთო-ში

*საქართველოში ჯეიმს ბეიკერის უდავოდ ისტორიული ვიზიტის დღეს, ანუ მაშინ, როცა ამერიკა საქართველოს არჩევნების ეუთო-ს ეგიდით ჩატარებას ურჩევდა, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეას სესიაზე მივლინებულმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ და საპარლამენტო დელეგაციამ როტერდამში პირველი შეხვედრები გამართეს.*

ნინო ბურჯანაძისა და ნიდერლანდების პარლამენტის სპიკერის ფრანს ვაისგლასის შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საპარლამენტო თანამშრომლობის, ნოემბერში საქართველოში დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების და კონფლიქტების დარეგულირებაში ეუთო-ს როლის გააქტიურების საკითხებს.

ნინო ბურჯანაძის თქმით, საპარლამენტო არჩევნების მაქსიმალურად სამართლიანად ჩატარება მისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია.

ვაისგლასმა აღნიშნა, რომ ნიდერლანდების პარლამენტი მზად არის, თავისი დამკვირვებლები გამოაგზავნოს საქართველოში.

ამავე დღეს პარლამენტის თავმჯდომარე შეხვდა ნიდერლანდების სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირად წარმომადგენელს ეუთო-ში დაან ევერსს, რომელიც ასევე დაინტერესდა მომავალი საპარლამენტო არჩევნებით. ნიდერლანდების წარმომადგენელმა ეუთო-ში ხაზი გაუსვა არჩევნების ღიად და საჯაროდ ჩატარებაში საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის დახმარების მნიშვნელობას, ვინაიდან ამ ორგანიზაციას საკმაოდ კარგი გამოცდილება აქვს მიღებული ბალკანეთსა და ბალტიისპირეთში. იგი ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობას სთხოვს, გააააქტიუროს საქართველოსთან თანამშრომლობა.

ნიდერლანდების სამეფო მზად არის, გამოგზავნოს რამდენიმე ათეული დამკვირვებელი. ევერსის აზრით, უმჯობესია დამკვირვებლები საქართველოში ჩამოვიდნენ არჩევნებამდე 6-8 კვირით ადრე, რათა მეთვალყურეობა განახორციელონ არა მხოლოდ არჩევნების კანონიერებაზე, არამედ წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობაზეც, რაც პრაქტიკულად, განსაზღვრავს არჩევნების ობიექტურობას.

აფხაზეთი საქართველოს პარლამენტის დელეგაციის ვიზიტის ერთ-ერთი მთავარი თემა გახლდათ.

გუშინ ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის მუდმივმოქმედმა კომიტეტმა განიხილა აფხაზეთის საკითხზე სპეციალური კომიტეტის ანგარიში. კომიტეტის თავმჯდომარემ ტონი ტინსგარდმა აღნიშნა, რომ, დიდი ძალისხმევის მიუხედავად, აფხაზეთის ხელისუფლება კვლავ უარს აცხადებს კომიტეტთან თანამშრომლობაზე. მისი თქმით, როგორც ჩანს, კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირება ჩიხშია შესული. სოჭის შეთანხმებაზე საუბრისას მან თქვა, რომ სოჭი-სოხუმის მონაკვეთზე სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის პარალელურად უნდა მოხდეს გალში იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნება. გაერო-მ, როგორც ობიექტურმა დამკვირვებელმა, უნდა განახორციელოს იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების პროცესის მონიტორინგი.

დღემდე ვერ ხერხდება გალში გაერო-ს ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისის ფილიალის გახსნა, კვლავ დღის წესრიგშია გუდაუთის სამხედრო ბაზის საკითხი. რუსეთის ფედერაციის მიერ გაკეთებული განცხადების მიუხედავად, არ არსებობს ეუთო-ს ან სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის ოფიციალური დოკუმენტი ბაზის დახურვის შესახებ.

ქალბატონმა ტინსგარდმა აღნიშნა, რომ ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია, რომელსაც ყველა წევრმა სახელმწიფომ უნდა სცეს პატივი.

საქართველოს დელეგაციის აზრით, კომიტეტის ძალისხმევის მიუხედავად, მისი საქმიანობა პრაქტიკულად უშედეგოა. კომიტეტის შემადგენლობაში რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლის ჩართვა განპირობებული იყო იმით, რომ რუსეთი (როგორც კონფლიქტის დარეგულირების მონაწილე სახელმწიფო) დახმარებას აღმოუჩენდა კომიტეტის წევრებს აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრაში. სამწუხაროდ, ეს ვერ იქნა მიღწეული.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე სიტყვით გამოვიდა ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის პლენარულ სხდომაზეც და დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის დარეგულირებაში ეუთო-ს როლის გააქტიურებაზე.

პარლამენტის თავმჯდომარემ იმედი გამოთქვა, რომ რუსეთის ფედერაცია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პატივისცემის შესახებ განცხადებებიდან კონკრეტულ ქმედებებზე გადავა.

ვიზიტი 11 ივნისამდე გაგრძელდება.

*24 საათი*

## სააკაშვილის კლასელობა ვერაფერი შეღავათია

### „ნაციონალები" დიღმის ტყე-პარკს იცავენ

სოფო ბუკია

**"მე არც კომუნისტი ვარ და არც მოშიებული, მაგრამ არავის მივცემ უფლებას ხალხს სუნთქვის საშუალება წაართვას. მე თქვენი საკრებულოს თავმჯდომარე ვარ და ბოლომდე თქვენთან ვიქნები,"** – არწმუნებდა მიხეილ სააკაშვილი გუშინ დიღმის ტყე-პარკში შეკრებილ სამასამდე დიღმელს.

ხუთი თვის წინ დარგული ნაძვების მოსანახულებლად და უკანონო მშენებლობების დასანგრევად "ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტები და ქალაქის ადმინისტრაციული პოლიციის თანამშრომლები დიღმის ტყე-პარკს ესტუმრნენ. საკრებულოს თავმჯდომარეს დიღმელები სახელდახელოდ დამზადებული ტრანსპარანტებით შეეგებნენ, სადაც "ჰაერისა და სუნთქვის საშუალების" გარდა, შევარდნაძის პოლიტიკასაც უჩიოდნენ. ყველაფერი ჩვეული სცენარით ვითარდებოდა, რომ არა ერთ-ერთი ნაკვეთის მეპატრონეები, რომელთაც "ნაციონალების" ეკოლოგიურ სულისკვეთებაში გარკვეული კორექტივები შეიტანეს. სწორედ ამ ნაკვეთზე წამოწყებული მშენებლობა გახლდათ სააკაშვილისა და მისი მხარდამჭერების გუშინდელი სამიზნე.

"წადით, თქვენი..." – ასე დაიწყეს საკუთარი სამფლობელოს დაცვა ნაკვეთთან გამაგრებულმა მეპატრონეებმა. სულ მალე ამ "უწყინარმა" შელაპარაკებამ წესების გარეშე ბრძოლის სახე მიიღო.

"ბიჭო, ვის ურტყამ, იცი, მე ვინ ვარ? შენი..."

"ვის აგინებ, შენი..."

"ნუთუ სკოლაში მაინც არ გისწავლიათ რამხელა მნიშვნელობა აქვს ბუნებას, ხეებს და, საერთოდ, მწვანე ზოლს. ხეები შეისუნთქავენ ნახშირორჟანგს და გამოყოფენ ჟანგბადს..."



*აყალ-მაყალი დიღმის ტყე-პარკში.*

"ქალბატონო, დავაი რა აქედან," – შეაწყვეტინეს ბიოლოგიის გაკვეთილი დიღმელ ჯულიეტა ლაზაშვილს.

ამ „სასიამოვნო" მასლაათისა და მუშტების დემონსტრირების შედეგად, "ნაციონალების" ორი აქტივისტი საავადმყოფოში მოხვდა, ერთს თავი გაუტეხეს, მეორეს ხელი მოტეხეს.

საბოლოოდ, ნაკვეთის ტერიტორიაზე შეღწევა და რკინის ბოძების გადახერხვა მაინც მოხერხდა, რაც, "ნაციონალების" ლიდერის თქმით, ხალხის დიდი გამარჯვებაა.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ 1995 წელს დიღმის ტყე-პარკის 18,5 ჰექტარი შპს "სანიმ" შეიძინა. როგორც ქალაქის მთავარი არქიტექტორი ირაკლი როსტომაშვილი ამბობს, "სანის" აღნიშნულ ტერიტორიაზე გასართობი ატრაქციონები უნდა აეშენებინა, ანუ დიღმის ტყე-პარკი უნდა შენარჩუნებულიყო რეკრეაციულ ზონად, როგორც ეს 1970 წლის თბილისის გენგეგმაშია აღნიშნული. შპს "სანის" ხელმძღვანელობამ შეძენილი ტერიტორია დაანაწევრა და 18 ფიზიკურ და იურიდიულ პირს მიჰყიდა, რომელთაგან უმრავლესობამ დიღმის ტყე-პარკში სახლების მშენებლობა წამოიწყო. **"ეგრე სად არის, ძმაო, ჯერ ყიდით და მერე უკანონოაო, რომ ამბობთ. ეს ნაკვეთი შევიძინე და რასაც მინდა, იმას გავაკეთებ, რა უფლებით შემოდიხართ ჩემს ტერიტორიაზე, კანონს რატომ არ იცავთ? სასამართლოს გადაწყვეტილება რომ გქონდეთ, მაშინ "პაჟალუსტა",** - ბობოქრობდა კოტე მიქაძე, რომელიც როგორც ნაკვეთის ერთ-ერთი მფლობელი, ისე გაგვეცნო.

იქვე ტრიალებდა შპს "სანის" პრეზიდენტი ნუკრი ჩაგანავაც, რომელიც, თურმე, მიხეილ სააკაშვილის კლასელი ყოფილა, მაგრამ ერთ მერხთან გატარებულმა ათმა წელმა ამ შემთხვევაში ბევრი ვერაფერი შეცვალა.

მიწის ნაკვეთის გააფთრებული მეპატრონეების დასაშოშმინებლად სააკაშვილმა პირობა დადო, რომ ოთხშაბათს აუცილებლად მოიწვევს საკრებულოს სხდომას, სადაც დიღმის ტყე-პარკის საკითხი განიხილება. **"ჩვენ ამ ხალხს კომპენსაციის სახით შევთავაზებთ მიწის ნაკვეთებს სხვაგან, სადაც არ იქნება მწვანე ზოლი,"** – აღნიშნა სააკაშვილმა.

რაც შეეხება "ნაციონალებისა" და დიღმელი მოსახლეობის მიერ ხუთი თვის წინ ერთობლივად დარგულ ექსასამდე ნაძვს, გუშინ დიღმის ტყე-პარკში მათი ნაკვალევიც კი არსად იყო. **"მოჭრეს, დაჩეხეს, გაანადგურეს, ბეტონის საძირკველში მოაყოლეს. ჩვენ ყოველდღე ვაწყობთ ამგვარ აქციებს, ნაკვეთების ახალი მეპატრონეები ყოველ დღე დიღმის ტყე-პარკში ჩამარხვით გვემუქრებიან,"** – ერთხმად გვიპასუხეს დიღმელებმა. მათ "სააკაშვილის კი სჯერათ", მაგრამ მაინც, ყოველი შემთხვევისთვის, სასამართლოში სარჩელის შეტანას გეგმავენ, რათა დაუპატიჟებელი სტუმრები საბოლოოდ გააძევონ ერთ დროს ტყე-პარკად წოდებული ტერიტორიიდან.

## პური არ გაძვირდება

### დაამედა სოფლის მეურნეობის მინისტრმა საკრებულოს თავმჯდომარე

სოფო ბუკია

ლეონიძის ოთხ ნომერში მდებარე სასურსათო მაღაზიის გამყიდველმა შორენამ გუშინ საკრებულოს თავმჯდომარე გაიცნო.

ლეონიძის ოთხში საკრებულოს თავმჯდომარეს ცხელი ფუნთუშები არ შეუძენია და არც შორენას გასაცნობად მისულა. სააკაშვილმა პურის მაღაზიაში სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით კირვალიძე დაიბარა და გაოცებული გამყიდვლებისა და ყბაჩამოვარდნილი მყიდველების თანდასწრებით პურის ფასის აწევასთან დაკავშირებული ახსნა-განმარტება ჩამოართვა. **"ბატონო მინისტრო, საქართველოში მოსახლეობის 80 პროცენტი პურს ვეღარ ყიდულობს. პრეზიდენტი კი პურის გაძვირების ამბავს ტელევიზორიდან იგებს,"** – ვერ აპატია სააკაშვილმა პატარა შეცდომა შევარდნაძეს.

**"შორენა, რა ღირს რუხი პური? თეთრი? აბა, მომეცით ჩვეულებრივი თეთრი პური სასწორზე ავწონოთ... ხედავთ, როგორ მოიმატა პურის ფასმა, რუხი პური ათი თეთრით ძვირი ღირს, თეთრი კი ერთი კილოგრამის ნაცვლად 900 გრამია. თუ ერთ კვირაში პურის ფასი ნორმაში არ ჩადგება, ხალხი ქუჩაში გამოვა,"** – გაოცებული შორენასა და მიხეილ სააკაშვილის დიალოგს პრეზიდენტის გუშინდელ რადიოინტერვიუში მკაცრად გაკრიტიკებული და "უკანასკნელად გაფრთხილებული" კირვალიძე მშვიდად ადევნებდა თვალს, შემდეგ კი ჟურნალისტებისთვის კომენტარი ძეხვისა და სადიას ბარკლების ფონზე გააკეთა. მინისტრმა დაამშვიდა საკრებულოს თავმჯდომარე და უთხრა, რომ პურის ფასთან დაკავშირებით ატეხილი აჟიოტაჟი უსაფუძვლოა. **"ხუთთეთრიანი ცვალებადობა პურის ფასში ყოველთვის იყო, რადგან პურის ფასს ბაზარი განსაზღვრავს. ეს ნამდვილად არ არის საგანგაშო, საქართველოს ბაზარი ადგილობრივი ხორბლით გაჯერებულია. 200 ათასი ტონა მოსავალი, რომელიც საქართველოში წელს იქნება, იმის გარანტიაა, რომ პური არ გაძვირდება,"** – განაცხადა კირვალიძემ.

## სემეკი ორ ცეცხლს შუა მოექცა

### შესაძლოა, ელექტროენერგიის ტარიფი ისევ გაიზარდოს

*გუშინ საოლქო სასამართლომ ენგურჰესის თანამშრომელთა მიერ ელექტროენერგიის საფასურში სადგურის წილის შემცირების გამო სემეკის წინააღმდეგ აღძრული სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და სემეკ-ს ტარიფის თავიდან გადასინჯვა მოსთხოვა. საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ენგურჰესმა სემეკ-ში ტარიფის გადასინჯვის მოთხოვნით ახალი განაცხადი უნდა შეიტანოს, სემეკ-მა კი შესაბამისი ეკონომიკური გათვლების შედეგად ელექტროენერგიაზე ახალი ტარიფი დააწესოს, სადაც სადგურის ინტერესებს გაითვალისწინებს. მაგრამ სანამ სემეკი ტარიფს არ დაამტკიცებს, მოსახლეობა დენის საფასურს ამჟამად მოქმედი ტარიფით გადაიხდის.*

მაია ურუშაძე

საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება მისაღები აღმოჩნდა ენგურჰესის რეაბილიტაციის პროექტის მთავარი დონორის – ევრობანკისათვის, რომელიც სადგურის რეაბილიტაციის მიზნით 35 მილიონი დოლარის გამოყოფას გეგმავდა, ელექტროენერგიის ტარიფში ენგურჰესის წილის შემცირებისთანავე კი პროექტის დაფინანსება შეაჩერა.

სამაგიეროდ, ენგურჰესის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში სემეკ-ს ელექტროენერგიის ტარიფში ენგურჰესის წილის გაზრდა მოუწევს. სემეკ-ის თავმჯდომარე ელიზბარ ერისთავი შიშობს, რომ **„ამას ჯაჭვური რეაქცია მოჰყვება და თავისი წილის გაზრდას ელექტროგენერაციისა თუ გადაცემა-დისპეტჩერიზაციის კომპანიებიც მოითხოვენ."** ელიზბარ ერისთავი არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა, ახლა ტარიფი ისევ ძველ ნიშნულს დაუბრუნდეს.

**„ჩვენ ტარიფის დადგენისას მრავალი კრიტერიუმით ვსარგებლობთ,** - განუცხადა გუშინ „24 საათს" სემეკ-ის თავმჯდომარემ, - **გვაქვს სამი სიდიდე: მინიმალური, საშუალო და მაქსიმალური. მინიმალური ტარიფი ნიშნავს, რომ დარგი წაგებაზე არ იმუშავებს, მაგრამ განვითარებისთვის თანხებს ვერ დააგროვებს. საშუალო ტარიფის შემთხვევაში, მიმდინარე რემონტების დაფინანსება ხერხდება, ფართომასშტაბიანი ინვესტიციების განხორციელებაზე კი საუბარი გამორიცხულია. რაც შეეხება მაქსიმალურ ტარიფს, რომელსაც გასულ წელს „ეი-ი-ეს თელასი" ითხოვდა (მაშინ სემეკ-მა ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა), ის დარგში ინვესტირებას და განვითარებას ისახავს მიზნად. საქართველოში ჩვენ მაქსიმალური ტარიფი არასოდეს გვქონია. დადგენილი გვქონდა ზომიერი ტარიფი, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე კი ენგურჰესსა და კიდევ რამდენიმე კომპანიას მინიმალური ტარიფი დავუწესეთ."**

ვინაიდან საოლქო სასამართლოს გუშინდელი გადაწყვეტილება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გასული წლის ბოლოს მიღებულ გადაწყვეტილებას აშკარად ეწინააღმდეგება, შესაძლოა, საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დარღვევის პრეცედენტი შეიქმნას.

დაბოლოს: როგორც მოსალოდნელი იყო, საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებამ „ლეიბორისტების" რისხვა გამოიწვია.

ელექტროენერგიის ტარიფთან დაკავშირებული ბაქანალია იმთავითვე პოლიტიკურ თამაშად იქნა აღქმული. ერისთავი აცხადებს, რომ **„მიმდინარეობს ენერგეტიკის ხელოვნური ნგრევა და დარგის ინტერესები პოლიტიკურ კონიუნქტურას ეწირება."**

**„...ფაქტი კი ჯიუტია: დენი რომ იყოს, ენერგეტიკას შემოსავალი სჭირდება..."** – აცხადებენ რიგითი ენერგეტიკოსები, რომელთათვისაც უფულობა და უხელფასობა უკვე მრავალი წელია, რაც ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

## სავალუტო ფონდის მისია დასრულდა

პირველი გვერდიდან

განხორციელება და დამატებით 38 მილიონი ლარის მობილიზება მოუწევს. სავალუტო ფონდის დასკვნით ანგარიშში დეტალურადაა გაწერილი, თუ რომელ უწყებას რამდენით უნდა შეუმცირდეს მიმდინარე წელს ხარჯები, ასევე მოცემულია ის სქემა, რომლითაც საგადასახადო შემოსავლების დამატებითი მობილიზება უნდა მოხდეს. ყველაზე დიდი სეკვესტრი ძალოვანი უწყებების სამინისტროებს ხვდათ წილად – მათი ხარჯები 2003 წელს 20 მილიონი ლარით შეიკვეცება, საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი ხარჯები 13,5 მილიონი ლარით შემცირდება, ადგილობრივი ბიუჯეტების ტრანსფერტები – 8 მილიონი ლარით, ჯანდაცვის პროგრამები – 6,5 მილიონი ლარით, პრეზიდენტის საინვესტიციო ფონდის ხარჯები – 5 მილიონი ლარით, სოფლის მეურნეობის პროგრამები – 4,4 მილიონი ლარით და ა.შ. სეკვესტრირებულთა სიაში მოხვდნენ შემდეგი უწყებები: საქართველოს პარლამენტი, საელჩოები, კულტურის სამინისტრო, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო, სახელმწიფო ტელერადიოკორპორაცია, საგზაო ფონდი და სპორტის დეპარტამენტი.

რაც შეეხება საგადასახადო შემოსავლების გეგმის გაზრდას, სავალუტო ფონდის რეკომენდაციების თანახმად, უნდა მოხდეს საგადასახადო ადმინისტრირების გამკაცრება და ახალი გადასახადების შემოღება მთელ რიგ სფეროებზე. კერძოდ, დასკვნით ანგარიშში ნათქვამია, რომ ფინანსთა სამინისტრომ უნდა შემოიღოს აქციზური გადასახადი მობილურ ტელეფონებზე, საიდანაც 4 მილიონი ლარის მობილიზება მოხდება. ასევე უნდა მოხდეს კოოპერატიული მშენებლობების დაბეგვრა (2 მილიონი ლარი), გადასახადების გაზრდა სათამაშო ბიზნესზე (2 მილიონი ლარი), ბაზრობებსა და გარე ვაჭრობებზე (1 მილიონი ლარი). სავალუტო ფონდი ასევე მოითხოვს ფინანსთა სამინისტროს საგანგებო ლეგიონისათვის საგამოძიებო უფლების მინიჭებას, რაც თავის მხრივ ფისკალურ ეფექტს გაზრდის. ამას გარდა, დასკვნით ანგარიშში მითითებულია, რომ უნდა მოხდეს აგრობიზნესბანკის პრივატიზაცია, საიდანაც სახელმწიფო 5 მილიონ ლარს მიიღებს.

სავალუტო ფონდის მიერ დატოვებულ დოკუმენტში საუბარია აგრეთვე იმ მიზეზებზეც, რის გამოც სახელმწიფო ბიუჯეტში ამხელა დეფიციტი შეიქმნა. კერძოდ, ქვეყანამ ვერ მიიღო გრანტები 23 მილიონი ლარის ოდენობით, არ განხორციელდა პრივატიზაციის გეგმა, საიდანაც 25 მილიონი ლარის მობილიზება ივარაუდებოდა, აჭარიდან არ გადმოირიცხა 40 მილიონი ლარი და ა.შ.

სავალუტო ფონდის მისიის შემდეგი მოთხოვნები შეეხება ენერგეტიკის ტარიფის გაზრდას და სემეკისათვის ავტონომიის მინიჭებას. დასკვნით ანგარიშში ნათქვამია, რომ სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ელექტროენერგიის პირვანდელი ტარიფის აღდგენის თაობაზე და ეს 15 აგვისტომდე უნდა განხორციელდეს. როგორც ცნობილია, გუშინ საოლქო სასამართლომ დააკმაყოფილა ენგურჰესის სარჩელი და სემეკ-ს ელექტროენერგიის ტარიფის გადასინჯვა დაავალა. სავალუტო ფონდი აგრეთვე მოითხოვს, ფინანსთა სამინისტრომ დაფაროს ივნისის თვის სახელფასო და საპენსიო ვალდებულებები, რათა დავალიანება კვლავ არ გაიზარდოს. მეოთხე მოთხოვნა კი საგადასახადო კოდექსის გამარტივებას შეეხება. როგორც ცნობილია, პარლამენტში წარდგენილია საგადასახადო კოდექსში განსახორციელებელი ცვლილებების პაკეტი, რომლის მიღებაც საკანონმდებლო ორგანომ ვერ მოასწრო.

სავალუტო ფონდი ასევე მზადაა, ტექნიკური დახმარება გაუწიოს საქართველოს სახელფასო და საპენსიო დავალიანებების ფასიანი ქაღალდებით დაფარვის საკითხში. როგორც ფინანსთა მინისტრის მოადგილე ვასილ გიგოლაშვილი აცხადებს, ამჟამად აღნიშნული დავალიანება 220 მილიონ ლარს შეადგენს. სავალუტო ფონდი მოითხოვს, რომ მთავრობამ ეს თანხა შიდა ვალში აიღოს და სამ წელიწადში დაფაროს. გიგოლაშვილის ინფორმაციით, სამ თვეში მომზადდება შესაბამისი დოკუმენტი, რომელსაც სავალუტო ფონდი განიხილავს.

სახელმწიფო მინისტრის მოადგილის გიორგი ისაკაძის განცხადებით, უახლოეს დღეებში გამოვა პრეზიდენტის განკარგულება, რომლის მიხედვითაც, კონკრეტულ უწყებებს მოცემულ ვადებში სავალუტო ფონდის მოთხოვნების შესრულება დაევალებათ. დასკვნითი ანგარიშის თანახმად, თუ საქართველოს მთავრობა 15 აგვისტომდე ამ ვალდებულებების შესრულებას შეძლებს, მაშინ 25 აგვისტოს ქართული დელეგაცია ვაშინგტონს გაემგზავრება **"იმ მიზნით, რომ დასრულდეს მუშაობა 2003 წლის ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკის შესახებ მემორანდუმზე, რომელიც 10 ოქტომბერს დირექტორთა საბჭოს უნდა წარედგინოს,"** – ნათქვამია 2003 წლის 7 ივლისის დასკვნით ანგარიშში.

ყოფილი ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი აცხადებს, რომ მთავრობა ვერანაირად ვერ შეძლებს სავალუტო ფონდის წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულებას. ნოღაიდელის აზრით, ახლა სწორედ ის დროა, როცა ცალკეული პირების პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დაისვას. **"ვიღაცის პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დაისვას, ვიღაცა უნდა ჩამოშორდეს სახელმწიფო სამსახურს, ვიღაცა საერთოდ აღარ უნდა გაეკაროს ფინანსებს და ვიღაცა ციხეში უნდა ჩაჯდეს. ხოლო ვინ რომელ კატეგორიაში უნდა მოხვდეს, ამას არ უნდა ბევრი ძიება. ამ ადამიანებმა ქვეყანა ფინანსურ კრახამდე მიიყვანეს,"** – აცხადებს ზურაბ ნოღაიდელი.

მოკლედ

### ნონა გაფრინდაშვილის ყველაზე საპასუხისმგებლო პარტია

„ახალმა მემარჯვენეებმა" წინასაარჩევნო კამპანია სამეგრელოდან დაიწყეს. დილიდან შეხვედრები ამომრჩევლებთან აბაშასა და ცაიშში გაიმართა.

ზუგდიდში „ახალმა მემარჯვენეებმა" მოინახულეს ჭადრაკის სკოლა, დადიანების სასახლე, მეხუთე საშუალო სკოლა, რომელსაც ამ რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ნონა გაფრინდაშვილმა 500 ლარი გადასცა.

ნონა გაფრინდაშვილის ოფიციალური წარდგენა ზუგდიდის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატად ზუგდიდის ქაღალდის კომბინატის სააქტო დარბაზში შედგა.

**„ბევრჯერ მიღელვია ჭადრაკის საპასუხისმგებლო პარტიის წინ, მაგრამ აქ იწყება ჩემს ცხოვრებაში ყველაზე საპასუხისმგებლო პარტია, რომლის წაგების უფლებაც არ მაქვს",** — განუცხადა ამომრჩევლებს ნონა გაფრინდაშვილმა და მოსახლეობას მხარში ამოდგომას შეჰპირდა.

*მედია-ნიუსი*

### არჩევნები და კონფლიქტები – ეუთო-ს ინტერესთა ვექტორი

ეუთო-ს გენერალური მდივანი იან კუბიში საქართველოში თავისი ვიზიტის პირველ დღესვე აცხადებდა, რომ საქართველოსა და ეუთო-ს თანამშრომლობის საკითხების ყველა დონეზე გასარკვევად ჩამოვიდა.

გუშინ, დღის ბოლოსთვის, საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართული შეხვედრის შემდეგ მხოლოდ იმის გარკვევა მოხერხდა, რომ ეუთო-ს, საქართველოში არსებული კონფლიქტების გარდა, მოახლოებული საპარლამენტო არჩევნებიც ძალზე აინტერესებს. **„ეუთო ამ არჩევნებისათვის ხანგრძლივი ვადით თავის დამკვირვებელთა სერიოზულ წარმომადგენლობას მოავლენს. დამკვირვებლები რეკომენდაციებს შეიმუშავებენ და ჩვენს ხელისუფლებასაც შესთავაზებენ. თუმცა, იქნება თუ არა ეუთო აქტიურად ჩართული ჩვენი ცენტრალური საარჩევნო კომისიის მუშაობაში, უკვე ვენაში გადაწყდება; იქ, სადაც წყდება ხოლმე საერთოდ ასეთი საკითხები".**

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის დავით აფციაურის განმარტებით, საუბარი კონფლიქტებსაც შეეხო. გალის რაიონში ეუთო-ს მისიის წარმომადგენლობა უნდა გაიხსნას, რაც კონფლიქტის ზონაში დევნილთა უსაფრთხო დაბრუნების ერთ-ერთ გარანტიად მიიჩნევა.

მალხაზ კაკაბაძის განცხადებით, ეუთო-ს წარმომადგენლებთან შეხვედრისას მათ დეტალურად განიხილეს ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტების საკითხები და **"ეუთო ცალსახად მომხრეა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა".**

*24 საათი*

## მოიცდის პედაგოგების ხელფასი?

2003 წლის 1-4 ივლისის პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები

| № | დასახელება | თანხა (ათას ლარებში) |
|---|---|---|
| 1 | საბიუჯეტო ორგანიზაციების მაისის თვის შრომის ანაზღაურება | 4,723.0 |
| | [illegible] | 2,884.0 |
| | [illegible] | 1,839.0 |
| 2 | საბიუჯეტო ორგანიზაციების ივნისის თვის შრომის ანაზღაურება | 1,843.3 |
| | [illegible] | 85.0 |
| | [illegible] | 1,758.3 |
| 3 | ტრანსფერტი სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს | 1,400.0 |
| 4 | სხვა საქონელი და მომსახურება | 41.2 |
| | [illegible] | 30.0 |
| | [illegible] | 11.2 |
| 5 | სარეზერვო ფონდი | 30.0 |
| | [illegible] | 30.0 |
| 6 | სხვადასხვა ხარჯები | 92.4 |
| | [illegible] | 35.0 |
| | [illegible] | 6.5 |
| | [illegible] | 1.2 |
| | [illegible] | 49.7 |
| 7 | ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო | 3,173.0 |
| | [illegible] | 3,173.0 |
| 8 | [illegible] | 3,329.3 |
| | [illegible] | 3,079.1 |
| | [illegible] | 250.2 |

მთავრობას ჯერ არ დაუდგენია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ცხრა თვის გეგმა, ამიტომ შემოსავლების ინფორმაციას წარმოგიდგენთ ექვს თვესა და წლიურ გეგმებთან შედარებით.

7 ივლისისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ექვსი თვის გეგმა შესრულებულია 84 პროცენტით, ხოლო წლიური გეგმა – 40 პროცენტით.

წინა კვირას, როგორც იქნა, დასრულდა მაისის თვის ხელფასების დაფინანსება,

დაფინანსდა ივნისის თვის ლტოლვილთა შემწეობა. აგრეთვე 1,4 მილიონი ლარის ტრანსფერი გადაირიცხა სოციალურ ფონდში.

ჯერ არ დაფინანსებულა პედაგოგების ივნისის თვის ხელფასები, რომ არაფერი ვთქვათ პედაგოგების საშვებულებო თანხებზე.

თუმცა, დაფინანსდა თავდაცვის სამინისტროს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამისა და უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის ივნისის თვის ხელფასები. ეტყობა, თავდაცვის მინისტრის ფინანსთა სამინისტროში სტუმრობამ შედეგი გამოიღო.

საზოგადოებამ უნდა მიიღოს პასუხი კითხვაზე: რატომ აღარ წარმოადგენს საქართველოში პრიორიტეტს პედაგოგების ხელფასები?

*საკონსულტაციო ფირმა „დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე".*

## საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის განცხადება საქართველოს სახელმწიფო საზღვრების შესახებ

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და ახალი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი უმნიშვნელოვანეს მიჯნაზე დგას. საბოლოოდ უნდა განისაზღვროს ქვეყნის საშინაო და საგარეო პრიორიტეტები და მოისპოს იმის ილუზია, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში დამოუკიდებელი სახელმწიფოების არსებობა წარუმატებელი იდეაა.

ერთ-ერთი უპირველესი მიმართულება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაჭრა, გახლავთ საქართველოს სახელმწიფო საზღვრების ჩამოყალიბება და მეზობელ სახელმწიფოებთან მიმდინარე მოლაპარაკებების შეძლებისდაგვარად მოკლე დროში დამთავრება.

ჩვენ წლების განმავლობაში ვადევნებთ თვალყურს აღნიშნულ პროცესს და, მსოფლიოში არსებული გამოცდილების გათვალისწინებით, კარგად ვაცნობიერებთ, თუ რა სირთულეებთანაა დაკავშირებული მსგავსი მოლაპარაკებები.

სწორედ ამიტომ, მიგვაჩნია, რომ საჭიროა საქართველოს ხელისუფლების ყველა შტოს მაქსიმალური აქტიურობა, რათა სახელმწიფო კომისიას, რომელიც აწარმოებს მოლაპარაკებებს საზღვრების საკითხებზე, შეექმნას ხელშეწყობის პირობები, რომ დასახული ამოცანა წარმატებით გადაიჭრას. ამავე დროს, პრინციპულად მიგვაჩნია, რომ საზღვრების თემა იქცეს ქვეყნის პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად და სწორედ ამ ხელისუფლების მოღვაწეობის პერიოდში დასრულდეს მათი, როგორც სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტის ჩამოყალიბება.

ჩვენ ასევე მივმართავთ პარტნიორი მეზობელი სახელმწიფოების უმაღლეს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, გამოიჩინონ მაქსიმალური ძალისხმევა აღნიშნული პროცესის წარმატებით დასასრულებლად, ვინაიდან საკითხი მნიშვნელოვანია მათი ეროვნული ინტერესების განხორციელებისთვისაც.

საზღვრების პრობლემის გადაწყვეტა წარმოადგენს როგორც ჩვენი, ისე მოსაზღვრე სახელმწიფოების პოლიტიკური და ეკონომიკური უსაფრთხოების ერთ-ერთ უმთავრეს პირობას, რამაც, საბოლოო ჯამში, უნდა შექმნას სამხრეთ კავკასიის სტაბილურობის მნიშვნელოვანი წინაპირობა. ამავე დროს, სახელმწიფო საზღვრების ჩამოყალიბება სერიოზული ნაბიჯი უნდა გახდეს რეგიონში საერთო მსოფლმხედველობის დამკვიდრების და მისი სრულმასშტაბიანი ინტეგრაციის გზაზე.

*2003 წლის 7 ივლისი*

# „საქართველოს მთავრობის შიშით ვერაფერი განვაცხადეთ"

## გატაცებული ესპანელების ჩვენება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. N184

„კაკომ" გვითხრა, რომ „კაპიტანი" არ არის ჯარისკაცი. ჯარისკაცები იყვნენ მხოლოდ „სანი" და „ნაილსი", რომლებიც ჩეჩნები არიან და ასლან მასხადოვის დაქვემდებარებაში იმყოფებიან, ხოლო ყველა დანარჩენი ქართველები იყვნენ. ისიც შევიტყვეთ, რომ ვინმე „ხოსუ", რომელიც გამოიქცა ციხიდან 2001 წლის მარტში და შეუერთდა ამ ჯგუფს, „კაპიტნის" მეგობარი იყო. „კაკოს" თქმით, „კაპიტანმა" გაიტაცა ვიღაც ქართველი, რომლის გათავისუფლებაში ითხოვდა 250 000 დოლარს. ამ თანხის ნაწილის მიღების შემდეგ „კაპიტანი" იწყებს ურთიერთობას გატაცებულის ქალიშვილთან, მოჰყავს ცოლად და უჩნდებათ ვაჟი, მაგრამ პოლიცია ცდილობს მის დაკავებას და „კაპიტნის" მეუღლის მამა აგზავნის ქალიშვილსა და შვილიშვილს რუსეთში, ვინაიდან არ უნდა, რომ მისი შვილი გაერიოს ამ საქმეში. „კაკო" ყვება „კაპიტნის" ისტორიას: მამა ქართველი ჰყავს, დედა - ჩეჩენი. ისიც გაგვახსენდა, რომ „კაპიტანმა" გადარეკა დასთან გერმანიაში. „გოთი" არის ქართველი ბანდიტი, რომელიც ლტოლვილია პანკისში, სადაც არიან მუსულმანები, ქართველი ბანდიტები, აზერბაიჯანელები, ქისტები, ჩეჩნები და სხვები. იქ, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით, ნარკოტიკებს ამზადებდნენ, ძირითადად ჰეროინს, რომელსაც ასაღებდნენ რუსებზე, ინგუშეთში იარაღის გაცვლის საფასურად. ამ ბიზნესში არიან ქართველი მუსულმანები, ხოლო ეს პროდუქტი ჩეჩნებს გადააქვთ. აგრეთვე გვიამბო, რომ „კაპიტანმა" გაიცნო ორი ჟურნალისტი, რათა ინტერპოლს ამოეგდო მისი სახელი და გვარი კომპიუტერიდან, რასაც მიაღწია. ასევე მოგვიყვა, რომ „ნაილსი" რუსებს ჰყავდათ ექვსი თვე დაკავებული და ის ჩეჩნებმა გაათავისუფლეს.

მთელი სექტემბრის განმავლობაში „ნაილსმა" სამჯერ გვინახულა. პირველად „კაკოს" დახმარებით გვიამბო, რომ მისი ძმა მსახურობს ჩეჩნების ჯარში და იგნორირებას უკეთებს მის ტერორისტულ საქმიანობას. მეორედ გვიამბო, რომ შეხვდა ალექსას, რომელმაც შესთავაზა 1 000 000 დოლარი, ეს შეხვედრა ჩეჩნეთის საზღვარზე მოხდა. მოგვიყვა, რომ „კაპიტანი" ძალიან გაბრაზდა, როცა შეიტყო ალექსას ჩეჩნებთან მოლაპარაკების ამბავი. ეს რომ სიმართლე გამომდეგარიყო, „კაპიტანი" თქვა, რომ თბილისიდან მომავალ გზაზე გაანადგურებდა ესპანელებს. ჩვენზე 1 000 000 დოლარს და ჩვენზენ კი 100 000 დოლარად უნდათ გაცვალონ ლარი, - ბრაზობდა „კაპიტანი".

მესამედ რომ გვინახულა „ნაილსმა", გვითხრა, რომ ფული თითქოს უკვე გამოგზავნილი იყო, მაგრამ „კაპიტნის" შესახებ არაფერი იცოდა. იმასაც ფიქრობდა, „კაპიტანმა" ეს თანხა აიღო და ჰაერში დაგვტოვა გამოკიდებული ორ ესპანელთან ერთად.

„კაკო" გვეუბნებოდა, რომ „სანი" ჯარისკაცია, მაგრამ იგი ჯარიდან გაუშვეს. „სანის" დედა ქართველი ყავს, მამა - ჩეჩენი. ქართველ ცოლთან ვაჟი ჰყავს, რომელიც ერთი წელია, არ უნახავს, რადგანაც სიდედრმა ისინი თბილისში წაიყვანა. გვეუბნება, რომ ვინმე „ნემო" 10 აგვისტოს პანკისში ბრმა ტყვიამ იმსხვერპლა. მის სიკვდილს „კაპიტანი" იტყობინება. ბოლო თვეების მანძილზე ტერორისტები ძალიან ანერვიულებულები იყვნენ. არ გვაძლევდნენ ოთახიდან გასვლის უფლებას. ოთახი საპირფარეშოდ იქცა, ღამღამობით სროლის ხმა და ქალის კივილი გვესმოდა. 17 ოქტომბერს, დაახლოებით 4 საათზე ძლიერი აფეთქების ხმა მოგვესმა, შევიტყვეთ, რომ „გოთის" ტუალეტი ააფეთქეს, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა. ვიტყობთ იმ ამბავსაც, რომ მილიციამ დააკავა მისი მეუღლე, რომელსაც ვიღაცასთან წერილი მიჰქონდა.

11 სექტემბერს ვიგებთ, რომ ნიუ-იორკში შეეჯახნენ ტყუპებს, რომ ბინ ლადენი ეხმარება ჩეჩნებს და პანკისის მოსახლეობას. ასევე ვიგებთ იმასაც, რომ საქართველოს პრეზიდენტი ჩეჩნებს არანაირ წინააღმდეგობას არ უწევს და პანკისი სხვა ქვეყანაა, რომელსაც არ ჰყავს არც პრეზიდენტი და არც სხვა მმართველი. ერთ-ერთ სახლში, სადაც ვიმყოფებოდით, ვიღაც კაცი და ორი ბავშვი იყო. ბიჭს ალექსანდრე ერქვა, გოგოს - მარიამი. როგორც კი მოსაღამოვდებოდა, კაცი დაანთებდა კოცონს და თავის თავს ესაუბრებოდა. რამდენიმე დღის მერე ეს კაცი ველარ დავინახეთ და შევიტყვეთ, რომ შემთხვევით, „ნაილსის" გასროლილი ტყვიით გარდაიცვალა.

17 ოქტომბერს ხოსე ანტონიო უკავშირდება მის მეუღლეს და აწვდის ინფორმაციას, რომ ბანდიტების შუამავალი ვინმე „შამსუდინი" უნდა დაკავშირებოდა მას. მეორე დღეს მაიძულებენ, დავურეკო ჩემს მეუღლეს და გავაგონო ჩემი ხმა, რადგან ჭორი დაიყარა, თითქოს ჩვენ მოგვკლეს.

„კაკო" გვიამბობს, რომ „შამსუდინი" იყო ვინმე ჩეჩენი და რომ ჩვენ გაგვათავისუფლებდნენ სამ-ოთხ დღეში. ორი თუ სამი დღის შემდეგ ტერორისტები ძალიან აგრესიულები გახდნენ. არ გვაძლევდნენ საჭმელს, ტუალეტში მიგდიოდით შეზღუდულად. „კაკო" იმასაც გვეუბნებოდა, რომ „ლუისმა" ნახა „შამსუდინი" თბილისის აეროპორტში. უფრო მოგვიანებით შევიტყვეთ ისიც, რომ „ლუისმა" დატოვა თბილისი და ესპანეთში წავიდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ხოსე ანტონიოს სთხოვენ, დაუკავშირდეს თავის ძმას, მაგრამ ის უკავშირდება მამას და სთხოვს ფულის დროზე გადახდას, თუ არა და მოაჭრიან ყურს. მას არ ამთავრებინებენ საუბარს და სამი ტერორისტი ურტყამს. მერე ქვემოდან მესმის ხოსე-ანტონიოს ტირილის ხმა. ეს სამი ტერორისტი ძალიან ხშირად მობილური ტელეფონით ესაუბრებოდა ვინმე მამუკას, თედით დანარჩენებთან დაკავშირებას, მოგვკლავდნენ ჩვენც და იმათაც. რამდენიმე დღის შემდეგ ვატყობთ, რომ სახლში აღარ არის ბევრი მისვლა-მოსვლა. ჩვენს გვერდით ოთახში იყვნენ ქალი და ბავშვი. 27 რიცხვში, ნოემბერს, დაღამებისას ფეხით სადღაც წაგვიყვანეს. მივუახლოვდით ჩეჩნების ბაზას. იქ ვნახეთ „კაკო" და „სანი". მათთან ერთად კიდევ ორი უცნობი იყო. ორივე კარგად შეიარაღებული იყო და გვანიშნეს, რომ ჩუმად ვყოფილიყავით. არ უნდოდათ, ვინმეს ჩვენი იქ ყოფნის ამბავი შეეტყო. შეგვიყვანეს ოთახში, მოგვცეს საპარსი და ჯაგრისი, ახალი (მეორადი მოხმარების) ტანსაცმელი, რომელსაც საშინელი სუნი ჰქონდა და გვანიშნეს, რომ ჩვენი განთავისუფლება ნებისმიერ მომენტში შეიძლება მომხდარიყო, მაგრამ ამ სახლში კიდევ ორი დღე-ღამე დავყავით. მეორე დღეს, მოსაღამოვებისას, „კაკოს" წყალი ვთხოვე, რაზეც მიპასუხა, ცოტაც მოითმინეთ და მალე გაგათავისუფლებთო. ერთი საათის შემდეგ ჩაგვსხეს "ლადაში", 10 წუთში გააჩერეს და გადაგვიყვანეს სხვა "ლადაში", სადაც ვნახეთ სამი უცნობი ადამიანი. მანქანა დაიძრა. ლაპარაკის თავიც არ გვქონდა, რომ გვეკითხა, სად მივდიოდით. შემდეგ მანქანა ხალხმრავალ ადგილას გააჩერეს. ჩვენთვის გასაგები იყო, რომ კიდევ კარგა ხანს არ გაგვათავისუფლებდნენ. გადმოგვიყვანეს მანქანიდან და 5 წუთის შემდეგ გადაგვსვეს დიდ მანქანაში, რომელსაც ტყავის სავარძლები ჰქონდა. მანქანაში ჩასხდომისას გაგვიხსნეს ხელები. ვიღაცა ინგლისურად დაგველაპარაკა და გვითხრა, რომ თავისუფლები ვიყავით და მალე იმ სახლში მივიდოდით, სადაც ჩემი მეუღლე იმყოფებოდა. შემდეგ დარეკეს თბილისში და ჩემს მეუღლესთან დამალაპარაკეს. მანქანა გზაზე არც ერთ პოლიციელს არ გაუჩერებია. მივუახლოვდით სახლს, სადაც ჩვენი მეუღლეები, ესპანელი პოლიციელი და დიპლომატი გველოდებოდნენ. განთავისუფლების შემდეგ წაგვიყვანეს უშიშროების სამინისტროში, სადაც უამრავი ხალხი იყო. იქიდან სხვა სამინისტროში წაგვიყვანეს, სადაც ჩემი ძმა გველოდებოდა. მეორე დღეს გვთხოვეს, რომ რაიმე მოგვეყოლა, მაგრამ პოლიციის და მთლიანად საქართველოს მთავრობის შიშით ვერაფერი განვაცხადეთ.

**კითხვა:** გახსოვთ თუ არა იმ პიროვნებების, ტერორისტების აღნაგობა, ვინც თქვენთან ერთად იყო ამ პერიოდის მანძილზე?

**პასუხი:** „ტორო" იქნებოდა დაახლოებით 170-175 სმ, ჩასხმული, პატარა ხელებით და მსუქანი თითებით, დაახლოებით 45 წლის.

„კაპიტანი" იქნებოდა დაახლოებით 26 წლის, 190 სმ, გამხდარი. ჰქონდა ჭრილობა, სხეული მთლიანად დაჩხვლეტილი ჰქონდა. მარცხენა მკლავზე სამი ჭრილობა და ორი - მარჯვენაზე. იცოდა ინგლისური და გერმანული... განათლებული პიროვნების შთაბეჭდილებას ტოვებდა. გატაცების დროს გაირკვა ისიც, რომ ინტელიგენტი პიროვნება ყოფილა. თუ არ მეშლება - არქიტექტორი. მუსულმანი არ იყო, უბრალოდ იყო ამ რელიგიის ფანატი. ძალიან კარგად იცოდა ტერორისტ "კარლოსის" ისტორია. სამი წელი ყოფილა ჩინეთში.

„ნაილსი" იქნებოდა 170 სმ, გამხდარი, 24 წლის. პროფესიონალი ჯარისკაცი. ხშირ შემთხვევაში მას ეძახდნენ "მაიკოლს" ან "ისნაელს", მას და მის ოჯახს ჰქონდა ჩეჩნეთის დედაქალაქში რესტორანი, იქამდე, სანამ რუსები შევიდოდნენ. 1 წლის მანძილზე ჩეჩენი პოლიციელი იყო, შემდეგ გადავიდა ნაწილში. მარცხენა ორ თითს ვერ ამოძრავებდა და დაახლოებით 5 ტატუირება ჰქონდა.

„კახა" - 24 წლის, 170 ან 185 სმ, გამხდარი და არც ისეთი ძლიერი, ამბობდა, რომ იყო ჩეჩენი და რომ მისი ოჯახს ჰქონდა ხის და მარმარილოს ბიზნესი. სხვები მას ქართველ მუსულმანს ეძახდნენ. მარჯვენა ხელზე ზემოთ ჰქონდა ნაიარები, ზუსტად არ ვიცი, რისგან.

„ნემო" - 170 სმ, შავგვრემანი, რომელიც გარდაიცვალა 17 აგვისტოს. იყო ქართველი მუსულმანი.

„ხოსუ" - იქნებოდა დაახლოებით 175 ან 180 სმ, ათლეტური აღნაგობის, ყველაზე უფროსი, რომელიც ციხიდან გამოიქცა 2001 წლის აგვისტოში, „კაპიტნის" მეგობარი. ტატუირება ჰქონდა რომელიღაცა მხარეზე, გულის ფორმის და ისრის.

„გოთი" - გარდაიცვალა 17 ოქტომბერს. იგი ააფეთქეს საპირფარეშოში, მას შემდეგ, როდესაც გადაწყვეტილი ჰქონდა ჩვენი განთავისუფლება.

„კაკო" - 170 სმ, შავგვრემანი, ჩასხმული, ძლიერი, 24 წლის. „სანის" ბიძაშვილი.

„დანი" - დაახლოებით 190 სმ, 26 წლის, ჩეჩენი ჯარისკაცი, ძალიან საშიში პიროვნება, რომელიც ცუდად, უფრო სწორად, საშინლად გვექცეოდა.

**კითხვა:** რა საერთო აქვთ ამ ყველაფერთან სულიკო კობიაშვილს და მის ბიჭს გიორგის და რა მოვალეობას ასრულებდნენ ისინი.

**პასუხი:** ისინი სტუმრებს ხვდებოდნენ და აცილებდნენ, რადგან სულიკო იყო თბილისის პოლიციის უფროსი, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე ვიცოდით. ძალიან გამაკვირვა მათმა ქცევამ გატაცების მომენტში, თითქოს არაფერზე ღელავდნენ, ვითომ საშიში არაფერი იყო. გიორგის სახეზე კი რაღაც ღიმილი შევნიშნე, იმ დროს, როდესაც შეშინებული სახე უნდა ჰქონოდა. მისი სახე ალბათ არასოდეს დამავიწყდება. გამაკვირვა იმანაც, რომ არაფერი მოიმოქმედეს მიუხედავად იმისა, რომ იარაღი ჰქონდათ. დღესაც ვერ გამიცია ჩემივე დასმულ კითხვაზე პასუხი, რატომ გაუჩერეს მათ მანქანა, როცა თბილისში რომ დავდიოდით მანქანით, ვინმე პოლიციელი რომ დაგვიქნევდა ჯოხს, სულიკო რაღაც საბუთს აჩვენებდა ხოლმე, რატომ მაინც და მაინც იმ დღეს გაუჩერა მანქანა. შემდეგ გავიგე ისიც, რომ გენერალი ლევანი, რომელსაც კარგად ვიცნობდი, იგივე ლევან კენჭაძე, გიორგის ნათლია ყოფილა. დარწმუნებული ვარ, რომ მათ რაღაც სურათი უნდა ჰქონდეთ (ანუ კობიაშვილებს) ჩვენს გატაცებასთან დაკავშირებით და ადრე თუ გვიან მექნება იმის შესაძლებლობა, რომ პირადად სულიკოს და მის ვაჟს გავესუბრო.

**კითხვა:** მათ გარდა კიდევ ვინმე შეიძლება იყოს ამ საქმეში გარეული უკრაინიდან ან საქართველოდან?

**პასუხი:** ეჭვი არ მეპარება, რომ არნალდო ორტო დუსარდო, აგრეთვე ცნობილი ალექსად, რომელსაც ძალიან ბევრი რამ ექნება ჩემთვის ასახსნელი და კობიაშვილები.

საქართველოში არ ვაპირებდი ჩასვლას, რომ არა ალექსა, დროებით იქ ერთი კვირით დარჩენას, რაზეც ალექსამ უარი განგვიცხადა. გვითხრა, მხოლოდ ოთხი დღე მეცლება თქვენთვისო, მერე საქმეები მაქვსო. თბილისში ჩამოსვლისას აღარ გაგვიშვა უკან კიევში და ეს იმით ახსნა, რომ არ უნდოდა, კიევში შეეტყოთ მისი ადგილსამყოფელი. უკეთესი იქნებოდა, გავმგზავრებულიყავით მადრიდში და იქიდან, თუ მოგვინდებოდა, კიევში. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კიევის რეისი დილით იყო, ხოლო მადრიდის - ღამით. დილით ჩვენი გატაცება უფრო გაუჭირდებოდათ.

თბილისში ყოფნისას ერთხელ შევთავაზე ალექსას ქალაქში გასვლა და სადმე ბარში დაჯდომა, რაზეც მიპასუხა, რომ არ უნდა პრობლემები. რა პრობლემებიო, რომ ვკითხე, მიპასუხა, არ მაქვს სურვილი, რომ გაგიტაცონო, რაზეც სიცილი ამიტყდა და არ მიმიქცევია ყურადღება. თუმცა ეს ფაქტი საყურადღებო ყოფილა.

უკრაინაში და საქართველოში ალექსა ყოველთვის გვაცილებდა ხოლმე (ძირითადად საუბარი უკრაინაზე მაქვს), მაგრამ მაინც და მაინც იმ დღეს ღრმად ჩაეძინა და მის გარეშე წავედით აეროპორტში.

ტყვეობის განმავლობაში "კაპიტანი" მეუბნებოდა, რომ ვიღაც ესპანელმა ბიზნესმენმა მიაწოდა ინფორმაცია გენერალ ლევანს თქვენს შესახებ და ლევანმა მოაწყო ეს ყველაფერიო.

მე საქართველოში სხვა ესპანელ ბიზნესმენს არ ვიცნობ, ვისაც შეიძლებოდა ჩვენზე ინფორმაცია გაეცა. თვითონ „კაპიტანმა" გვითხრა, როდესაც მოვითხოვეთ გამოსასყიდი თანხა და თქვენმა ოჯახმა გვითხრა, რომ 100 ათასზე მეტს ვერ გადაგვიხდიან, პირადად ვესაუბრე ესპანელ ბიზნესმენს და ვუთხარი, თუ არ გადაიხდიან 100 ათასზე მეტს, ამ გატაცებულებს მოვკლავთო, რაზეც მან, ანუ ალექსამ უპასუხა, ეს ჩემი პრობლემა არ არისო. ჩემი გათავისუფლების შემდეგ "შერატონ მეტეხი პალასში" ვკითხე ალექსას ამ საუბრის შესახებ, რაზეც მან მიპასუხა, ასე იმიტომ ვუთხარი, რომ ფსიქოლოგმა დამარიგაო. მე ვკითხე, რაში სჭირდებოდა მას ფსიქოლოგი, რაზეც მან მიპასუხა, ძალიან განვიცადე თქვენი ამბავიო."

*ჩვენებას ხელს აწერს ესპანეთის უშიშროების მინისტრი, პოლიციის უფროსი და მდივანი.*

*საინფორმაციო სააგენტო "ექსპრესი"*

გაგრძელება შემდეგ ნომერში

*განთავისუფლების შემდეგ წაგვიყვანეს უშიშროების სამინისტროში, სადაც უამრავი ხალხი იყო. იქიდან კი სხვა სამინისტროში, სადაც ჩემი ძმა გველოდებოდა. მეორე დღეს გვთხოვეს, რომ რაიმე მოგვეყოლა, მაგრამ პოლიციის და მთლიანად საქართველოს მთავრობის შიშით ვერაფერი განვაცხადეთ.*

*პანკისში, იქ სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით, არიან მუსულმანები, ქართველი ბანდიტები, აზერბაიჯანელები, ქისტები, ჩეჩნები და სხვები. იქ, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით, ნარკოტიკებს ამზადებდნენ, ძირითადად ჰეროინს, რომელსაც ასაღებდნენ რუსებზე, ინგუშეთში იარაღის გაცვლის საფასურად. ამ ბიზნესში ჩაბმული არიან ქართველები, ხოლო პროდუქტი ჩეჩნებს გადააქვთ.*

*სულიკო იყო თბილისის პოლიციის უფროსი, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე ვიცოდით. ძალიან გამაკვირვა მათმა ქცევამ გატაცების მომენტში, თითქოს არაფერზე ღელავდნენ, ვითომ საშიში არაფერი იყო. გიორგის სახეზე კი რაღაც ღიმილი შევნიშნე, იმ დროს, როდესაც შეშინებული სახე უნდა ჰქონოდა. მისი სახე ალბათ არასოდეს დამავიწყდება.*

*შემდეგ გავიგე ისიც, რომ გენერალი ლევანი, რომელსაც კარგად ვიცნობდი, იგივე ლევან კენჭაძე, გიორგის ნათლია ყოფილა. დარწმუნებული ვარ, რომ მათ რაღაც სურათი უნდა ჰქონდეთ ჩვენს გატაცებასთან დაკავშირებით.*

*ტყვეობის განმავლობაში "კაპიტანი" მეუბნებოდა, რომ ვიღაც ესპანელმა ბიზნესმენმა მიაწოდა ინფორმაცია გენერალ ლევანს თქვენს შესახებ და ლევანმა მოაწყო ეს ყველაფერიო.*

MBG ემბიჯი
MICROFINANCE BANK OF GEORGIA
საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი

MBG-ბანკი გთავაზობთ სესხებს თქვენი ბიზნესისათვის

საშუალო სესხი: თანხა: $10.000-50.000
წლიური 18%-დან

ინვესტ სესხი: თანხა: $50.000-დან
წლიური 16%-დან

ფილიალების ქსელი

ცენტრალური ფილიალი
0112 თბილისი
თამარ მეფის გამზ. 18
ტელ: (995 32) 92-16-16
ფაქსი: (995 32) 77-96-11
Email: central@mbg.com.ge

ვაკის განყოფილება
0179 თბილისი
შუხუთის ქ. 8
ტელ: (995 32) 25-28-06
ფაქსი: (995 32) 25-28-07
Email: vake@mbg.com.ge

ვაგზლის განყოფილება
0112 თბილისი
ვოკზალის მოედანი 3/32
ტელ: (995 32) 92-16-16
ფაქსი: (995 32) 77-96-11
Email: stationsquare@mbg.com.ge

დიდუბის ფილიალი
0167 თბილისი
ივანე ხიზანიშვილის ქ. 1
ტელ: (995 32) 57-01-01
ფაქსი: (995 32) 57-10-01
Email: gidani@mbg.com.ge

გორის ფილიალი
1400 გორი
ჭავჭავაძის ქ. 10
ტელ: (995 270) 2-16-09
ფაქსი: (995 32) 33-46-78; 33-46-58
Email: gori@mbg.com.ge

საბურთალოს განყოფილება
0177 თბილისი
ვაჟა-ფშაველას გამზ. 46
ტელ: (995 32) 20-17-17
ფაქსი: (995 32) 20-17-18
Email: saburtalo@mbg.com.ge

მარნეულის განყოფილება
3000 მარნეული
რუსთაველის ქ. 3
ტელ: (995 257) 2-16-00; 2-16-50
ფაქსი: (995 22) 94-31-36
Email: marneuli@mbg.com.ge

ვარკეთილის ფილიალი
0182 თბილისი
ჯავახეთის ქ. მე-2 შესახ.
ტელ: (995 32) 76-44-82
ფაქსი: (995 32) 76-44-81
Email: varketili@mbg.com.ge

ფოთის ფილიალი
4400 ფოთი
დ. აღმაშენებლის ქ. 23
ტელ: (995 293) 28-28-5; 28-28-3
ფაქსი: (995 293) 28-28-4 33-46-58
Email: poti@mbg.com.ge

ილოს განყოფილება
0115 თბილისი
ქეთევან წამებულის 112
ტელ: (995 32) 77-96-35
ფაქსი: (995 32) 77-96-36
Email: ilo@mbg.com.ge

ქობულეთის განყოფილება
6201 ქობულეთი
დ. აღმაშენებლის ქ. 2
ტელ/ფაქსი: (995 236) 66-439
Email: kobuleti@mbg.com.ge

ქუთაისის ფილიალი
4600 ქუთაისი
თამარ მეფის ქ. 85
ტელ: (995 231) 4-14-14
ფაქსი: (995 231) 4-51-64
Email: kutaisi@mbg.com.ge

ბათუმის ფილიალი
6000 ბათუმი
ლუკა ასათიანის ქ. 18
ტელ: (995 88 222) 7-24-20
ფაქსი: (995 88 222) 7-19-54
Email: batumi@mbg.com.ge

ქუთაისის განყოფილება
4600 ქუთაისი
მწვანე ყვავილის ქ. 4
ტელ: (995 231) 4-87-05
Email: kutaisioutlet@mbg.com.ge

ბათუმის განყოფილება
6000 ბათუმი
ჭავჭავაძის ქ. 10
ტელ: (995 88 222) 7-74-19
ფაქსი: (995 88 222) 7-74-19
Email: batumioutlet@mbg.com.ge

ზუგდიდის განყოფილება
2100 ზუგდიდი
თაბუკაშვილის ქ. 1
ტელ: (995 215) 5-11-23
ფაქსი: (995 32) 93-43-74
Email: zugdidi@mbg.com.ge

www.mbg.com.ge

## ირანმა „შაჰაბ-3" საბოლოოდ გამოცადა

ლევან ღირსიაშვილი

*გუშინ საერთაშორისო სააგენტოებმა ირანის მიერ ბალისტიკური რაკეტის "შაჰაბ -3" გამოცდის შესახებ განაცხადეს. ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ გამოცდა რამდენიმე კვირის წინ ჩატარდა. ამის თაობაზე ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ ისრაელის გაზეთი "ჰაარეცი" იუწყებოდა. გაზეთის ცნობით, ირანს ახლა უკვე თავისუფლად შეუძლია სარაკეტო დარტყმების განხორციელება ისრაელსა და ერაყში განლაგებული აშშ-ის ძალების წინააღმდეგ.*

"შაჰაბ-3"-ის გამოცდის ფაქტი ოფიციალურად ირანმა გუშინ დაადასტურა. "რაკეტების მოქმედების რადიუსი ადრე გაცხადებულს შეესაბამება," -განაცხადა თეირანში, ჟურნალისტების წინაშე გამოსვლისას, ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს მალალჩინოსანმა ჰამიდ რეზა ასეფიმ. მან დასძინა, რომ რაკეტის გამოცდა საბოლოო ეტაპი იყო, რის შემდეგაც რაკეტები საბრძოლო-სამორიგეო მზადყოფნაში იქნება მოყვანილი. რაკეტების გამოცდის დეტალების დაზუსტებაზე ასეფმა უარი განაცხადა.

დამკვირვებელთა და ექსპერტთა თქმით, ბალისტიკური რაკეტის "შაჰაბ-3" მოქმედების სავარაუდო რადიუსი 1300 კილომეტრია.

სააგენტო "ბი-ბი-სის" ცნობით, "შაჰაბ-3" ჩრდილოკორეული "ნოდიონგის" და პაკისტანური "ჰაური-2"-ის მიხედვით არის შექმნილი და 700-დან 1000 კილოგრამამდე საბრძოლო ქობინის გადატანა შეუძლია.

ამ ფაქტს, ჯერჯერობით, არ გამოხმაურებია ოფიციალური ვაშინგტონი, მაგრამ უკვე აქედანვე ცნობილია, რომ თეთრი სახლი ბალისტიკური რაკეტებით ირანის აღჭურვას აღფრთოვანებით არ შეხვდებოდა. ერაყის შემდეგ აშშ-ის ადმინისტრაციის ყურადღება ირანის საფრთხის ნეიტრალიზაციაზეა გადართული.

ამ კვირას კი, ირანში, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ხელმძღვანელის მოჰამედ ელ-ბარადეის ვიზიტია დაგეგმილი. მან განაცხადა, რომ მისი ვიზიტის მიზანს წარმოადგენს თეირანის მიერ ირანის ყველა ბირთვული პროგრამის დეკლარირება და პროტოკოლის ხელმოწერა. როგორც ცნობილია, პროტოკოლის პროექტი, რომლის ხელის მოწერასაც თეირანს ასე დაჟინებით სთხოვენ, ირანის ყველა ბირთვული ობიექტის დეტალურ შემოწმებას ითვალისწინებს. ელ-ბარადეის თქმით, თუკი ირანი ამგვარ ინსპექტირებას დათანხმდება, მაშინ შეზღუდვები ყველანაირი სახის ბირთვული ტექნოლოგიის შემოწმებაზე ავტომატურად მოიხსნება, რაც დაძაბული ვითარების განმუხტვას შეუწყობს ხელს. თუმცა, პრეტენზიები აქვს ირანსაც. თეირანი ინსპექტირების სანაცვლოდ, პირველ რიგში, საერთაშორისო სანქციების მოხსნას მოითხოვს.

მიუხედავად იმისა, რომ ირანი ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობაზე ხელშეკრულების ერთ-ერთი ხელმომწერია, ამჯერად ის თავს იკავებს ხელი მოაწეროს დამატებით პროტოკოლს, რომელიც ფართო ინსპექტირების ჩატარებას ითვალისწინებს. კითხვაზე - რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუკი ირანი ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთან თანამშრომლობაზე საბოლოოდ უარს იტყვის - ელ-ბარადეიმ უპასუხა: **"მე არ ვაპირებ არანაირი პოლიტიკური დასკვნის გაკეთებას. იმედი მაქვს, რომ ჩვენ პროგრესს მივაღწევთ და ვიზიტიც დადებითი შედეგით დასრულდება."**

## სილვიო ბერლუსკონი - პირველი პირველთა შორის

რევაზ ბახტაძე

*სილვიო ბერლუსკონი იტალიის უმდიდრესი პიროვნება, ქვეყნის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრია. მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო საფეხბურთო კლუბის მეპატრონის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს – იგი უყვართ ან სძულთ, მაგრამ ნეიტრალური არავინაა.*

1 ივლისს სილვიო ბერლუსკონიმ როტაციის წესით ევროკავშირის პრეზიდენტობა ჩაიბარა და გერმანელი პარლამენტარის ნაცისტ ზედამხედველთან შედარების გამო, პირველივე დღიდან უზარმაზარ სკანდალში გაეხვია. ბევრი ბერლუსკონის "მაფიის ნათლიას" უწოდებს.

არადა, ქვეყნის მეთაურად და მილიარდერად გახდომამდე, სილვიო ბერლუსკონის ბევრი ბრძოლის გადატანა მოუხდა. მილანის უნივერსიტეტში სამართლისა და ბიზნესის შესასწავლად საჭირო თანხას გემებზე სიმღერით შოულობდა. მაშინ სილვიოს, მეგობრებთან ერთად, გუნდი ჰქონდა. ბერლუსკონის თავისი მეგობრები განსაკუთრებით უყვარს და დღემდე მათი ერთგულია.

გუნდის ყოფილი წევრები ახლა მისი ბიზნეს-იმპერიის აღმასრულებელი დირექტორები და მენეჯერები არიან.

მან თავისი მეგობრებისათვის საგვარეულო საფლავში ადგილიც კი გამოყო იმ შემთხვევისათვის, თუ ისინი სილვიოს გვერდზე მოინდომებენ დაკრძალვას.



პირველი პირველთა შორის

### მწვერვალისაკენ

ბერლუსკონიმ თავისი ბიზნეს-კარიერა უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვით დაიწყო. 1970-იან წლებში მან მილანში აეროპორტის მახლობლად საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად ფართი იყიდა. სწორედ ამ გარიგებამ მოუტანა მას დიდი ფული. ეს ფართი ჯერ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებად გამოაცხადეს, თვითმფრინავების ასაფრენ ზოლს მიმართულება შეუცვალეს და შემდეგ უზარმაზარი აპარტამენტები ააგეს. იტალიაში ჭორები დადიოდა, რომ ეს გარიგება მაფიასთან მჭიდრო კავშირების მეშვეობით, ფულის "გასარეცხად" განხორციელდა. ამის დამადასტურებელი არანაირი საბუთი არ არსებობს, მაგრამ ცხადია, რომ ასეთი მასშტაბური პროექტი სათანადო პოლიტიკური კავშირების გარეშე ვერ განხორციელდებოდა. აბა, რანაირად უნდა ავხსნათ საფრენი ზოლის მიმართულების შეცვლა?

უძრავი ქონებიდან ფულის შოვნის შემდეგ, მან ინვესტიციების გაკეთება კომერციულ ტელევიზიაში, გამომცემლობებსა და სარეკლამო ბიზნესში დაიწყო.

ბერლუსკონიმ სახელმწიფო ტელევიზიის "რაის" მონოპოლიის დაძლევა და სატელევიზიო ქსელის შექმნა შეძლო. იტალიელებს მან კომერციული ტელემაუწყებლობა დააგემოვნებინა.

გასაოცარია პოლიტიკურ ოლიმპოზე ბერლუსკონის მოხვედრის ამბავიც: მილანელმა ბიზნესმენმა არაფრისგან პოლიტიკური პარტია შექმნა და ერთ წელიწადში პრემიერ-მინისტრი გახდა. მაშინ ამ თანამდებობაზე მხოლოდ 7 თვე გაძლო. იგი კორუფციაში დაადანაშაულეს, ხალხმა უზარმაზარი დემონსტრაციები მოაწყო და სილვიოც გადადგა. ყველა ფიქრობდა, რომ ამით ბერლუსკონის პოლიტიკურ კარიერას წერტილი დაესვა.

ფეხბურთის დიდმა გულშემატკივარმა საფეხბურთო კლუბი "მილანი" 1986 წელს იყიდა და მოგვიანებით, მსოფლიოს საუკეთესო გუნდად გადააქცია.

ხელისუფლებაში ხელმეორედ მოსასვლელად მან სწორედ ფეხბურთი და საფეხბურთო ტერმინოლოგია გამოიყენა. ფეხბურთის მატჩების ანალოგიით, იგი ამომრჩევლებს უხსნიდა, რის გაკეთებას აპირებდა.

ამომრჩევლები "მინდორზე უნდა გამოსულიყვნენ". მათ თავიანთი გუნდისთვის მხარი უნდა დაეჭირათ შეძახილებით: "Forza Italia!" "წინ იტალია!" ეს პოპულარული ლოზუნგი სილვიო ბერლუსკონიმ თავის ახალ პოლიტიკურ პარტიას დაარქვა.

ის საარჩევნო კამპანიას სწორუპოვარი დილერივით ატარებდა. მან "Forza Italia!" ამომრჩევლებს სარფიანად მიჰყიდა.

"მე ხელისუფლებაში მოსვლა ძალაუფლებისათვის არ მჭირდება...", - აღნიშნა წინასაარჩევნო კამპანიის დროს ბერლუსკონიმ. "მე მთელ მსოფლიოში სახლები მაქვს, ულამაზესი იახტები, თვითმფრინავები, ლამაზი ცოლი, ლამაზი ოჯახი... მე მსხვერპლი გავიღე". რეალურად, მას პოლიტიკური ძალაუფლება საკუთარი ქონების დასაცავად და გაკოტრებისაგან თავის დასახსნელად სჭირდებოდა.

სილვიო ბერლუსკონის 12 მილიარდი ამერიკული დოლარის ქონება აქვს და მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანებს შორის 29-ე ადგილზეა.

უამრავ კრიტიკოსთან ერთად, სილვიოს უამრავი თაყვანისმცემელიც ჰყავს, მათ შორის, მოდელიერი ჯორჯო არმანი. ჯულიანო ფერარა, ერთ-ერთი გაზეთის რედაქტორი და ბერლუსკონის უახლოესი მეგობარი, ამბობს, რომ სილვიოს "ის ღირებულებები აქვს, რაც ყველა იტალიელ კაცს: მას უყვარს ქალები და ქალებზე ლაპარაკი, სექსუალური თემების შესახებ ხუმრობა. ამას გარდა, მას ტელევიზორის ყურება და კომფორტი უყვარს და, განსაკუთრებით, ოჯახი".

რაც მას არ უყვარს, ეს ნიორია. ამბობენ, რომ ნივრის სუნს იგი წყობილებიდან გამოჰყავს. გენუაში წინასაარჩევნო კამპანიის დროს, მან უცბად იგრძნო, რომ მისი პარტიის "Forza Italia!" ერთ-ერთ წევრს ნივრის სუნი ასდიოდა. მეორე დღეს, პარტიის აქტივისტებმა სპეციალური სუნის გამყვანი დეზოდორი და წერილი მიიღეს: "მე გეხვეწებით, რომ ეს საჩუქარი მიიღოთ და "Forza Italia!"-ს თავმჯდომარესთან უშუალო შეხვედრების წინ გამოიყენოთ. პატივისცემით, თქვენი სილვიო ბერლუსკონი".

### სამარადჟამოდ უკვდავსაყოფად

სილვიო ბერლუსკონიმ მილანში, თავისი მდიდრული პალაცოს ეზოში მავზოლეუმი ააშენა.

მიწისქვეშა განსასვენებელში 100-ტონიანი სკულპტურა დგას. უზარმაზარი ოთახის შუაგულში ვარდისფერი მარმარილოთი ნაგები სარკოფაგია, რომელიც ფლორენციაში მედიჩების ცნობილ განსასვენებელს ჩამოჰგავს.

კედლებში ბერლუსკონის ოჯახის წევრებისა და მეგობრებისათვის ნიშებია დატოვებული.

ბერლუსკონის დიდი ოჯახი ჰყავს: მისი მეორე ცოლი ყოფილი მსახიობი ვერონიკა ლარიოა, ფელინის ეპოქის ქერათმიანი სექს-ბომბი. ლეგენდის მიხედვით, ბერლუსკონიმ იგი მილანის ერთ-ერთი თეატრის სცენაზე იხილა და, ფაქტობრივად, სცენიდან მოიტაცა. ამბობენ, რომ სილვიოს თავისი ვერონიკა ძალიან უყვარს. მისი მეგობარი იხსენებს, რომ როდესაც პრეზიდენტი კლინტონი იტალიაში უნდა ჩასულიყო, მან თქვა: "კლინტონი ძალიან დიდსა და ძლიერ ქვეყანას – აშშ-ს წარმოადგენს, მაგრამ la mia e piu bella [ჩემი უფრო ლამაზია]". ასე შეადარა ვერონიკა ჰილარის.

ყველაფრის მიუხედავად, იტალიელებს თავიანთი პრემიერ-მინისტრი მოსწონთ. რიგითი იტალიელის თვალში სილვიო ბერლუსკონი წარმატების სიმბოლოა. იგი უსაზღვროდ მდიდარია, ჰყავს ულამაზესი ცოლი და დიდი ოჯახი, აქვს მდიდრული, გემოვნებით გაწყობილი სასახლეები და მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი საფეხბურთოი კლუბი. მეტი რა შეიძლება მოსთხოვო ერთ კაცს?

## ლიბერიის პრეზიდენტი ნიგერიას შეაფარებს თავს

პირველი გვერდიდან

შეშფოთებას, რომ შესაძლოა, სამშვიდობო ძალების ჩასვლამდე ტეილორის ხელისუფლებიდან წასვლამ ქვეყანაში სახელისუფლებო ვაკუუმი წარმოშვას და დაძაბული ვითარება კიდევ უფრო მეტად გამწვავდეს.

ლიბერიის პრეზიდენტის გადაწყვეტილებას გამოეხმაურა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაც. სააგენტო "ბი-ბი-სის" ცნობით, გაერო პრეზიდენტ ტეილორის ნიგერიაში წასვლას ეწინააღმდეგება, რადგანაც ეს ლიბერიის პრეზიდენტს პასუხისმგებლობიდან თავის დაძვრენის საშუალებას მისცემს. მას კი, როგორც ცნობილია, ბრალი ედება ომის გაღვივებაში მეზობელ სიერა-ლეონეში, როდესაც ლიბერიის ჯარებმა მხარი დაუჭირეს ამ ქვეყნის მთავრობის წინააღმდეგ მებრძოლ ამბოხებულებს.

გაერო-ს უშიშროების საბჭომ 7 მაისს ერთხმად დაუჭირა მხარი რეზოლუცის პროექტს, რომლის თანახმადაც, ლიბერიის მიმართ საერთაშორისო სანქციები კიდევ უფრო გამკაცრდა. კერძოდ, მანამდე გაერო-ს მკაცრი ემბარგო ჰქონდა დაწესებული დაუმუშავებელი ალმასის გატანზე ლიბერიის ტერიტორიიდან და აკრძალული იყო ამ ქვეყანაში ნებისმიერი სახის შეიარაღების შეტანა. ძველი რეზოლუციის თანახმად, ლიბერიის ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებს საზღვარგარეთ ვიზიტები აკრძალული ჰქონდათ. 7 მაისის რეზულუციამ კი, ყველაფერ ამასთან ერთად, ლიბერიიდან ათი თვის ვადით ხე-ტყის მასალების გატანაც აკრძალა.

ჯერჯერობით, ვითარების პროგნოზირება საკმაოდ რთულია.

ალბათ, ყველაფერი მას შემდეგ გადაწყდება, როდესაც აშშ-ის პრეზიდენტი აფრიკის ქვეყნებში გუშინ დაწყებულ თავის პირველ ტურნეს დაასრულებს. თეთრი სახლის მეთაური ამ მოგზაურობის დროს სამხრეთ აფრიკის, ბოტსვანის, უგანდის და ნიგერიის რესპუბლიკებს მოინახულებს. ვიზიტის ძირითად მიზანს აშშ-ის მიერ შიდსთან საბრძოლველად გამოყოფილი 15 მილიარდი ამერიკული დოლარის და ანტიტერორისტული საქმიანობისთვის განკუთვნილი 100 მილიონი აშშ დოლარის მიზნობრივი დახარჯვა წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ცხადია, პრეზიდენტ ბუშს ნიგერიის პრეზიდენტთან საკმაოდ სერიოზული საუბარი ექნება ლიბერიის საკითხზეც. ამდენად, ლიბერიაში აშშ-ის ჯარების განთავსება და ტეილორის ნიგერიაში გადახვეწა სწორედ აშშ-ის პრეზიდენტის აფრიკული ტურნეს შემდეგ გადაწყდება.


## საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სახაზინო სამსახური

**ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ოპერატიული ინფორმაციის მიხედვით მიმდინარე წლის 28 ივნისი - 4 ივლისის პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯმა შეადგინა: 27 897.8 ათასი ლარი**

**1. ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები - 3 372.1 ათასი ლარი:**

- **დისკონტი - 250.2 ათასი ლარი;**
- **ეროვნული ბანკის პროცენტი - 3 079.1 ათასი ლარი;**
- **სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამოჭრილი თანხები - 42.8 ათასი ლარი;**

**2. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები - 24 384.3 ათასი ლარი;**

**საგარეო ვალდებულებები (თურქმენეთის ვალის სანაცვლოდ შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება - ს.ს "თბილავიამშენი") - 3 000.0 ათასი ლარი, თანახმად საქართველოს პრეზიდენტის 27 ივნისის N798 განკარგულებისა;**

**საგარეო ვალდებულებების მომსახურება - 9 269.0 ათასი ლარი;**

**საბიუჯეტო ორგანიზაციების მაისის თვის შრომის ანაზღაურება - 4 723.0 ათასი ლარი;**

- შინაგან საქმეთა სამინისტრო - 2 884.0 ათასი ლარი;
- თავდაცვის სამინისტრო - 1 839.0 ათასი ლარი;

**უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრი (ივნისის თვის შრომის ანაზღაურება) - 85.0 ათასი ლარი;**

**თავდაცვის სამინისტრო (ივნისის თვის შრომის ანაზღაურება - წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა) - 1 758.3 ათასი ლარი;**

**ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო - 3 606.8 ათასი ლარი;**

- ლტოლვილთა ივნისის თვის შემწეობა - 3 173.0 ათასი ლარი;
- ლტოლვილთა მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ანაზღაურება - 433.8 ათასი ლარი;

**ტრანსფერი სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს - 1 400.0 ათასი ლარი:**

**საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ანაზღაურება - 512.2 ათასი ლარი;**

**სახელმწიფო სარეზერვო ფონდი - 30.0 ათასი ლარი;**

- კულტურის სამინისტროს პროგრამული ხარჯი - ბორჯომის საერთაშორისო ფესტივალის "ხელოვნების ზეიმი"-ს მოსაწყობად - 30.0 ათასი ლარი;

**3. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები - 141.4 ათასი ლარი;**

**სხვა საქონელი და მომსახურების" მუხლით - 41.2 ათასი ლარი:**

- სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური (ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის ვიზიტის ხარჯები) - 30.0 ათასი ლარი;
- კრწანისის სამთავრობო რეზიდენცია (ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის ვიზიტის ხარჯები) - 11.2 ათასი ლარი;

**საბიუჯეტო ორგანიზაციების სამივლინებო ხარჯები - 100.2 ათასი ლარი;**

- საქართველოს პარლამენტი - 49.7 ათასი ლარი;
- კონტროლის პალატა - 35.0 ათასი ლარი;
- უშიშროების საბჭო - 7.8 ათასი ლარი;
- საქართველოს პროკურატურა - 1.2 ათასი ლარი;
- სახელმწიფო კანცელარია (მივლინება) - 6.5 ათასი ლარი;

**სულ ხარჯი: 27 897.8 ათასი ლარი**

**1. ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები - 3 372.1 ათასი ლარი:**

- **დისკონტი - 250.2 ათასი ლარი;**
- **ეროვნული ბანკის პროცენტი - 3 079.1 ათასი ლარი;**
- **სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამოჭრილი თანხები - 42.8 ათასი ლარი;**

**2. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები - 24 384.3 ათასი ლარი;**

**3. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები - 141.4 ათასი ლარი;**

- **სხვა საქონელი და მომსახურება - 41.2 ათასი ლარი;**
- **მივლინება - 100.2 ათასი ლარი;**

თბილისი, 380093, მ.ალექსიძის ქ. N1

ტელ/ფაქსი: 92-30-03, ელ.ფოსტა: treasury@iberiapac.ge


## ტერაქტით შეშინებულმა მოსკოვმა ლუდში იბანავა

პირველი გვერდიდან

სერგეი მირონოვი, ფედერაციათა საბჭოს თავმჯდომარე: **„ტერაქტები მოსკოვსა და ჩეჩნეთში მშვიდობიანი პროცესის ჩასაშლელადაა გამიზნული. საერთაშორისო ტერორიზმმა კიდევ ერთხელ გვიჩვენა თავისი აგრესიული სახე. ტუშინოს ტრაგედია, ეს არის ტერორისტთა პასუხი ჩეჩნეთში რუსეთის ხელისუფლების ძალისხმევაზე."**

სალამბეკ მაიგოვი, მოსკოვში ასლან მასხადოვის წარმომადგენელი: **„კატეგორიულად არ ვეთანხმები იმ შეფასებებს, სადაც ჩეჩენი ხალხის გაშავება მიდის. მოსკოვის ტერაქტების უკან არ დგანან ჩეჩნები. მასხადოვის სპეციალური ბრძანებით ყველა ჩეჩენს აკრძალული აქვს რესპუბლიკის ტერიტორიის მიღმა ბრძოლა. სამწუხაროდ, შაჰიდები მასხადოვს არ ემორჩილებიან. შეიძლება ისინი გარკვეულმა ძალებმა დაიქირავეს."**

ალიმხან ოსმაევი, ჩეჩნეთის საზოგადოებრივ – პოლიტიკური მოძრაობა "სოლიდარნოსტ"-ის ლიდერი: **„ტუშინოს მოედნის მისადგომებთან განხორციელებული ტერორისტული აქტი სულ სხვა ძალებმა დაგეგმეს - იმ ძალებმა, ვის მიზნებშიც შედის დღეს რუსეთში ანტიჩეჩნური და ანტიკავკასიური ვნებების გაღვივება, რაც შედეგად მოჰყვა დუბროვკაზე განხორციელებულ ტერაქტსაც."**

მიხეილ ავდიუკოვი, მოსკოვის პროკურორი: „ჩვენ ხელთ გვაქვს გადამოწმებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საველე მეთაურმა შამილ ბასაევმა პირადად გასცა ბრძანება ტუშინოში ტერაქტის განხორციელებაზე. უფრო მეტიც, ბასაევის ბრძანებით დღეს რუსეთის დიდ ქალაქებში გაგზავნილნი არიან შაჰიდი ქალები ახალი ტერაქტების მოსაწყობად. ამის შესახებ ჩვენ ინოფორმაცია მივიღეთ ინგუშეთში დაკავებული ასლანბეკ ხასხანოვისაგან, რომელსაც დუბროვკის მოვლენებშიც ედება ბრალი და რომელმაც დაკითხვაზე განაცხადა, რომ მან პირადად მიიღო ბასაევის ბრძანება მოსკოველების დასაშინებლად დედაქალაქის ხალხმრავალ ადგილებში ოთხი ტერორისტული აქტის ჩატარებაზე. ბასაევს უთქვამს, რომ ამ ტერაქტების დამაგვირგვინებელი აკორდი რუსეთის დუმის ხელში ჩაგდება უნდა იყოს. ჩვენ დღეს უკვე შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ "ნორდ-ოსტის" ტრაგედიას შამილ ბასაევი მართავდა.

პროკურორის განცხადებამდე და ტუშინოს ტერაქტამდე სამი დღით ადრე მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე დსთ-ს ანტიტერორისტული ცენტრის ხელმძღვანელმა ბორის მილნიკოვმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ შაჰიდი ქალების მონაწილეობით დაგეგმილი ტერაქტების თავიდან აცილება პრაქტიკულად შეუძლებელია.

რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, ტერორიზმის საფრთხის თავიდან ასაცილებლად განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინონ, გამოავლინონ საეჭვო პირები და უმეთვალყუროდ დატოვებული საგნები. შსს მინისტრ ბორის გრიზლოვის განცხადებით, მისი უწყება, სპეცსამსახურებთან ერთად, აპირებს რუსეთის დედაქალაქში კომპლექსური ანტიტერორისტული ღონისძიებების ჩატარებას ტექნიკური საშუალებებით და სპეციალურად გაწვრთნილი ძაღლებით. ხელისუფლება სთხოვს რუსეთის მოსახლეობას, გაგებითა და შეგნებით მოეკიდოს მსგავს აქციებს, რაც პოტენციური ტერორისტების გამოსავლენადაა ჩაფიქრებული.

გრანდიოზული ფეტივალების ჩატარების პრაქტიკაზე კი მოსკოვის ხელისუფლება უარს არ იტყვის.

სანამ ხელისუფლება დასაშვები თუ დაუშვებელი მეთოდებით საკუთარ სახლში საერთაშორისო ტერორიზმს ებრძვის, მოსკოვის საავადმყოფოებში კრიტიკულ მდგომარეობაში რჩება რამდენიმე ათეული კაცი. ვითარებას ართულებს ის, რომ როკფესტივალს, ძირითადად, მოსკოვის გარეუბნებიდან ჩამოსული ახალგაზრდობა ესწრებოდა და მათი იდენტიფიკაცია ჭირს. უმეტესობას ახლობლები არც აკითხავენ.

ტერაქტის მეორე დღეს მოსკოვის უდიდეს სტადიონ "ლუჟნიკებზე" ლუჟკოვმა გახსნა ლუდის ფესტივალი. ტერორისტების ჯინაზე ხალხი კარგა გვარიანად გამოთვრა. მოსკოვში მცხოვრები კავკასიელები ამ დღეებში გარეთ გასვლას ერიდებოდნენ.

## ამერიკელებმა თურქი ჯარისკაცები გაათავისუფლეს

*ამერიკის ხელისუფლებამ ჩრდილოეთ ერაყში დაკავებული 11 თურქი სამხედრო გაათავისუფლა. ამის მიუხედავად, ძველი მოკავშირეების ურთიერთობებში გაჩენილი ბზარი კიდევ უფრო ღრმავდება.*

რევაზ ბახტაძე

ამერიკელმა სამხედროებმა 11 თურქი ჯარისკაცი ჩრდილოეთ ერაყის ქალაქ სულეიმანიაში დააკავეს და ბაღდადში ჩაიყვანეს. ამ ოპერაციის დეტალები უცნობია, უცნობია დაკავების ზუსტი დროც. ამერიკული პრესა იუწყება, რომ თურქები პარასკევს, ღამით აიყვანეს, ხოლო "ბი-ბი-სიმ" გადმოსცა, რომ ეს ინციდენტი შაბათს მოხდა.

ამერიკის ხელისუფლება თურქების დაკავების მიზეზს საჯაროდ არ აცხადებს. ეს კი პრესაში სხვადასხვა, ურთიერთგამომრიცხავი ვარაუდების გამოთქმის საშუალებას იძლევა.

თურქი ჯარისკაცების გამოშვება თურქეთის პრემიერ-მინისტრის რეჯებ ერდოგანისა და აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის დიკ ჩეინის სატელეფონო საუბრის შემდეგ გადაწყდა. პარალელურად, სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა თავის თურქ კოლეგას აბდულა გულს დაურეკა.

მანამდე ერდოგანმა მომხდარს "სრულიად უაზრო ინციდენტი" უწოდა და ჰარბურის გასასვლელის სასწრაფოდ გადაკეტვა ბრძანა. სწორედ ჰარბურზე გადის ერაყთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზა.

თურქეთის პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში წერია, რომ ერდოგანმა დიკ ჩეინის მოსთხოვა ჯარისკაცების დაუყოვნებლივ გათავისუფლება.

თურქულმა პრესამ ამერიკელების მოქმედება კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა. თურქი ჟურნალისტების ინფორმაციით, დაკავებულ ჯარისკაცებს ისევე ექცეოდნენ, როგორც ალ ქაიდას წევრებს.

ჯარისკაცების დაკავებამ თურქულ საზოგადოებაში ანტიამერიკული განწყობის ზრდა გამოიწვია. კვირას, ანკარაში აშშ-ის საელჩოსა და სტამბოლში ამერიკის საკონსულოს წინ, 250 დემონსტრანტი შეიკრიბა. ისინი გაჰყვიროდნენ: "გაათავისუფლეთ ჩვენი ჯარისკაცები!" "წადით, ამერიკელებო!" "ჩვენ ამერიკელების მოსამსახურეები არ ვიქნებით!"

ამერიკული მედია თურქ მაღალჩინოსნებთან კერძო საუბრებზე დაყრდნობით იუწყება, რომ ამერიკელების მიერ თურქი ჯარისკაცების დაპატიმრებამ ორი ქვეყნის ურთიერთობებს გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა.

ახლა ამერიკელები თურქებს ვაშინგტონთან ურთიერთობების გასაუმჯობესებლად ორ მთავარ პირობას უყენებენ: ერაყიდან ყველა შეიარაღებული შენაერთის გაყვანას და ამერიკის ირანული პოლიტიკის უსიტყვო მხარდაჭერას იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქმე შეიარაღებულ ინტერვენციამდე მივა. ამ პირობებზე დათანხმებას თურქები (საკუთარი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე) მიუღებლად მიიჩნევენ.

მართალია, თურქეთის მთავრობამ ერაყის საოკუპაციო ოპერაციაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა, მაგრამ ანკარა 1991 წლიდან მოყოლებული დღემდე რეგულარულად აგზავნის ჩრდილოეთ ერაყში ჯარებს ქურთი პარტიზანების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ერაყში თურქეთის შეიარაღებული ძალების ყოფნის გამო ამერიკის ხელისუფლებამ თავისი უკმაყოფილება არაერთგზის გამოთქვა. ამერიკელების შეშფოთებას ის იწვევს, რომ თურქები ამერიკული კოალიციის შემადგენლობაში არ შედიან და, შესაბამისად, ამერიკის სარდლობის ბრძანებებს არ ემორჩილებიან.

მოგვიანებით, ამერიკელმა სამხედროებმა თურქი ჯარისკაცების დაკავების მიზეზები არაოფიციალურად გაამხილეს. "ნიუ-იორკ თაიმსი" ამერიკელ სამხედროებზე დაყრდნობით იუწყება, რომ დაკავების მიზეზი იყო ის, რომ თურქები ამერიკელების მიერ დანიშნული ერაყელი მაღალი თანამდებობის პირის მოკვლას აპირებდნენ. თავდაცვის სამინისტროს ანონიმი წარმომადგენლის თქმით, ამერიკელებს ამის თაობაზე სადაზვერვო სამსახურებიდან შესაბამისი ინფორმაცია ჰქონდათ.

მეორე ამერიკელი ჩინოსნის ინფორმაციით კი, თურქები ჩრდილოეთ ერაყის ქალაქ კირკუკის გამგებლის მოკვლას გეგმავდნენ.

თურქეთი ჩრდილოეთ ერაყში ქურთების დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას საკუთარი ეროვნული უსაფრთხოებისათვის დამღუპველად მიიჩნევს. ანკარას აზრით, მოვლენების ამ სცენარით განვითარება მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქურთებს სეპარატისტულ განწყობას გაუღვივებს.

ანკარას აღიზიანებს, რომ სადამის შემდგომ ერაყში, თურქეთის საზღვართან მდებარე რეგიონში ქურთებმა გავლენა მოიპოვეს და თითქმის ყველა მნიშვნელოვან პოსტს დაეუფლნენ. არადა, თურქები ჩრდილოეთ ერაყში მცხოვრებ თურქომან უმცირესობას მფარველობენ და მხარს უჭერენ.

## წყალდიდობა ჩინეთში

აღმოსავლეთ ჩინეთში გუშინ დაწყებული წყალდიდობის გამო 200 ათასზე მეტი ადამიანის ევაკუაცია მოახდინეს. ადგილობრივი მედიის ცნობით, წყალდიდობა თავსხმა წვიმებმა გამოიწვია, რასაც ხუთი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, ხოლო ათასობით მოსახლის სიცოცხლე ჯერ კიდევ რისკის ქვეშ არის. ხელისუფლებამ ამ რეგიონში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. ევაკუირებული ხალხი კარვებს, სკოლებისა და ქარხნების შენობებს აფარებს თავს. ეკონომიკური ზარალი საკმაოდ დიდია, მაგრამ ზუსტი ციფრი ჯერ უცნობია.

კატასტროფის ეპიცენტრი იანგსუს პროვინციაა. საერთაშორისო სააგენტოები იუწყებიან, რომ სტიქია ემუქრება მეზობელ პროვინციებსაც. ჩინეთში ასეთი სტიქია უჩვეულო არ არის. წყალდიდობა აღმოსავლეთ ჩინეთში ივნისის თვეში იწყება და სექტემბრამდე გრძელდება ხოლმე. შარშანდელმა თავსხმა წვიმებმა და წყალდიდობამ ჩინეთის ეკონომიკას კოლოსალური ზარალი მიაყენა.

### ინფოთეკა

**ფეხბურთი.** „მანჩესტერ იუნაიტედის“ გულშემატკივრები შიშობენ, რომ კლუბის აქციათა 75 პროცენტის აქციონერთა საერთო რაოდენობის სულ 1 პროცენტში თავმოყრამ, შესაძლოა, კლუბის ნაციონალურ და სპორტულ ინტერესებს სერიოზულად ავნოს. ქომაგების ასეთი პოზიცია გამოვლინდა ინგლისური გაზეთების „დეილი ექსპრესისა“ და „დეილი სტარის“ მიერ ორგანიზებული გამოკითხვის შედეგად, რომლებმაც შეკითხვის დასმამდე რესპონდენტებს აცნობეს „უცნობი რუსი ინვესტორის“ თაობაზე, რომელიც თითქოს მანჩესტერული კლუბის შეძენით არის დაინტერესებული. შესაძლო გარიგება 500 მილიონ გირვანქა სტერლინგად არის შეფასებული.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ინგლისურმა საფეხბურთო კლუბმა, ლონდონის „არსენალმა“ უარი განაცხადა თანაქალაქურ „ჩელსიში“ ტიერი ანრის გაყიდვაზე. „არისტოკრატების“ ახალმა მფლობელმა რომან აბრამოვიჩმა გუნდის უპირველესი მნიშვნელობის ვარსკვლავებით გაძლიერება დაისახა მიზნად და ფრანგ თავდამსხმელში „მეთოფეებს“ 47 მილიონი დოლარი შესთავაზა, მაგრამ „არსენალის“ ვიცე-პრეზიდენტმა დევიდ დეინმა წინადადება არ მიიღო და განაცხადა, რომ ანრი ფულზე არ იყიდება.

■ ■ ■

**კალათბურთი.** მცირე ხნის წინ დრაფტზე პირველ ნომრად არჩეულმა ლებრონ ჯეიმსმა თავის ცხოვრებაში პირველი პროფესიული კონტრაქტი გააფორმა „კლივლენდ კავალიერზთან“. კონტრაქტის მიხედვით, ეს 18 წლის სკოლის მოსწავლე, NBA-ს წესებით, ამ ასაკის კალათბურთელისთვის დაშვებულ მაქსიმუმს - 3 წელიწადში 13 მილიონ დოლარს მიიღებს. ასევე, კლუბს უფლება აქვს, თავისი შეხედულების მიხედვით კიდევ ერთი სეზონით გააგრძელოს კონტრაქტი ლებრონ ჯეიმსს, ოღონდ დამატებით სეზონში 5,8 მილიონი დოლარის გადახდა მოუწევს.

■ ■ ■

**კალათბურთი.** ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ვარსკვლავი კობი ბრაიანტი თავისი ფეხით გამოცხადდა პოლიციაში და თავი დამნაშავედ ცნო ქალის გაუპატიურებაში. სანამ კალათბურთელი ამას მოიმოქმედებდა, პოლიციაში გამოცხადდა 24 წლის ქალბატონი, რომელმაც ბრაიანტი გაუპატიურებაში დაადანაშაულა. „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ კალათბურთელს უკვე ოფიციალურად წაუყენეს ბრალი. შერიფის განცხადებაში ნათქვამია, რომ ბრაიანტი მზადაა, დაეხმაროს გამოძიებას.

მოგვიანებით კობი ბრაიანტმა პოლიციაში 25 ათასი დოლარი შეიტანა და იგი თავდებით გაათავისუფლეს, თუმცა, გამოძიება მიმდინარეობს და არ არის გამორიცხული, ბრაიანტმა ცნობილი მოკრივის მაიკ ტაისონის ხვედრი გაიზიაროს. როგორც გახსოვთ, ანალოგიური დანაშაულისთვის ტაისონმა რამდენიმე წელიწადი ციხეში გაატარა.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** საფრანგეთის გრან-პრის დასრულების შემდეგ „მაკლარენის“ შეფმა რონ დენისმა რბოლის მარშლები გააკრიტიკა: „როდესაც წინ მიდის ბოლიდების მჭიდრო ჯგუფი, ძნელი გასარკვევია, თუ ვინ ვის ასწრებს მეორე წრეზე. მარშლები დროშებს მხოლოდ იმ შემთხვევებში ხმარობდნენ, როდესაც პირველი სამეული უსწრებდა დანარჩენებს. შესაბამისად, ჩემს პილოტებს, დევიდ კულტჰარდს და კიმი რაიკონენს მარშლების უმოქმედობის გამო დიდი დრო დასჭირდათ იმისთვის, რომ ერთი წრით ჩამორჩენილებისთვის გაესწროთ. ასეთ სიტუაციაში მიხაელთან მხოლოდ ერთი პოზიციით დამარცხება ურიგო შედეგი არ არის. ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ.“

■ ■ ■

**ჰოკეი.** 26 წლის თავდამსხმელი დენის ჰამპი „ოტავას“ წევრი გახდა. ჰამპმა „სენატორებთან“ თავისუფალი აგენტის სტატუსით გააფორმა მრავალწლიანი კონტრაქტი. გასულ სეზონში ეს ჰოკეისტი „ბუფალოში“ ირიცხებოდა, თუმცა, ამ კლუბის შემადგენლობაში ერთი მატჩიც არ ჩაუტარებია.

### კრივი

# საქართველოსგან ხმაური გაჰკვირვებიათ

ბიბა ბურასაშვილი

*ახლახან კადეტთა III მსოფლიო ჩემპიონატზე ქართველ მოკრივეთა წარმატებაზე ვიუწყებოდით. ჩვენმა სპორტსმენებმა სამი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. მაგრამ იმის შესახებ, თუ რა როგორ იყო ბუქარესტის რინგზე, თითქმის არაფერი ვიცოდით და იძულებული ვიყავით, მოკრივეებს დავლოდებოდით. რამდენიმე დღის წინ კადეტთა ნაკრები შინ დაბრუნდა, გუშინ კი პრესკონფერენცია გამართა..*


პრესკონფერენციაზე: გიორგი კანდელაკი ახალგაზრდა მოკრივეებთან ერთად.

პრესკონფერენციაზე იყვნენ საქართველოს კრივის ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი კანდელაკი, კადეტთა და მთავარი ნაკრების მწვრთნელები ბეჟან ჭიჭინავა და თენგიზ მესხაძე და, რა თქმა უნდა, მედალოსანთა ოთხეული.

ფედერაციის პრეზიდენტმა მოკლედ მიმოიხილა ბუქარესტის პერიპეტიები და რუმინეთის დედაქალაქში მიღწეული შედეგები წარმატებულად შეაფასა.

საქართველოს ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატს შეთხელებული შემადგენლობით ეწვია.

“მიუხედავად იმისა, რომ მიღწეულით კმაყოფილები ვართ, სავსებით შესაძლებელი იყო, უკეთესადაც გვქონოდა საქმე. კობა ფხაკაძესა (57კგ) და რეზო ქარელიშვილს (75კგ) აშკარად წააგებინეს ფინალური ორთაბრძოლა. მსაჯებს რომ რომელიმე მათგანისთვის ხელი არ შეეშალათ, გუნდური მეხუთე ადგილის ნაცვლად მესამეზე აღმოვჩნდებოდით. ასევე, უკეთეს შედეგს იმსახურებდნენ ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლის მფლობელები კობა ქარქაშაძე (63კგ) და ბესო ხუტუაშვილი (80კგ). სამწუხაროა, რომ ასე მოხდა, მაგრამ მაინც კმაყოფილები ვართ. ბიჭებმა იმაზე მეტი გააკეთეს, ვიდრე შეეძლოთ”, - გვითხრა გიორგი კანდელაკმა.

კანდელაკს კვერი დაუკრა კადეტთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბეჟან ჭიჭინავამაც, რომელიც ასევე გულნატკენი და, იმავდროულად, კმაყოფილი იყო საკუთარი შეგირდებით: “არავინ მოელოდა, თუ საქართველო ასეთი ხმაურით გავიდოდა ჩემპიონატზე. მსაჯთა არაობიექტურობის მიუხედავად, შედეგზე აუგი არ დამცდება. დროა საჭირო. როცა ჩვენს ასეთ შედეგებს შეეჩვევიან, მერე სხვაგვარადაც შემოგვხედავენ”.

მედალოსანთა ოთხეულისთვის მსოფლიო ჩემპიონატი სადებიუტო გახლდათ, რაც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ შემდგომ ასპარეზობებზე მათი იმედი შეიძლება გვქონდეს. მით უმეტეს, ევროპის ჩემპიონატზე, რომელსაც 1-10 აგვისტოს კაუნასი უმასპინძლებს. მანამდე კადეტები ცოტას დაისვენებენ. 16 ივლისიდან კი ვარიანში შეიკრიბებიან და კაუნასისთვის მოემზადებიან.

### Tour de France

# წითელი, ლურჯი და მარჯვნივ

ირაკლი ბერიაშვილი

სანამ პირველი ეტაპის ამბებზე გადავიდოდეთ, მკითხველს ჯიროში მომუშავე ჩვენი “საზღვარგარეთული” ჯგუფის შესახებ მინდა ორიოდე სიტყვა ვუთხრა. ორივე – ნინო პრიმაცა და ფლავიო კარბონეც თანახმაა, ტურ დე ფრანსზეც იმუშაოს. და კიდევ. ჯგუფს შეემატება ქალბატონი, რომელიც შესანიშნავად ფლობს ფრანგულ ენას და, იმედი მაქვს, ძალიან დაგვეხმარება ინტერვიუების ხაზით. ერთადერთი უხერხულობაა – ჩვენი ჯგუფის ახალმა წევრმა არაფრით არ ისურვა სრული სახელისა და გვარის გამხელა. შეკითხვაზე, აბა, როგორ მოგიხსენიოთ-მეთქი და, უბრალოდ, დალიდაო. მკითხველს ახლავე ვაფრთხილებ, რომ ეს იმ ძველ მომღერალ დალიდაში არ აერიოს, ქალბატონი საკმაოდ ახალგაზრდაა და ასე შემდეგ. დაწვრილებით ცნობებს დალიდას თაობაზე შემდეგ ნომერში, ალბათ, პირველ ინტერვიუსთან ერთად მოგაწვდით, ახლა კი მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ნინო პრიმა ისევ ისეთი მომხიბლავია, ფლავიო კი თავისი ყვითელი მოტოციკლით ტურ დე ფრანსის ტრასაზე დაქრის. ძველი, ნაავარიევი ტრავმებიდანაც აღარაფერი დარჩა, თუ არ ჩავთვლით საკმაოდ გრძელ, წითელ ნაიარევს შუბლიდან ყურის ძირამდე. ეს, თავით რომ შეასკდა ხეს, იმის კვალია.

პირველი ეტაპი კი საკმაოდ მხიარულად დაიწყო. პელოტონს სამნი გამოეყვნენ და რამდენიმე საათის განმავლობაში ტელემაყურებელს საშუალება ჰქონდა, მათი ცქერით დამტკბარიყო. სამხიარულო კი ის იყო, რომ ამ სურათმა ერთი აბსურდული გამოთქმა გამახსენა: გზაზე მიდიოდა სამი ველოსიპედისტი – ერთი წითელი, ერთი ლურჯი და ერთიც მარჯვნივ. თუ არ ჩავთვლით ამ სამეულის სარეკლამო მანჭვა-გრეხას, მათი გაქცევა იმდენად უაზრო იყო, - უწინარეს ყოვლისა, სპორტული თვალსაზრისით, - რომ მაშინვე ზევით ნახსენები გამოთქმა მომივიდა თავში. ყველაზე უფრო კი იმაზე მეცინებოდა, რომ თვითონაც, მათ უკან, ავტომობილში ნებივრად მისვენებულმა გუნდის უფროსობამაც, მთელმა პელოტონმა და, წარმოიდგინეთ, მილიონობით ტელემაყურებელმაც მშვენივრად იცოდა, რით დასრულდებოდა ეს შეტევა - ფინიშამდე რამდენიმე კილომეტრით ადრე პელოტონი ერთს გაიზმორებოდა, მერე პირს დააღებდა



ალესანდრო პეტაკი ფინიშთან პირველია.

ტექნიკური შედეგები

I ეტაპი. სენ-დენი – მო. 168 კმ.

| | |
|---|---|
| 1. ალესანდრო პეტაკი (ფასა ბარტოლო, იტალია) | 3.44.33 |
| 2. რობი მაკ`ივენი (ლოტო, ავსტრალია) | იგივე დრო |
| 3. ერიკ ზაბელი (ტელეკომი, გერმანია) | იგივე დრო |

საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. ბრედლი მაკ`ჯი (FDS, ავსტრალია) | 3.51.55 |
| 2. დევიდ მილარი (კოფიდისი, დიდი ბრიტანეთი) | +4 წმ. |
| 3. აიმარ ზებელდია (ეუსკალტელი, ესპანეთი) | +6 წმ. |
| 4. იან ულრიხი (ბიანკი, გერმანია) | +6 წმ. |
| 5. ვიქტორ პენა (US პოსტალი, კოლუმბია) | +10 წმ. |
| 6. ტაილერ ჰამილტონი (CSS, აშშ) | +10 წმ. |
| . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . | |
| 8. ლანს არმსტრონგი (US პოსტალი, აშშ) | +11 წმ. |

და... ფაფუ ჩვენი მეტიჩარა სამეული. თუმცა, ტურ დე ფრანსი იმიტომაცაა ტურ დე ფრანსი, რომ ამ სამი კვირის მანძილზე, ნამდვილი ცხოვრებისა არ იყოს, ყველაფერს ნახავთ – კომედიასაც, დრამასაც და ტრაგედიასაც... როგორ, მართლა არ გინახავთ, როგორ იკმაყოფილებენ პატარ-პატარა ბუნებრივ მოთხოვნილებებს ველოსიპედზე ამხედრებული სამოცი კილომეტრის სიჩქარით მიმავალი ველოსიპედისტები? არ მითხრათ, არც ხელფეხგადაყვლეფილი, ასფალტზე ვედროდან გადმოცვენილი კიტრებივით გაგორებული სპორტსმენებისთვის მოგიკრავთ თვალი; ალპებსა და პირენეებში გამავალ ტურის დახლართულ ტრასებზე გზის პირას აღმართულ ობელისკებს მაინც შეამჩნევდით. თუ არადა, ვინმე გეტყოდათ: ეს ამ გზებზე დაღუპული ბიჭების ბოლო მოსაგონარია. ამ ადგილებში აუცილებლად ჩერდება ხოლმე მთელი პელოტონი. დუმილის წუთი და მერე ისევ გრძელდება გზა, იმიტომ რომ, როგორც ფრანგები იტყვიან, ასეთია ცხოვრება.

ისე, ძალიან კი გავკიცხეთ ის სამეული, მაგრამ ეს მეტიჩრული გაქცევაც არ ყოფილიყო, მეტისმეტად ნაცრისფერი გამოვიდოდა ჩვენი პირველი ეტაპი. ნინოს მცირე გეოგრაფიული მიმოხილვისა და საფინიშო ავარიის ამარაღა დავრჩებოდით.

## ნინო პრიმა

სენ-დენი იმდენად ახლოა პარიზთან, რომ მის ჩრდილოეთ გარეუბნადაც ითვლება და, ამავდროულად, დამოუკიდებელი ქალაქის სტატუსიც აქვს. აქ 86 340 კაცი ცხოვრობს. ქალაქი მდიდარია კულტურული და არქიტექტურული ძეგლებით. ტურისტების განსაკუთრებულ ყურადღებას შუა საუკუნეების ძეგლები იქცევენ. სენ-დენის სააბატოს ეკლესიას, რომელიც 1137-1144 წლებში შენდებოდა და შემდეგ არაერთხელ იქნა რესტავრირირებული, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა გოტიკური ხუროთმოძღვრების განვითარებისთვის. მეცამეტე საუკუნიდან სენ-დენი საფრანგეთის მეფეთა საძვალე იყო. აქ არაერთი გვირგვინოსანია დაკრძალული. სენ-დენის ღირსშესანიშნაობათა რიცხვს მიეკუთვნება ხელოვნებისა და ისტორიის მუზეუმები, ოქრომჭედლობის მუზეუმი, საპატიო ლეგიონის საგანმანათლებლო სახლი... ამ ქალაქში 3000-ზე მეტი საწარმო და 1200 ფირმაა. პირველი ეტაპის ფინიში ბრიეს მაღლობის კიდევ ერთ პატარა, მომაჯადოებელ, ლამაზ ქალაქშია, რომელსაც მოს ეძახიან. აქ 50 000 კაცი ცხოვრობს. ტურისტებს მო გალო-რომანული მემკვიდრეობის ნაშთებით და მეთორმეტე საუკუნის არქიტექტურული ძეგლებით ხიბლავს. მთავარი ღირსშესანიშნაობა კი სენტ-ეტიენის ულამაზესი კათედრალია.

## ისევ მე, ანუ ირაკლი

კოხტა ქალაქი კია, მაგრამ როცა დაღვლარჭნილი ფინიშის სქემა ვნახე, გავიფიქრე, ამ ფინიშის დამგეგმავი სასტიკი ადამიანი უნდა იყოს-მეთქი. ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი, როგორც მე ამიხდა ეს წინათგრძნობა. ბოლო, ოთხმოცდაათგრადუსიან მოსახვევში “კელმეს” ერთ-ერთი მრბოლი დავარდა და მერე მთელი პელოტონიც ზედ მიჰყვა. ადამიანები და ველოსიპედები ერთიმეორეში აირია. ამ დახლართული გორგლის გამოშლას კარგა ხანი დასჭირდა, დიდი დრო წაიღო სპორტსმენების მოსულიერება-გონზე მოყვანამ და დასისხლიანებული ხელებისა და ფეხების სახელდახელო დამუშავებამ. ბედად, სპრინტერთა მთავარი ჯგუფი ზედახორას გადაურჩა. დიდი ოთხეული – ზაბელი, ო`გრეიდი, მაკივენი და პეტაკი – უკანასკნელ მეტრებამდე იბრძოდა და, როგორც ყველა ნამდვილ, სპრინტერულ ფინიშზე, აქაც წამის მეასედებმა ანუ სანტიმეტრებმა გადაწყვიტა გამარჯვებულის ბედი – ყველაზე იღბლიანი, უფრო სწორად კი, ყველაზე სწრაფი სულ ერთი თვის წინ დასრულებული ჯიროს გმირი ალესანდრო პეტაკი აღმოჩნდა.

### ჩოგბურთი

# მისია


უიმბლდონის კორტები.

სანდრო ნავერიანი

4 ივლისს გაზეთის მთავარმა რედაქტორმა თავისი კაბინეტისკენ მიმითითა. კაბინეტში შესულს თვითონაც შემომყვა. მკითხა - უახლოესი სამი დღის განმავლობაში რა გეგმები გაქვსო. ეს თქვენზეა დამოკიდებული-მეთქი, - ვუპასუხე. ჩაიცინა, რაღაც კონვერტი გამომიწოდა და, აბა შენ იციო, გამამხნევა. კაბინეტიდან გამოვედი, ჩემს მაგიდასთან დავჯექი და კონვერტი გავხსენი. კონვერტში იდო ერთი ავიაბილეთი ლონდონის მიმართულებით, უიმბლდონის ფინალის ერთი, პრესლოჟის ბილეთი და რაღაც ფურცელი, რომელზეც ეწერა:

“დანიშნულების ადგილი - ლონდონი, უიმბლდონის ცენტრალური კორტი.

მისია: გაფაციცებით უყურე ფილიპუსის-ფედერერის ფინალურ შეხვედრას და მატჩის ანალიზი გამოგზავნე. თუ 7 ივლისს, დილით, ეს მასალა მაგიდაზე არ დამხვდება, სამსახურს დაემშვიდობე”.

უახლოესი სამი დღე მართლაც სხვაგვარად მქონდა დაგეგმილი, მაგრამ ამ გეგმებში შედიოდა უიმბლდონის ფინალის ტელევიზორით ნახვა და ამიტომაც სულ არ მწყენია ის ამბავი, რომ ლონდონს უნდა გავფრენილიყავი. 5 ივლისს, თბილისის დროით ხუთ საათზე გავფრინდი და გრინვიჩის დროით ხუთ საათზე ჩავფრინდი. ფაქტობრივად, არც გავფრენილვარ. რეგისტრაცია გავიარე და თავისუფალი დრო ქალაქში ბოდიალს მოვანდომე. პიკადილი და ტრაფალგარის მოედანი, ვესტმინსტერის სააბატო და ბიგბენი, ჰეიუარდის გალერეა და ბუკინგემის სასახლე - ეს ის ღირსშესანიშნაობებია, რომელთაც აქამდე ტელევიზორსა თუ ჟურნალ-გაზეთებში ვხედავდი. მოკლედ, რითიც ლონდონი და ლონდონელები ამაყობენ, ყველაფერი საგულდაგულოდ ავითვისე. 6 ივლისს, პირველ საათზე, მივედი დანიშნულების ადგილას. უიმბლდონი კიდევ ერთი ასოცდაექვსწლიანი ისტორიაა, რითიც ლონდონი ამაყობს. ცენტრალურ კორტთან უამრავი ხალხი ირეოდა. რიგში ვიდექი, რათა ჩემი ბილეთისთვის კონტროლი მოეხიათ და კორტზე შესვლის ნება დაერთოთ. ამ დროს ვიღაც კაცი მოვიდა და მთხოვა, ჩემი პრესლოჟის ბილეთი მისთვის მიმეცა, ის კი თავის ჩვეულებრივ ბილეთს მომცემდა. ეს კაცი ბურკინა ფასოს პრესის წარმომადგენელი იყო და ჩოგბურთის ინჩიბინჩი არ გაეგებოდა. გადავწყვიტე, ფინალური მატჩისთვის, როგორც ჩვეულებრივ მაყურებელს, ისე მედევნებინა თვალი. ბილეთი გავუცვალე და ამის მერე თავი ამოვყავი ისეთ ადგილას, რომ... ჩემს წინ იჯდა სერ ალექს ფერგიუსონი, მარჯვნივ ირლანდიელი მომღერალი სიმფლი რედი მიმშვენებდა გვერდს, მარცხნივ კინომსახიობი მეთიუ პერი, უკან კი - ფილიპუსისის ფანები. ისე გავერთე ცნობილი ადამიანების თვალიერებით, რომ მატჩის დასაწყისი გამომეპარა. აზრზე რომ მოვედი, ფედერერს ერთი გეიმი უკვე მოეგო და ფილიპუსისის მოწოდების მოსაგერიებლად ემზადებოდა. და აი, ისიც, ფილიპუსისის ცნობილი ეისი. არ მეგონა, თუ ოდესმე ცოცხლად ვნახავდი ამ განთქმულ მოწოდებას. კორტზე საოცარი სიჩუმე სუფევდა, მოთამაშეების სუნთქვაც კი ისმოდა. 23 ივნისს შეკრულმა კვანძმა კულმინაციას მიაღწია და ახლა ყველა მის გახსნას ელოდა. ძალიან მინდოდა, კორტზე გავსულიყავი და ყველასთვის დამემტკიცებინა, რომ ამ უდიდესი წარმოდგენის მოწმე ვიყავი. მაშინ მივხვდი, თუ რატომ შეიძლება კაცი გაშიშვლდეს და ჩემპიონთა ლიგის ფინალის მსვლელობისას მოთამაშეებს მოედანზე გაუვარდეს. შთაბეჭდილება იმდენად დიდი და კარგი იყო, რომ ამის სიტყვით გადმოცემა ძალიან ძნელია. ეს ის ადგილია, სადაც წაგებული არავინ რჩება. ფედერერმა დაამარცხა ფილიპუსისი, მაგრამ მაყურებლისთვის ამას არაფერი შეუცვლია. ვიდექი გაოცებული და ტაშს ვუკრავდი. ვის ვუკრავდი ტაშს? ვის და ფედერერს, ფილიპუსისს, მთავარ მსაჯს, მაყურებლებს, ჩემს თავს და ყველაზე მეტად ჩემს მთავარ რედაქტორს. ჩემი რჩევა იქნება თქვენთვის, წადით! წადით-მეთქი! აუცილებლად წადით! გაიჭირვეთ და ერთხელ მაინც წადით უიმბლდონზე!

**P.S.** ყველაფერი ძალიან კარგი და დაუვიწყარი იყო. ფედერერი უიმბლდონის ტრიუმფატორი და 575 ათასი გირვანქის მფლობელი გახდა, ფილიპუსისმა “სასალათე” და 287 ათასი გირვანქა აიღო, მე კი მისია ვერ შევასრულე, თანაც, სულ უბრალო მიზეზის გამო - ანალიზი სპეციალისტების საქმეა, ჩემი საქმე კი წერაა, რასაც ვაკეთებ კიდეც.

### TV-სპორტი

სამშაბათი. 8 ივლისი

**НТВ + ФУТБОЛ**

13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 განვლილი სეზონის გახსენება. ესპანეთის ჩემპიონატი. “ბარსელონა” - “ესპანიოლი”
15:00 “ტოტალიზატორი”. რუსეთის ჩემპიონატი. მე-16 ტური
15:15 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 99/00 სეზონი. “მილანი” – “ჰერტა”
17:00 “დარტყმა გოლისთვის”
17:15 განვლილი სეზონის გახსენება. ინგლისის ჩემპიონატი. “ჩელსი” – “ლიდსი”
19:00 თავისუფალი დარტყმა
19:15 სახვალიო ტელეპროგრამა
19:20 განვლილი სეზონის გახსენება. იტალიის ჩემპიონატი. “მილანი” – “რომა”
21:05 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 99/00 სეზონი. “ბაიერი” – “დინამო” (უკრაინა)
22:50 განვლილი სეზონის გახსენება. გერმანიის ჩემპიონატი. “ბორუსია” – “ჰერტა”
00:35 განვლილი სეზონის გახსენება. ესპანეთის ჩემპიონატი. “ბეტისი” – “ბარსელონა”

**НТВ + СПОРТ**

11:00, 14:00, 17:00, 20:15, 22:15 პრესცენტრი
11:15, 22:00 “ოლიმპის შვილები”
11:20, 14:15 აერობიკა
11:45 “რკინის ფაქტორი”
12:15 საუკუნის ათლეტი
14:30 სპორტული ცეკვები. საერთაშორისო ტურნირი. “სლავების ღია თასი”. პირველი ნაწილი
15:15 ბილიარდი. მსოფლიოს ჩემპიონატი რუსულ ბილიარდში. პირველი ნაწილი
17:15 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. საუკეთესო მატჩები
20:30 ველოსპორტი-შოსე. რუსეთის ჩემპიონატი
21:00 “ვარსკვლავური სამშაბათი”
22:05 სახვალიო ტელეპროგრამა
22:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური
23:00 “კეგლის დროა”
23:30 ფიგურული სრიალი. “STARS ON ICE”
00:30 პოკერი. “One Million Poker-2003. მესამე ნაწილი
01:15 ახალი ამბები
01:30 პოკერი. “One Million Poker-2003. მეოთხე ნაწილი

**EUROSPORT**

11:30 ექსტრემალური სპორტი
12:30 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
13:45 მულტისპორტი
14:15 მძლეოსნობა
16:45 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
20:45 მძლეოსნობა
23:00 კრივი
01:00 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
02:00 ახალი ამბები
02:15 კრივი
03:15 სუმო
04:15 ახალი ამბები



მოკლედ

## „სუუამის ქვეყნების კულტურული დერეფანი" ბაქოში ჩადის

9-10 ივლისს ბაქოში დაგეგმილ კონფერენციაში „სუუამის ქვეყნების კულტურული დერეფანი" — საქართველოს, უზბეკეთის, უკრაინის, მოლდოვისა და აზერბაიჯანის ქვეყნების წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას. კონფერენციის მიზანია ევროპა-კავკასია-აზიის ქვეყნებს შორის დასავლური ტიპის კულტურული დერეფნის განმტკიცება და განვითარება. კონფერენციასთან დაკავშირებით საქართველოს კულტურის მინისტრმა სესილი გოგიბერიძემ აზერბაიჯანის კულტურის მინისტრისგან ფოლად ბულბულ-ოღლისგან მიმართვის წერილი მიიღო, სადაც ნათქვამია, რომ მსგავსი შეხვედრები და ურთიერთობები ქვეყანათა შორის კულტურულ საკითხებში დისკუსიების წარმართვას შეუწყობს ხელს.

საქართველოდან ბაქოში ინფორმაციისა და კომუნიკაციის დეპარტამენტის დირექტორი გიორგი ქავთარაძე და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული იუნესკოს დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ სადოვსკი გაემგზავრნენ. სტუმრის სტატუსით კონფერენციას კულტურის მინისტრის მოადგილე ზურაბ ოიკაშვილიც დაესწრება.

გამომსვლელები ისაუბრებენ თემებზე: კულტურული კონტაქტების როლი გრძელვადიანი თანამშრომლობისთვის, მატერიალური და არამატერიალური კულტურა, კაცობრიობის საერთო მონაპოვარი და სუუამის ქვეყნების ვირტუალური დერეფნის შექმნა. ქართული დელეგაცია ბაქოში 9 ივლისს გაემგზავრება. *მედია-ნიუსი*

## დადიანების სასახლის ეზოში მიმდინარე უკანონო მშენებლობა შეჩერებულია

ძეგლთა დაცვის დეპარტამეტის თავმჯდომარის, კახა ტრაპაიძის ცნობით, ზუგდიდის დადიანების სასახლის ეზოში მიმდინარე გასართობი კომპლექსის მშენებლობის პროექტი თბილისშია. მისი თქმით, ზუგდიდის მუზეუმის დირექტორის მოვალეობის დროებითმა შემსრულებელმა გონელი არახამიამ თბილისში თავად ჩამოიტანა პროექტი, რომელსაც ძეგლთა დაცვის სპეციალური კომისია შეისწავლის და მშენებლობის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს. „პროექტის ჩამოტანა თბილისში დიდი დავისა და კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ მოხერხდა. მიუხედავად ამისა, კულტურის სამინისტრომ და ძეგლთა დაცვის დეპარტამენტმა ეს მაინც მოახერხა", – განაცხადა კახა ტრაპაიძემ.

ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი მუზეუმის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვისა თუ აკრძალვის შესახებ ინფორმაციას უახლოეს მომავალში გაავრცელებს. *მედია-ნიუსი*

## სპექტაკლი მცხეთის კულტურის სახლში

მცხეთის კულტურის სახლში 14-წლიანი პაუზის შემდეგ მსახიობმა პავლე ნოზაძემ მონო-სპექტაკლი „საუკუნო კაცის აღსარება" წარმოადგინა. დიდი ხნის წინათ გაუქმებულ და ახლად აღდგენილ მცხეთის კულტურის სახლში ნოველების თეატრის პირველი სპექტაკლი გაიმართა. პიესის ავტორი რევაზ მიშველაძეა. ამ სპექტაკლით მსახიობი პავლე ნოზაძე საქართველოს რეგიონებსაც ეწვევა და წლის ბოლომდე „საუკუნო კაცის აღსარებას" სხვადასხვა თეატრების სცენაზე გამართავს. *მედია-ნიუსი*

## იოკო ონოს ახალი პროექტი

პარიზის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში ჯონ ლენონის ქვრივმა იოკო ონომ „ქალთა ოთახი" გახსნა. ეს არის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს იოკოს შემოქმედების ამსახველი ოთხი ფილმის ჩვენებას. ეს ფილმები ბოლო რამდენიმე ათწლეულის ცხოვრებას ეძღვნება. სამი ფილმი - „თავისუფლება", „გაუპატიურება" და „ბუზი" ფემინიზმის თემას ეხმიანება, მეოთხე კინოსურათი „ჩამოჭრილი ნაწილი" კი გვიამბობს პერფორმანსზე, რომელიც იაპონელმა მხატვარმა დიდი ხნის წინ – 1964 წელს შექმნა. „ქალთა ოთახს" ალბათ ბევრი სტუმარი ეყოლება, იოკო ონო ხომ ცნობილი იყო კონცეპტუალისტთა წრეებში და თავის დროზე საკმაოდ დიდი გავლენა მოახდინა ახალგაზრდა მხატვრებზე.

## ლაკრუას აღმოსავლური ხაზი

ფრანგი დიზაინერის - კრისტიან ლაკრუას კოლექციაში აღმოსავლური ხაზი შეიჭრა. უფრო მეტიც, ის თავის ახალ კოლექციას აღმოსავლელი მამაკაცებისთვის ქმნის. დიზაინერის მიერ ახალი ტერიტორიების „დაპყრობა" ახალი კოლექციით იწყება - Christian Lacroix Menswear. თუ ადრე ლაკრუა, ძირითადად, მხოლოდ ქალის ტანსაცმელს, ჯინსებს, თეთრეულს, სუნამოებსა და მორთულობას ქმნიდა, დიზაინერის 2003-2004 წლის კოლექციაში მამაკაცის პიჯაკები, პერანგები და ჰალსტუხები დომინირებს.

# სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი „ხელოვნების ზეიმისათვის" ემზადება

მადი სერებრიაკოვა

*ბორჯომის მეორე საერთაშორისო ფესტივალის, "ხელოვნების ზეიმის" დაწყებამდე საკმაოდ ცოტა დრო რჩება. ფესტივალი, რომელიც საქართველოს მუსიკალურ ცხოვრებაში, ალბათ, ამ ზაფხულის უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცევა, 17 ივლისს იწყება. ისევე როგორც შარშან, წელსაც "ხელოვნების ზეიმი" საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის სპონსორობით ხორციელდება. სპეციალურად ამ მოვლენისთვის, საქართველოს არაერთი მსოფლიო მნიშვნელობის მუსიკოსი ეწვევა: ივან მონიგეტი, ედუარდ ბრუნერი, ნიკოლაი პეტროვი, მაიკლ ზარეცკი, ერი კლასი, იუსტუს ფრანცი, შოსტაკოვიჩის სახელობის სიმებიანი კვარტეტი. გარდა უცხოელი მუსიკოსებისა, ბორჯომის ფესტივალს ჩვენი საზღვარგარეთ მოღვაწე თანამემამულეებიც შეუერთდებიან: ირმა ისაკაძე გერმანიიდან, კონსტანტინე ორბელიანი აშშ-დან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფესტივალში გამოჩენილი ქართველი დირიჟორის - ვახტანგ ჟორდანიას გამოჩენაა. ვახტანგ ჟორდანიასთან სატელეფონო ინტერვიუ კორეიდან ჩავიწერეთ, სადაც იგი ამ დღეებში მართავდა კონცერტებს. გაზეთ "24 საათის" სტუმარი კი მისი ვაჟი, საქართველოს სახელმწიფო ორკესტრის მთავარი დირიჟორი გიორგი ჟორდანია გახლდათ.*





გიორგი და ვახტანგ ჟორდანიები ბორჯომისთვის მზად არიან.

ვახტანგ ჟორდანია 1983 წლიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს. ემიგრაციამდე იგი ლენინგრადის რადიოს, სარატოვისა და ხარკოვის ფილარმონიული ორკესტრების დირიჟორი იყო. წელიწადში ას კონცერტზე მეტს მართავდა. მაშინ მისი პარტნიორები დავიდ და იგორ ოისტრახები, ლეონიდ კოგანი, დიმიტრი შოსტაკოვიჩი, კირილ კონდრაშინი და ემილ გილელსი იყვნენ.

ამერიკაში გადასვლისთანავე მას კარი კარნეგი ჰოლმა, ასევე საფრანგეთის, გერმანიის, ავსტრიის, ჰოლანდიის, ბელგიის, იაპონიის და სხვა მრავალი ქვეყნის საუკეთესო დარბაზებმა გაუღო. ამჟამად ვახტანგ ჟორდანია ასევე კორეის სიმფონიური ორკესტრის, რუსეთის ფედერალური ორკესტრისა და უკრაინის ფილარმონიული ორკესტრის დირიჟორია. კორეაში დირიჟორი უკვე 19 წელიწადია რეგულარულად მართავს კონცერტებს. მორიგი კონცერტიც რამდენიმე დღის წინ შედგა.

ვახტანგ ჟორდანია, რომელიც თავისი საოპერო მოღვაწეობითაც არის ცნობილი, სისტემატურად დირიჟორობს სპექტაკლებს მოსკოვის დიდ და მარიას თეატრებში. ცოტა ხნის წინათ თბილისის მუსიკალურ წრეებში გავრცელდა ხმა, რომ ვახტანგ ჟორდანია, შესაძლოა, თბილისის საოპერო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელიც გამხდარიყო. თუმცა, ეს ვერსია თავად დირიჟორმა არ დაადასტურა: **"ამის შესახებ მე თვითონ გაზეთში ამოვიკითხე. უცნაურია, ამაზე ჯერ არავინ შემხმიანებია და არავითარი წინადადება არ გაუკეთებიათ."**

ოდესღაც (1971 წელს) ჰერბერტ ფონ კარაიანის სახელობის კონკურსში გამარჯვებული ვახტანგ ჟორდანიას სახელს ამჟამად ერთ-ერთი პრესტიჟული ყოველწლიური კონკურსი ატარებს. ეს ამერიკული კონკურსია, თუმცა იგი უკრაინაში იმართება. მისი პრეზიდენტი, ამავე დროს, ამერიკის სიმფონიური ლიგის პრეზიდენტია. **"მიხარია, რომ კონკურსი ყოველწლიურად ვითარდება,** - აღნიშნავს ვახტანგ ჟორდანია - **ამჟამად იგი მსოფლიოში მესამეა მნიშვნელობით. წელს მასში 19 ქვეყნიდან ჩამოვიდნენ მონაწილეები. სულ უფრო საინტერესო ხდება საკონცერტო ტურნეები, რომლებსაც გამარჯვებულები მართავენ".** 2001 წელს ამ კონკურსში გიორგი ჟორდანიამაც გაიმარჯვა.

საქართველოში ვახტანგ ჟორდანია რამდენიმე წელიწადია არ გამოსულა. უკანასკნელად იგი ჯანსუღ კახიძის მოწვევით იყო თბილისში. აღსანიშნავია, რომ ვახტანგ ჟორდანიას სახელი უფრო დიდ მუსიკალურ ფორმებსა და ფართო ორკესტრებს უკავშირდება. კამერულ ორკესტრებთან დირიჟორი საკმაოდ იშვიათად ჩნდება: **"როდესაც ახალგაზრდა ვიყავი, ლენინგრადის კამერულ ორკესტრს ვუძღვებოდი. სწორედ მაშინ მოვაწყვეთ თაქთაქიშვილის "მეგრული სიმღერების" პრემიერა ზურაბ სოტკილავასთან ერთად. შარშან ავსტრიის კამერულ ორკესტრ "არპეჯიონესთან" ერთად გამოვედი. მანამდე ამერიკაში დალასის კამერულ ორკესტრთან ვმუშაობდი."**

დიდი ხნის განშორების შემდეგ ვახტანგ ჟორდანიას საქართველოში დაკვრა სწორედ სახელმწიფო კამერულ ორკესტრთან ერთად მოუწევს. "ხელოვნების ზეიმი" ჟორდანიას დირიჟორობით დაიხურება. ბიზე-შჩედრინის "კარმენ-სიუიტას", ბახის კონცერტს ალტისა და კამერული ორკესტრისათვის და მოცარტის "სიმფონია-კონცერტანტეს" იგი ლიანა ისაკაძესა და მაიკლ ზარეცკისთან ერთად შეასრულებს: **"გასახარია, რომ ფესტივალი ისეთ მშვენიერ ადგილას ტარდება, როგორც ბორჯომია. ბორჯომს თავისი წყლების გამო ბევრი იცნობს. იმედია, რომ ფესტივალი კიდევ უფრო განვითარდება და გაუმჯობესდება. დასაწყისისთვის ძალიან კარგია, გავიგე, რომ პირველ ფესტივალს დიდი გამოხმაურება ჰქონდა. ძალიან მსიამოვნებს მასში მონაწილეობა, თუნდაც იმიტომ, რომ მას ლიანა და გიორგი უძღვებიან. მე და ლიანა ერთად ვსწავლობდით კონსერვატორიაში, თითქმის ერთი თაობის მუსიკოსები ვართ. იგი ბრწყინვალე მევიოლინე და შესანიშნავი ადამიანია."**

ბორჯომის ფესტივალის შემდეგ ვახტანგ ჟორდანიას მნიშვნელოვან საზაფხულო გეგმებს შორის მოსკოვში დაგეგმილი კონცერტი და ჩანაწერების გაკეთებაა. ამჟამად დირიჟორი შოსტაკოვიჩის სიმფონიების ციკლზე მუშაობს (ჩაწერილი აქვს 23 CD): **"მწერალი თავის შემდეგ წიგნებს ტოვებს, მხატვარი - ნახატებს, მუსიკოსი კი – ჩანაწერებს. ჩანაწერები გაკეთდა „როიალ ფილარმონიკთან" ერთად ლონდონში, „ბერლინ ფილარმონიკთან" – ბერლინში და ა.შ. მოსკოვში ძალიან მოსახერხებელია, ჯერ ერთი იქ ჩემი ორკესტრი მელოდება, მეორეც - ჩაწერაც ბევრად უფრო იაფი ჯდება და ხარისხიც მაღალია."**

*გიორგი ჟორდანია 1999 წლიდან საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრის მთავარი დირიჟორია. ზემოთ აღნიშნულ კონკურსში გამარჯვებამდეც იგი რეგულარულად მართავდა კონცერტებს რუსეთში, უკრაინაში, აშშ-სა თუ სხვა ქვეყნებში. როგორც ორკესტრის მთავარი დირიჟორი, იგი ხელმძღვანელობდა ბორჯომის პირველ ფესტივალსაც:* **"ბორჯომის ფესტივალი აგრძელებს ბიჭვინთის ანალოგიურ ტრადიციას, რომელიც მაშინდელი ორკესტრის ბაზაზე ტარდებოდა. ოთხი წელია ორკესტრი, ფაქტობრივად, თავიდან შეიქმნა. ჩვენ ყოველთვის ვცდილობდით ჩვენი შემოქმედება რეგიონებში გაგვეტანა (კონცერტებით მოვიარეთ ლაგოდეხი, სიღნაღი, ახალციხე, ფარავნის ტბა, გორი, ქუთაისი, ათონი, ბოდბე და ა.შ.). ბორჯომის ფესტივალი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. თუმცა, აქამდე ეს წამოწყება უამრავ პრობლემასთან იყო დაკავშირებული. საბედნიეროდ, ჩვენი სპონსორების წყალობით, ეს პრობლემები გადაიჭრა. ჩვენ ვერც კი წარმოვიდგენდით, რომ ასე ამოგვიდგებოდნენ მხარში. ბორჯომის ბოთლს უკვე ჩვენი ფესტივალის ლოგოც კი ადევს."**

გასული წლის ფესტივალთან შედარებით, წლევანდელმა "ხელოვნების ზეიმმა" მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა: **"პირველ რიგში,** – აღნიშნავს გიორგი ჟორდანია, – **უფრო შემჭიდროვდა და დაიხვეწა პროგრამა. ამავე დროს, წელს უდიდესი მუსიკოსები ჩამოვლენ."** კვლავ ძალაში დარჩა ფესტივალის ორიგინალური ფორმატი, რომელიც სხვადასხვა დარგებისა და მიმართულებების სინთეზს გულისხმობს: **"ასეთი შეერთება ყოველთვის კარგი არ არის, მაგრამ ვცდილობთ, რომ ბოროტად არ გამოვიყენოთ. რასაც ვაკეთებთ - გემოვნებით ვაკეთებთ."**

ახალი ფესტივალისთვის მზადება კამერულმა ორკესტრმა დიდი ხანია დაიწყო: **"ხუთი პროგრამის მომზადებას თვეები სჭირდება. სოლისტებს კი ერთხელ ან ორჯერ თუ შევხვდებით – ესეც კარგი იქნება. ორკესტრი მიჩვეულია ფესტივალების სპეციფიკას."**

მიუხედავად უამრავი პრობლემისა, სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი თანდათან იკრებს ძალას. წელს გაზაფხულზე მათ რამდენიმე მნიშვნელოვანი კონცერტი გამართეს ცნობილ სოლისტებთან ერთად: **"სამწუხაროდ, ორკესტრს არა აქვს იმის საშუალება, რომ ხშირად გამართოს კონცერტი,** – აღნიშნავს ორკესტრის მთავარი დირიჟორი - **ჩვენთვის ისიც დიდი მიღწევაა, რომ ორკესტრს ახლა საკუთარი სახლი აქვს. იყო დრო, როცა სომხური თეატრის სასადილოში ვემზადებოდით გასტროლებისთვის."**

უკვე არსებობს იმის ტრადიცია, რომ ქართული ორკესტრი (რომ აღარაფერი ვთქვათ, ცალკეულ მუსიკოსებზე) საზღვარგარეთ რჩება და იქ აგრძელებს მუშაობას: **"საქართველოს უნდა ჰყავდეს საკუთარი კამერული ორკესტრი.** - აღნიშნავს დირიჟორი - **უცხოეთიდან შეიძლება წელიწადში ერთხელ ან ორჯერ ჩამოხვიდე – ეს კი საკმარისი არ არის. ამასთან, თბილისში ორკესტრის შენახვა ბევრად იაფი ჯდება – თვეში 4-5 ათასად შეიძლება პირველხარისხოვანი ორკესტრი გყავდეს".**

# ბრიტანელი საკლუბო ოსტატები თბილისში

### ბრიტანეთის საბჭო საქართველოში ათწლიან მოღვაწეობას "აჭარა მიუზიკ ჰოლშიც" აღნიშნავს

ვერა ნეფარიძე

*დღეს "აჭარა მიუზიკ ჰოლში" ბრიტანეთის რჩეული ვი-ჯეები (ვიზუალური ეფექტების ოსტატები) და დი-ჯეები შეიკრიბებიან. ცნობილი საკლუბო მუსიკალური წამყვანი ფრექ ნასტი ერთ-ერთ საუკეთესოდ აღიარებულ საკუთარ მიქსს ცოცხალი ვიზუალური ეფექტების პროექტის RAYA-ს ფონზე შესთავაზებს თბილისელებს. დღევანდელი კონცერტით ბრიტანეთის საკონსულო საქართველოში ათწლიან მოღვაწეობას აღნიშნავს.*



ფრექ ნასტი



"რაიას" ვიზუალური ეფექტები.

დღევანდელი საღამო განსხვავებულია არამხოლოდ ბრიტანეთის საკონსულოს ორგანიზებული ღონისძიებებისგან, არამედ საერთოდ, თბილისის კლუბებში გამართული მუსიკალური პროექტებისგანაც. მსგავსი რამდენიმე პროექტი ჩვენთან მხოლოდ "აჭარა მიუზიკ ჰოლს" თუ განუხორციელებია. დღეს თბილისელებს საკუთარ ხელოვნებას ცნობილი (არამარტო ბრიტანეთში) საკლუბო, მუსიკალური და ვიზუალური ეფექტების ოსტატები: დი-ჯეი ფრექ ნასტი და პროექტი RAYA-ს წევრები აჩვენებენ.

ვერ ვიტყვი, რომ ჩვენთან ფრექ ნასტის, იგივე დერინ მაკფედიენის სახელი ცნობილია. სამაგიეროდ, ეჭვი არ მეპარება რომ კარგად იცნობთ მის რამდენიმე ნამუშევარს. თუ საყოველთაოდ ცნობილი ჰიტიც That`s My Style! არაფერს გეუბნებათ, მაშინ, უდავოდ, დამეთანხმებით, რომ მოგწონთ რემიქსები: Sousounde-ის Metise (სიმღერა ხომ სწორედ ნასტის რემიქსის წყალობით მოხვდა ყველა წამყვან კლუბსა და საკლუბო მუსიკის ჩარტებში), ან სტივ რიჩის Desert Music. როგორც დი-ჯეიმ და პროდუსერმა ფრექ ნასტიმ ახლახანს რემიქსები დაუმზადა ისეთ ცნობილ მუსიკოსებს, როგორებიცაა Fatboy Slim, Gorillaz, Mystical plus KRS-One. მისმა არაჩვეულებრივად შეფასებულმა მუსიკამ კი გაიჟღერა მუსიკალური სამყაროს საკმაოდ ცნობილ ცენტრებში. ესენია: Twilo, ჯონი დეპის Viper Rooms; აღარაფერს ვამბობთ ლონდონის კლუბებზე: Fabric, The End და Boutique. ფრექ ნასტი მალე გახდება FM რადიოსადგურ Ministry of Sound-ის რეზიდენტი დი-ჯეი.

როდესაც ფრექ ნასტის შესახებ საუბრობენ, ყოველთვის აღნიშნავენ, რომ მას განსაკუთრებული ბგერის მოხოდება შეუძლია. თავად ნასტი კი ამაყობს, რომ მისი შემოქმედებითი წარმატებების მიზეზი მისივე შინაგანი თავისუფლებაა, ხოლო ეს თავისუფლება მან მშობლიურ ადგილებში მიიღო. ნასტი კუნძულ ფიჯიზეა დაბადებული, გაიზარდა ახალ ზელანდიაზე და, როგორც თავად ამბობს, ამის დამსახურებაა, რომ ის ყოველგავრი ბრიტანული მუსიკალური ჩარჩოებისგან შორს იყო ყოველთვის. რამდენად მიმზიდველია თავად ნასტის მუსიკალური ჩარჩოები, ამას დღეს საღამოს ვნახავთ.

დღევანდელი საღამოს ერთ-ერთი საინტერესო ნაწილი დაკავშირებულია ცოცხალი ვიზუალური ეფექტების პროექტის RAYA-ს ოსტატების სახელთან. "აჭარა მიუზიკ ჰოლი" კი ცდილობს დაამკვიდროს ჩვენთანაც დასავლეთში საკლუბო საღამოს ისეთი განუყოფელი ელემენტი, როგორიცაა ცოცხალი ვიზუალური პერფორმანსი, მაგრამ ჯერჯერობით ეს სფერო ჩვენთან აუთვისებელია. ამიტომაც ძალზე საინტერესო უნდა იყოს დღეს RAYA-ს ვი-ჯეების ხელოვნებასთან გაცნობა. ამ ადამიანებმა ხომ ვიზუალური ეფექტებით უზრუნველყვეს ერთ-ერთი ცნობილი ფესტივალი The Big Chill (რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ: Gilles Peterson, Jazzanova, Mr Scruff და Tom Churchill).

RAYA ესაა რეჟისორების, მსახიობებისა და ვიზუალური ეფექტების ოსტატების გაერთიანება. მუსიკალური საღამოების გარდა, ისინი აწყობენ სხვადასხვა კლუბებში ვი-ჯეი ღამეებს; ეხმარებიან სხვადასხვა მუსიკოსებს ტურნეებზე. სხვათა შორის, RAYA-ს კოლექტივი ამას წინათ კორტნი პაინსაც (ამ საქსაფონისტმა შარშან შემოდგომაზე თბილისელებსაც დაუმტკიცა საკუთარი ვირტუოზულობა) ახლდა ევროპულ კონცერტებზე. RAYA-ს ვი-ჯეები მუსიკალურ საქმიანობასთან ერთად პედაგოგიურ მოღვაწეობასაც უთავსებენ - ისინი ოქსფორდის უნივერსიტეტში კითხულობენ ლექციებს. ხვალ კი "აჭარა მიუზიკ ჰოლში" დაინტერესებული ადამიანებისთვის ვორქშოპს გამართავენ.

რაც შეეხება დღევანდელი საღამოს ორგანიზატორს, როგორც ბრიტანეთის საკონსულოს წარმომადგენლებმა გვითხრეს, ისინი წლის განმავლობაში კიდევ რამდენიმე მსგავს ღონისძიებას გეგმავენ. დღევანდელი პროექტით კი საკონსულო თანამედროვე ახალგაზრდული კულტურის პოპულარიზაციას შეეცდება. რაც მთავარია, ისინი ბრიტანეთიდან მუსიკის ნოვატორთა მოწვევას გვპირდებიან.

სვეტი



# ზაფხული

ბიძინა მაყაშვილი

ზაფხული დასვენების დროა, გართობის, მოგზაურობის, ნაყინის, ლუდის, ღია კაფეების და რესტორნების. ზაფხული ფესტივალების და კარნავალების დროა. თბილისიც მეტნაკლებად ცდილობს აჰყვეს ზაფხულომანიას. პირველ რიგში, როგორც იქნა დაცხა. ნაყინის რა მოგახსენოთ, მაგრამ უკვე ორ კვირაზე მეტია, რაც თბილისში სამამულო წარმოების რამდენიმე ახალი ლუდის მარკა გამოჩნდა. ფესტივალების მხრივაც თითქოს არააუშავს სიტუაციას.

რა თქმა უნდა, აქ არ ვგულისხმობთ ერთჯერად პროექტებს, ან დროში გაწელილ, სხვადასხვა შემსრულებლების კონცერტების სერიას, რომლებსაც ქართული უდარდელობით ფესტივალებს არქმევენ. მხედველობაში ორი ნამდვილი ფესტივალი მაქვს - ერთი, რომელიც უკვე შედგა და მეორე, რომელიც ათ დღეში დაიწყება. თბილისის საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალი, რომელსაც დასაბამი 1978 წელს დაედო, წელს მეშვიდედ გაიმართა. მართალია, 25 წლის განმავლობაში შვიდი ფესტივალი ბევრი ვერაფერი სატრაბახოა, მაგრამ ის ფაქტი, რომ ორგანიზატორებმა ბოლო სამი წლის განმავლობაში ზედიზედ სამჯერ ჩაატარეს ეს შრომატევადი ღონისძიება და წელსაც მოახერხეს მაღალი დონის (კენი გარეტი, Take 6) შენარჩუნება, საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ - ჯაზის საერთაშორისო ვარსკვლავების სტუმრობა თბილისში ჩვეულებრივი მოვლენა გახდება.

სანამ სხვა ვარსკვლავებზე გადავსულვართ, შეგახსენებთ, რომ ათ დღეში ბოჯომში კლასიკური მუსიკის მეორე ფესტივალი, „ხელოვნების ზეიმი" იწყება, რომელსაც ქალბატონი ლიანა ისაკაძე უწევს ორგანიზებას. შარშანდელი ფესტივალის მაღალი დონე და წლევანდელის სტუმრების ჩამონათვალი, ისევ ოპტიმისტურ განწყობას გვიქმნის.

ამ ორ ფესტივალს შორის საქართველოშიც და მთელ მსოფლიოშიც რაღაც-რაღაცეები მოხდა, კარგიც და ცუდიც. დავიწყოთ ცუდით. ამ დღეებში შოუ-ბიზნესს სერიოზული დანაკარგები ჰქონდა. ჯერ იყო და 96 წლის ასაკში გარდაიცვალა დიდი მსახიობი ქეთრინ ჰეპბერნი. თუ მისი სიკვდილი, ასაკის გამო, შეიძლება ბუნებრივად მივიჩნიოთ, პოპულარულ მომღერალს, სოულის ლეგენდას, 58 წლის ბარი ვაითს, აშკარად კიდევ შეეძლო უამრავი თაყვანისმცემლის გახარება. ორივეზე ბევრად ახალგაზრდა იყო კამერუნელი ფეხბურთელი ფოე, რომელიც კონფედერაციის თასის ნახევარფინალური თამაშის დროს გარდაიცვალა ეროვნული ნაკრების მაისურით.

მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებით გულდასაწყვეტი იყო ბატონი რობერტ ბარძიმაშვილის მოულოდნელი გარდაცვალება. მასთან და მის ანსამბლთან, „ორერასთან" დაკავშირებულია საქართველოში იმ მუსიკალური ჟანრის განვითარება და პიკი, რომელსაც ჩვენთან ესტრადას, ხოლო დანარჩენ მსოფლიოში პოპ-მუსიკას ეძახიან. რობერტ ბარძიმაშვილი, „ორერა" და 60-70-ანი წლების სხვა ანსამბლები თუ ცალკეული შემსრულებლები, კარგი მაგალითია იმისა, თუ რა რეგრესი განიცადა სამამულო პოპ-მუსიკამ ბოლო 30 წლის განმავლობაში. ტოტალიტარული რეჟიმის, საინფორმაციო ბარიერის, ტექნიკური ჩამორჩენილობის და სხვა მიზეზთა მიუხედავად, „ორერა" და მისი თანამედროვენი ბევრად უფრო ახლოს იყვნენ საერთაშორისო სტანდარტებთან, ვიდრე მათი დღევანდელი, ნიჭთან და გემოვნებასთან შეუთავსებელი კოლეგები.

და კიდევ ერთი უსიამოვნო ფაქტი: მოსკოვში, ტუშინოში, როკ-ფესტივალზე ტერორისტული აქტის დროს ოცამდე ადამიანი დაიღუპა. შემზარავი ფაქტია, მით უმეტეს, როცა გაიაზრებ, რომ ეს ამბავი ხდება ყველაზე მხიარულ, თავისუფალ, ახალგაზრდულ, მასობრივ და თავისი ბუნებით, პაციფისტურ ღონისძიებაზე. ჩვენ რა თქმა უნდა, ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ ბოლო წლებში ქართული როკისადმი ინტერესი იმდენად დაეცა, რომ ვეჭვობ, მსგავსი ტერაქტის სამიზნე საქართველო ძალიან დიდხანს ვერ გახდება. და საერთოდ, ახლა რომ ვუყურებ, ქართველი როკმენებიდან ერთადერთი ლადო ბურდულია, რომელიც ჯერ კიდევ არ ყრის ფარხმალს. მისი ბოლო მცდელობა კლუბ „ნოა-ნოაში" გამართული კონცერტი იყო, რომელსაც, მუსიკოსის თქმით, კომერციული წარმატება არ მოჰყოლია.

თუმცა, ვიკმაროთ უსიამოვნებები. გასულ კვირას ერთ-ერთი სასიამოვნო ფაქტი იყო ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებების სრული კრებულის ელექტრონული სახით გამოცემა. აღსანიშნავია „უცნობის" საქციელი, რომელმაც მშრალი ხიდის ბაზრობაზე ისტორიული ღირებულების ანტიკვარული ნივთები შეისყიდა და მუზეუმს გადასცა. ფოტოგრაფმა იური მეჩითოვმა ზედიზედ ორი გამოფენა მოაწყო: ერთში ფიროსმანის თემების ფოტოვერსიები შემოგვთავაზა, რაც კლასიკური კიჩი იყო, მეორეში კი ფარაჯანოვის უცნობი ფოტოები გამოფინა. რეზო ესაძემ კი ახალი ფილმი წარუდგინა „ამირანში" შეკრებილ საზოგადოებას.

„ამირანშივე" შედგა ამერიკული ფილმის, „კარგი ქურდების" ქართული პრემიერა, რომლის მთავარი ღირსება ის არის, რომ მისი რეჟისორია ირლანდიელი ნილ ჯორდანი, ხოლო მთავარ როლს ნიკ ნოლთისთან ერთად, ახალგაზრდა ქართველი მსახიობი, ნუცა კუხიანიძე ასრულებს. თუმცა, პრემიერაზე უფრო მნიშვნელოვანი, თბილისში ნოლთისა და ჯორდანის სტუმრობა იყო. მაგრამ ჯაზმენებისა არ იყოს, თბილისს მგონი „კინოშნიკებიც" ანებივრებენ: ამჯერად აქ იმყოფება დიდი პოლონელი რეჟისორი ქშიშტოფ ზანუსი.

როგორც ხედავთ, ზაფხული თბილისში ჩვეული რიტმით მიედინება: შოუ-ბიზნესში არის დანაკარგები, რომლებსაც მონაპოვრები ავსებენ. მაგრამ საინტერესოა, რით შეივსება დანაკარგები ქართული ციხე-კოლონიებიდან?! შეგახსენებთ, რომ უკანასკნელ სამ თვეში 50 სასჯელმისჯილმა მიატოვა იზოლაციის ადგილები. ჩემს ახალგაზრდობაში სახელმწიფო ასეთ რამეებს საგულდაგულოდ მალავდა (ერთადერთი, გრაფ მონტე-კრისტოს შემთხვევა იყო რეკლამირებული, მაგრამ ეს ხომ შორეულ საფრანგეთში მოხდა), დღეს კი ეს გაქცევები ფართოდ არის აფიშირებული. ეტყობა რაღაცაშია საქმე. თუმცა, ეს უკვე კულტურის სფეროს ფარგლებს სცილდება.

# მოდური წვეულებების კვირეული

დღეს პარიზში ლხინისა და მოდის არნახული კვირეული დაიწყო. მას ოფიციალურად მაღალი მოდის ერთი კვირა ჰქვია, მაგრამ პოდიუმზე გამომზეურებული ლამაზმანებისა და ორიგინალური ტანსაცმლის გარდა, პარიზისკენ სტუმრები უფრო წვეულებათა მომხიბვლელად გრძელმა ნუსხამ მიიზიდა. შამპანურითა და საზაფხულო დელიკატესებით გამრავალფეროვნებული ნადიმების ჩამონათვალი "შერერის" დიზაინერის რიტუ ბერის ფართიმ გუშინ გახსნა. მოდელიერმა ქალბატონმა წვეულება თავისი შემოდგომა/ზამთრის კოლექციის აღსანიშნად მოაწყო. შემდეგ პომპეზური საღამოს დიასახლისის ტიტული ლულუმ გადაიბარა – ივ სენ ლორანის ყოფილმა მუზამ, რომელიც მოსალხენად შეკრებს 200-მდე ახლო მეგობარსა და პრესის წარმომადგენელს და მათთან ერთად იზეიმებს სამკაულის ახალი ხაზის გახსნას.

ოთხშაბათს ღამით კი დიდ ნადიმს "გუჩის" შვილობილი სავაჭრო ნიშნის – "ბუშერონის" ხელმძღვანელობა გამართავს. წვეულებაზე მთავარ როლებში აღმოჩნდებიან დიზაინერები სტელა მაკარტნი, ალექსანდერ მაქვინი და ტომ ფორდი. დაბოლოს, კვირეულის დასასრულს პარიზის მოდის საბჭო უმასპინძლებს 800-კაციან გალა-საღამოს, რომელსაც მსოფლიო მოდის ინდუსტრიის ყველა ცნობილი სახე დაესწრება. შეკრებილები პარიზულ საღამოებს შამპანურით, ბუტერბროდებით და ერთმანეთთან ჭორაობით უკანასკნელად გაიხალისებენ.

რაც შეეხება მოდას, ცნობილი დიზაინერები ექსტრავაგანტურ სტუმრებს მთელი კვირის განმავლობაში წარუდგენენ თავის ორიგინალურ შემოქმედებას: პოდიუმს ხან ჯონ გალიანო დაიკავებს "დიორიდან", ხან – კარლ ლაგერფელდი "შანელიდან", და ხანაც – ჯულიენ მაკდონალდი "ჟივენჩიდან". ასე რომ, წინ მოდის ბიზნესს ცხელი კვირა ელის.

TV პროგრამა
8 ივლისი

რუსთავი - 2

[illegible]

პირველი არხი

[illegible]

პირველი სტერეო

[illegible]

მეორე არხი

[illegible]

კავკასია

[illegible]

იბერია

[illegible]

მეცხრე არხი

[illegible]

იმედი

[illegible]

ევრიკა

[illegible]

VII არხი

[illegible]

ОРТ

**07.00** „Доброе утро!“ **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.15, 21.00 Сериал „Земля любви, земля надежды“ 11.05 Худ.фильм „Королева Марго“ 12.05** „Смехопанорама“ **12.35** Дисней-клуб: „Ким Пять-с-плюсом“ **13.15 Комедия „Похождения зубного врача“ 14.50** Док.сериал „Дикие штучки“ **15.25** „Пока все дома“ **16.20** „Кумиры“. Р.Адомайтис **16.50 Худ.фильм „Кукла“ 18.00** „Большая стирка“ **19.25 Сериал „Герой нашего племени“ 19.55 Худ.фильм „За кулисами“ 22.00, 00.30** „Время“. **22.35 Худ.фильм „Ледниковый период“ 23.40 Сериал „Шпионка“ 01.20** „На футболе“ **01.50** „Русский экстрим“ **02.20 Детектив „Расплата на крови“**

РТР

**06.45** „Доброе утро, Россия!“ **09.45, 21.55 Сериал „Если невеста ведьма“ 10.40 Сериал „Тени исчезают в полдень“ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** Вести **12.20** „Короткое замыкание“ **13.20 Детектив „Марш Турецкого“ 14.15** „Экспертиза“ **14.30** „Колоссальное хозяйство“ **14.45** Вести - Москва **15.20** „Что хочет женщина“ **16.10 Сериал „Московские окна“ 17.15 Сериал „Простые истины“ 17.45** „Экспертиза“ **18.20, 20.50** Вести. Дежурная часть **18.50, 02.05** „Дорожный патруль“ **19.05** Вести - Спорт **19.20, 21.30** Местное время. Вести - Москва **19.50 Сериал „Комиссар Рекс“ 21.50** „Спокойной ночи, малыши!“ **22.55 Детектив „Марш Турецкого**“. „Опасное хобби“, 2 с. **00.20 Худ.фильм „Крутой полицейский“ 02.20** „Горячая десятка“ **03.20 Сериал „Сеть“ 04.10 Сериал „Дживс и Вустер“**

НТВ

**07.00** Утро на НТВ **09.55** „Личный вклад“ **11.00** „Сегодня утром“ **11.25 Комедия „Деловые люди“ 13.00, 16.00, 18.00, 20.00** „Сегодня“ **13.30** Ток-шоу „Страна Советов“ **14.35 Боевик „Агент национальной безопасности“ 15.45** „Криминал“ **16.35** „Принцип „Домино“. „Курортный роман“ **18.30 Сериал „Скорая помощь 2“ 19.20** „Внимание! Розыск!“ „Без лица“ **20.35 Сериал „Улицы разбитых фонарей“ 21.50 Сериал „След оборотня“, 1 с. 23.00** „Страна и мир“ **23.30 Сериал „Клан Сопрано“, 1 с. 00.45 Сериал „Улицы разбитых фонарей“ 02.00** „Сегодня“

# გინესის რეკორდების წიგნის რეკორდსმენი

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ

გინესის რეკორდების წიგნის შესახებ ყველას გვსმენია. მაგრამ ის თუ იცით, ვინაა ამ რეკორდების წიგნის რეკორდსმენი? საეჭვოა. ამიტომ მოდით, ეს საოცარი ამერიკელი გავიცნოთ.

მას აშრიტა ფურმანი ჰქვია. ის იამაიკაზე ცხოვრობს – არა ეგზოტიკურ, არამედ ჩვეულებრივ იამაიკაზე, ნიუ იორკში, ქვინსის ერთ-ერთ უბანში. აშრიტას მშობლები ღრმად მორწმუნე ებრაელები არიან და შვილიც ებრაულ სკოლაში ჰყავდათ მიბარებული. მაშინ მას კეიტი ერქვა. შემდეგ მან კოლუმბიის უნივერსიტეტში ჩააბარა, მაგრამ მეორე კურსიდან გამოვიდა და ინდოელი გურუს, შრი ჩინმოის სექტის წევრი გახდა. მაშინ ფურმანი 18 წლისა იყო. გურუმ ის ხელახლა მონათლა და ახალი სახელი დაარქვა – აშრიტა, რაც ბენგალიზე "ღვთის მფარველობის ქვეშ მყოფს" ნიშნავს. ჯერ კიდევ ბავშვობაში კეიტ-აშრიტა "გამოქვაბულში განმარტოებით ცხოვრებაზე" ოცნებობდა. ერთხელაც ჩინმოის შესახებ პლაკატი მოხვდა თვალში, მივიდა და მისი სწავლების მიმდევარი გახდა. ამჯერად, მართალია, გამოქვაბულში კი არა, უბრალო ბინაში ცხოვრობს, რომელსაც უკვე ოცდაათი წელია ქირაობს. ბინა ასკეტურადაა მოწყობილი, და ფურმანის ცხოვრებაც ასკეტურია. ის ვეგეტარიანელია და ბერბიჭა. მანქანა არასოდეს უტარებია და არც ჰყოლია. მხოლოდ ამის გამოც შეიძლება საოცარი ამერიკელი ვუწოდოთ. ამჟამად აშრიტა 48 წლისაა. ის ჯანსაღი საკვების მაღაზიაში მუშაობს (ანუ ნატურალურ, ქიმიური მინარევების გარეშე საკვებს ჰყიდის), რომელიც გურუს ეკუთვნის. გურუს მიმდევარი, დაახლოებით, სამასი ადამიანია, ისინი განცალკევებულად და კარჩაკეტილად ცხოვრობენ.

ძნელი წარმოსადგენია, რომ გინესის რეკორდების წიგნის რეკორდსმენი ამ წრიდან იყოს გამოსული. მაგრამ ეს ასეა. ყველაფერი 1973 წელს დაიწყო, როცა ჩინმოიმ თავის მოსწავლეს ნიუ იორკის ცენტრალურ პარკში ოცდაოთხსაათიან ველორბოლაში მონაწილეობა უბრძანა. აშრიტამ წააგო, მაგრამ, სამაგიეროდ, "რეკორდომანია შეეყარა". მისი პირველი რეკორდი, რომელიც რეკორდების წიგნში იქნა შეტანილი, 1979 წლის თარიღდება. აშრიტა 17 ათასჯერ ახტა!

მას შემდეგ გასული 24 წლის განმავლობაში აშრიტამ 78 რეკორდი დაამყარა, რომლებიც გინესის რეკორდების წიგნშია დაფიქსირებული. ამჟამად ის 20 დაუმარცხებელი რეკორდით პირველ ადგილზეა გასული. მეორე ადგილზე, 18 რეკორდით, ყოფილი "ბითლზი", პოლ მაკარტნია. მართალია, მათი რეკორდები სრულიად განსხვავებულია. მაკარტნის რეკორდები მისი ჰიტებია, ფურმანის რეკორდები – ხტომა, სიარული, ჰულაჰუპის ტრიალი და ა.შ, და ესეც - ფრიად სპეციფიკურად. მაგალითად, სიარული. სპორტული სიარული არაფერ შუაშია, აშრიტამ 81 მილი თავზე შემოდგმული რძის ბოთლით გაიარა!

აშრიტა ფურმანი გვარწმუნებს, რომ რეკორდებს დიდების გამო არ ამყარებს, რომ რეკორდები მას "გასხივოსნებაში" და 72 წლის გურუ ჩინმოის ფილოსოფიური სწავლების ჩაწვდომაში ეხმარება – ეს უკანასკნელი 1968 წელს ინდოეთიდან ამერიკაში ჩამოვიდა და კვინსში მედიტაციას მიჰყო ხელი. მაგრამ აშრიტას იმდენად განვითარებული აქვს შეჯიბრის სული, რომ "სულიერი სტიმულები" ცოტა ძნელი დასაჯერებელია. მაგალითად: ერთხელ აშრიტამ გინესის რეკორდების წიგნში წაიკითხა, რომ ერთმა კაცმა ხის ჭამაში რეკორდი დაამყარა. აშრიტა უმალვე მიადგა უფრო დიდ – არყის ხეს, დაჩეხა და შემდეგ თავის სამზარეულოში დააქუცმაცა. მაგრამ ამ რეკორდს ვერ გაუმკლავდა. გურუმ აშრიტას არყის ხის ჭამა აუკრძალა, განაცხადა, აბსურდული ქმედებააო.

მაგრამ აშრიტას "არააბსურდული" რეკორდებიც უხვად აქვს დამყარებული, მათ შორის, სუნთქვის შეკავების რეკორდიც. "აშრიტა ჩვენი რეკორდების რეკორდსმენია," ამბობს სტიუარტ ნიუპორტი, ისტორიკოსი და გინესის რეკორდებში შესული რეკორდების რეგისტრატორი. მაგრამ თავად აშრიტას საკუთარი მიღწევები არ აკმაყოფილებს. მისი მიზანი სუპერრეკორდსმენის, ლეგენდარული საბჭოთა ძალოსანის, ვასილი ალექსეევის დამარცხებაა, რომელმაც 70-იან წლებში 80 რეკორდი დაამყარა. ეს დამყარებული რეკორდების რაოდენობით მსოფლიო რეკორდია.

უახლოეს მომავალში ფურმანი ალექსეევის სწორედ ამ რეკორდის დაძლევას აპირებს. ამისთვის ის სიმძიმეების აწევას არ დაიწყებს. ის, ლენინისა არ იყოს, სხვა გზით წავა. ინგლისში გამოსვლისას აშრიტა ყველაზე სწრაფად აპირებს ერთი მილის გარბენას – ნიკაპზე ჩამოდგმული რძის ბოთლით. შემდეგ, იუტას შტატში, ის კიდევ ერთი მსოფლიო რეკორდის დამყარებას გეგმავს – ერთ მილს კოტრიალით გაივლის. გარდა ამისა, საკუთარი რეკორდიც უკან უნდა მოიტოვოს – ერთხელ ნიკაპზე 75 ლუდის კათხა ჰქონდა შემოდგმული. შემდეგ ნიუ იორკის მარათონში საინტერესო ფორმით – მონაწილეობაზე უარის გამოცხადების ფორმით აპირებს მონაწილეობას, და იმედი აქვს, რომ გინესის წიგნი ახალ, "უარის მთქმელთა" კატეგორიას რეკორდების ნუსხაში შეიტანს. არადა, აშრიტას გავლენით წიგნის შემდგენლებს, მართლაც, არაერთგზის მოუწიათ ასე მოქცევა. (მაგალითად, წყალქვეშ ძუნძული, წყალქვეშ ჟონგლირება ან ათკილომეტრიანი დისტანცია შეკრულ ტომარაში სკუპსკუპით). "მიკვირს, რომ თავისი არსებობის ნახევარი საუკუნის განმავლობაში წიგნი უარის თქმის კატეგორიას არ ითვალისწინებდა," თქვა აშრიტამ, "ეს სიგიჟეა!" ეს იმის შემდეგ თქვა, რაც რიგითი რეკორდი დაამყარა – პიკის საათის დროს გზატკეცილზე იარა, უფრო სწორედ, ათასობით მანქანას შორის ირბინა.

აშრიტა ფურმანი რეკორდებს პლანეტის ყველა კონტინენტზე ამყარებს. მდინარე ამაზონკაზე, ბრაზილიაში, მან წყალზე ხტომის რეკორდი დაამყარა (3647 ნახტომი სამი საათისა და ორმოცი წუთის განმავლობაში). იაპონიაში მან წმინდა მთა ფუძიამაზე იქით-აქეთ 16 მილი იხტუნავა. ავსტრალიის უდაბნოში მან ერთი მილი ჰულაჰუპის ტრიალით 15 წუთსა და 25 წამში გაიარა. მასაჩუსეტსის შტატში აშრიტამ სრულ წყვდიადში პოლ რევერის მთელი მარშრუტი – 12,2 მილი ყირების ჭიმვით გაიარა. ცალბორბალა ველოსიპედზე უკანსვლის რეკორდიც აშრიტას ეკუთვნის – 53 მილი.

"მე სირთულეების დაძლევა მომწონს," ამბობს ფურმანი, "მაგრამ საქმე მხოლოდ ეს არაა. ყოველი ახალი რეკორდის წყალობით ახალ სულიერ და ფიზიკურ ბარიერებს ვლახავ. როცა ტკივილი აუტანელი ხდება და კაპიტულაციას ვაპირებ, ჩემს წინაშე უცებ ახალი რეალობა იხსნება. ეჭვები და ტკივილი ქრება, მათ ადგილს გასაოცარი შინაგანი სიმშვიდე იკავებს. ამ წამს ჩემი სხეული ზესიჩქარეს იძენს და აი, გინესის ახალი რეკორდიც დამყარებულია".

ამასწინათ აშრიტამ გაიგო, რომ ბუქნებში მსოფლიო რეკორდი 5633-ს შეადგენს. "ფორესტ ჰილის" სპორტულ დარბაზში ვარჯიშის დროს ის 25 წუთში 3000-ჯერ იკუზება, და ამას მოკრძალებით "არცთუ ურიგო გახურებას" უწოდებს.

ჩვენი საოცარი ამერიკელის სიმაღლე 175 სანტიმეტრია, ის 170 გირვანქას იწონის, მთლიანად დაკუნთულია. "ჟურნალ "პიპლმა" 50 ყველაზე სასურველ საქმროთა შორის დამასახელა. ცხადია, სასიამოვნოა, მაგრამ მე ცოლის მოყვანას არ ვაპირებ. მეგობარი ქალიც კი არა მყავს," ამბობს აშრიტა. საქმე ისაა, რომ მისი გურუს, ჩინმოის სწავლება თავშეკავებას და უბიწობას ქადაგებს, რადგან სულიერი სრულყოფა მხოლოდ მედიტაციითა და ექსტრემალური ფიზიკური დატვირთვით მიიღწევა. აშრიტა ამტკიცებს, რომ რეკორდების დამყარების აზრიც სწორედ ესაა. "კონკრეტულ ადამიანებს არ ვეჯიბრები," ამბობს ის, "იდეალს ვეჯიბრები. ყოველი დამყარებული რეკორდი კაცობრიობის პროგრესის დონეს ამაღლებს".

ფურმანის მთავარი მეტოქე ვინმე ტერი კოულია, ინგლისელი, რომლის 12 მსოფლიო რეკორდიც გინესის წიგნშია დაფიქსირებული. კოული აშრიტას რეკორდებს ჯაბნის და თან მასობრივი ინფორმაციის წყაროებშიც დასცინის. თავიდან აშრიტამ გამოწვევა მიიღო, მაგრამ (მისი თქმით), როცა მიხვდა, რომ საუბარი პირად ქიშპობას ეხება, უარის თქმა გადაწყვიტა. "გინესის მეფობას არ ვაპირებ. ეს არაა ჩემი მიზანი. მე მინდა ჩემი სულიერი და ფიზიკური საზღვრები გადავლახო. გინესის რეკორდების წიგნი მხოლოდ ამ თვალსაზრისით წარმოადგენს ჩემი სულიერი განვითარების ნაწილს," ამბობს ის.

თუკი ეს მართლაც ასეა, თუ აშრიტა ფურმანმა, მართლაც, შეძლო ისეთი ძლიერი მეტოქის დამარცხება, როგორიც პატივმოყვარეობაა, მაშინ მას ყველაზე შესანიშნავი მსოფლიო რეკორდი დაუმყარებია, და მისი ადგილი მხოლოდ გინესის წიგნი აღარ ყოფილა.


აშრიტა ფურმანი



ვინ რას მიირთმევს


დიდი დენი


ძალიან გრძელი ფატა



ულვაშიცაა და ულვაშიც



გინესის რეკორდების წიგნი - 2003










# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდსასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთწვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის

ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.